

თამარ ისაკაძე

# გზამკვლევი მშობლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე  
ბავშვთა მშობლების სახელმძღვანელო

ყველა ბავშვი გასწავლიერბულია



თბილისი  
2010

უკ (UDC) 37.015.3  
ი-835

ავტორი: **თამარ ისაკაძე,**  
*„პირველი ნაბიჯი – საქართველო“, ფსიქოლოგი*

კონსულტანტი: **ანა ლალიძე,**  
*ფსიქოლოგი/მონვეული ექსპერტი*

სამედიცინო ნაწილი  
მომზადა: **ირმა გოცირიძე,**  
*„პირველი ნაბიჯი – საქართველო“, პედიატრი*

რედაქტორი: **ნინო ჭიჭვილი**

დიზაინი: **გიორგი ხარაბაძე**

**„პირველი ნაბიჯი — საქართველო“**

გზამკვლევი მშობლებისათვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების სახელმძღვანელო), თ. ისაკაძე.

**გზამკვლევი შექმნილია Foundation Lord Michelham of Hellingly  
ფინანსური მხარდაჭერით**

**ნიგში გამოყენებულია „პირველი ნაბიჯის“ აღსაზრდელების სურათები,  
რისთვისაც მადლობას ვუხდით მათი მშობლებს.**

ISBN 978-9941-0-2876-2

# ავტონომიისკან

არასამთავრობო ორგანიზაცია: „პირველი ნაბიჯი – საქართველო“ 12 წელია ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე და მათ ოჯახებზე.

ორგანიზაციაში ხორციელდება მზრუნველობის სხვადასხვა პროგრამები: ოჯახებში მომსახურება, დღის ცენტრის ფუნქციონირება, ტარდება ტრენინგები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებისათვის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამებისა, „პირველი ნაბიჯი – საქართველო“ სამი წელია ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლების მხარდაჭერისა და განათლების პროგრამას.

ეს პროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან შეხვედრებსა და ტრენინგებს, მათთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის (ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, საგანმანათლებლო, სამედიცინო) მიწოდებას. პროგრამის ფარგლებში ტარდება ტრენინგები მშობლებისათვის სპეციალისტების მიერ, რომელიც ამდიდრებს მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და ცოდნით, რათა სწორად წარმართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განვითარება.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე მუშაობამ ცხადი გახადა, თუ რა მნიშვნელოვანია მშობელთა როლის გაძლიერება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჰარმონიული განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობა მშობლის მხრიდან განსაკუთრებულ უნარებსა და სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს. ამდენად, აუცილებელი და მნიშვნელოვანია თავად მშობელთა მხარდაჭერა და მათთვის დახმარების გაწევა სპეციალისტების მხრიდან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში მომზადდა გზამკვლევი მშობლებისათვის. გზამკვლევში წარმოდგენილი ინფორმაცია და რეკომენდაციები საინტერესო და გამოსადეგი იქნება, როგორც პროგრამაში ჩართული, ისე სხვა მშობელთათვის.

თუ, თქვენ ხართ მშობელი და გაქვთ სურვილი მიიღოთ ტრენინგში მონაწილეობა, დაგვიკავშირდით:

**„პირველი ნაბიჯი - საქართველო“**

მოსაშვილის ქ. N11, ოთახი 504  
თბილისი, 0162

ტელ./ფაქსი: (99532) 252519 / 230140

[www.firststepgeorgia.org](http://www.firststepgeorgia.org)

# სარჩევნი

ვისთვის არის განუთვნილი სახელმძღვანელო .....	11
■ სანამ წიგნის კითხვას დაიწყებდეთ .....	12
■ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები .....	12
■ რა შეუძლიათ მშობლებს .....	15
თუ თქვენი შვილი შუალედური შესაძლებლობის მქონე .....	16
■ რა გჭირდებათ თქვენ .....	16
■ რა სჭირდება თქვენს შვილს .....	17
როგორ აღმოვაჩინოთ და გადავლახოთ პრობლემა .....	18
სწორი ტერმინოლოგია .....	24
■ რომელი ტერმინი არ უნდა გამოვიყენოთ .....	25
■ რომელი ტერმინი გამოვიყენოთ .....	25
საზოგადოების დამოუკიდებლობა .....	27
საზოგადოებაში გავრცელებული ნეგატიური მიდგომა .....	29
რას ფიქრობენ თავად მშობლები .....	31

სპეციალისტები, ვისთანაც აუცილებელია

გზობის ურთიერთობა .....35

- ფსიქოლოგი ..... 35
- სოციალური მუშაკი ..... 38
- მეტყველების თერაპევტი ..... 42
- ოკუპაციური თერაპევტი ..... 42
- სპეციალური მასწავლებელი ..... 43
- ოჯახის მასწავლებელი..... 43

ოჯახი და აღზრდა .....45

- აღზრდის სხვადასხვა სტილი ..... 45
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი მშობლები..... 48
- როგორია მშობლის პოზიტიური დამოკიდებულება ..... 50
- და-ძმები (სიბლინგები)..... 52
- რეკომენდაციები და-ძმებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ..... 54

ძალადობის გამოვლენა ბავშვების მიმართ .....55

- ძალადობის ფორმები ..... 56
- რეკომენდაციები ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის დაძლევისათვის ..... 58

თამაშის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში.....59

- თამაშის ფორმები ..... 60
- ურთიერთობები თამაშისას..... 63

ბავშვის პრობლემური ქცევა .....65

- როდის არის ქცევა პრობლემური..... 66
- პრობლემური ქცევის სახეები..... 67
- პრობლემური ქცევის მართვა ..... 68
- კონკრეტული რეკომენდაციები პრობლემური ქცევის პოზიტიური მართვისათვის ..... 70

რა უნდა იცოდეს გმოხელმა ბავშვის განვითარების  
დარღვევების შესახებ .....72

- გონებრივი ჩამორჩენილობა .....72
- გონებრივი ჩამორჩენილობის სახეები .....73
- გონებრივ ჩამორჩენილობის თავისებურებები .....74

როგორ შეუწყობთ ხელი გონებრივი ჩამორჩენილობის  
მქონე ბავშვის განვითარებას .....77

- რეკომენდაციები კომუნიკაციური უნარების  
გაზრდისათვის .....77
- რეკომენდაციები თვითმომსახურების უნარების  
გავარჯიშებისათვის .....80
- რეკომენდაციები სწავლების ხარისხის  
გაუმჯობესებისათვის .....83
- რეკომენდაციები საოჯახო საქმიანობის  
უნარჩვევების განვითარებისათვის .....85
- რეკომენდაციები დასაქმებასთან დაკავშირებით .....87

ცერებრული დაბლა .....88

- მოძრაობის დარღვევები .....88
- სხეულის არასწორი პოზები .....89
- კუნთური ტონუსი .....89

ცერებრული დაბლის მქონე ბავშვების სირთულეები  
და დახმარების სტრატეგიები .....91

- შეზღუდული მოტორული და ფიზიკური აქტივობა .....91
- სუსტი სხეულებრივი შეგრძნებები .....92
- მეტყველების დარღვევები .....93
- თვითმომსახურების ჩვევების ათვისების პრობლემა .....94
- პრობლემები სწავლაში .....94
- პრობლემები სოციალურ ურთიერთობებში .....95
- ემოციური პრობლემები .....96

როგორ მოვაწყოთ სახლი, სადაც ცხოვრობს  
დაბლის მქონე ბავშვი ცხოვრობს..... 97

აუტიზმი ..... 99

- რა სიმტომები მიგვანიშნებს აუტიზმის არსებობაზე ..... 100
- რჩევები მშობლებს..... 101
- აუტიზმის მქონე ბავშვების სწავლებისა და ურთიერთობის სტრატეგიები ..... 101

ეპილეფსია..... 103

- ეპილეფსიის ფორმები..... 103
- პირველადი დახმარება გულყრის დროს ..... 105
- რა სირთულეები ახასიათებთ ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვებს ..... 106
- რეკომენდაციები, თუ როგორ გადავლახოთ სირთულეები ეპილეფსიის შემთხვევაში ..... 107
- შესაძლებელია, თუ არა ეპილეფსიის სრული განკურნება..... 108

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის  
სინდრომი (ADHD) ..... 109

- როგორ ამოვიცნოთ პრობლემა ..... 110
- სად ვლინდება პრობლემა..... 112
- კონკრეტული რჩევები ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის მშობლებს ..... 113

სმენის განვითარების დარღვევები..... 116

- რა სირთულეები შეიძლება ჰქონდეს სმენადაქვეითებულ ბავშვს ..... 117
- როგორ დავეხმაროთ სმენადაქვეითებულ და ყრუ ბავშვს ..... 118



**შედეგები**  
**განათლების სახით**..... 119

- რეკომენდაციები ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით..... 120
- ინკლუზიური განათლება..... 120
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ..... 123
- მშობლის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას ..... 125
- შეხვედრები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისათვის ..... 126
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება ..... 128
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლება ..... 128
- მშობლის როლი ინკლუზიურ განათლებაში ..... 129

**ოჯახის პირველადი სამედიცინო საჭიროებები**..... 131

- ჰიგიენა..... 131
- ინფექციებისაგან დაცვა ..... 133
- ნაკბენები..... 134
- ჭრილობა ..... 135
- პირველი დახმარება დახურული და ღია მოტეხილობის დროს ..... 136
- კანის მოვლა..... 137
- ალერგია ..... 138
- დამწვრობა ..... 138

**გამოყენებული ლიტერატურა** ..... 139



# ვისთვის არის განკუთვნილი სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო განკუთვნილია მშობლებისათვის, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილები. მათ სჭირდებათ ყველაზე მეტი დახმარება და ინფორმაცია. მშობლებს სჭირდებათ სპეციფიური ცოდნა განსაკუთრებული ბავშვების აღზრდის პროცესში, რათა ხელი შეუწყონ მათ განვითარებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

პრობლემები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას აწყდებიან მშობლები ხშირად არის: ძილი და კვება, საკუთარი თავის მოვლა, სირთულეები სწავლაში, ურთიერთობაში. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობიერების საკითხი, ზოგჯერ არც ოჯახია მზად ჩართოს ბავშვი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არც საზოგადოების მზაობაა იმისთვის, რომ მიიღოს განსხვავებული ადამიანები.

ნიგნში განხილულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოზარდების განვითარების თავისებურებები, მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც მშობლებს დაეხმარება ხელი შეუწყონ შვილების სწორ განვითარებას, ასევე მოცემულია სავარჯიშოები და აქტივობები მშობლებისთვის.



## სანამ წიგნის ჩითხვას დაიწყებდით



თუ თქვენ ხართ მშობელი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი ჰყავს, თქვენს წინაშეა სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ მიიღოთ მეტი ინფორმაცია თქვენი შვილის შესახებ, გამოკვეთოთ პრობლემები და დასახოთ პრობლემის გადაჭრის ადექვატური გზები. თქვენ, ალბათ, ეს ყველაფერი მანამდეც გაგიკეთებიათ, ჩვენ უბრალოდ შევეცდებით, თქვენთან ერთად ყველაფერი თავიდან გავიაროთ, გამოგიცხადოთ მხარდაჭერა, რადგან თქვენ მარტო არ ხართ თქვენს წინაშე მდგარ პრობლემებთან.

## უზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების გზაგადასვლა

ბავშვის დაბადება ოჯახში უზარმაზარ ბედნიერებასთან ასოცირდება, მშობლებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოსცადონ საკუთარი თავი დედების და მამების როლში, დაინწყონ მზრუნველობა იმ პატარა არსებაზე, რომელსაც 9 თვე მოუთმენლად ელოდნენ, მათ უჩნდებათ იმედები და მოლოდინები იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მათი შვილი. უდაოდ ყველა მშობელს უნდა, რომ მისი შვილი

იყოს საუკეთესო, ლამაზი, ჭკვიანი და ჯანმრთელი. ყველა მომავალი მშობელი ქმნის წარმოსახვაში ბავშვის მისთვის სასურველ ხატს.

მას შემდეგ, რაც მშობლები გაიგებენ, რომ ისინი პატარას ელოდებიან, უკვე ჩნდება სხვადასხვა საზრუნავი და იწყება ფიქრი ამ საკითხების ირგვლივ, ჩნდება კითხვები: ბიჭი იქნება თუ გოგო? რა დავარქვიათ? ვის დაემსგავსება? ცელქი იქნება თუ მშვიდი? როგორ მოვანყოთ ან გადავაკეთოთ სახლი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით? და სხვა...

ყველანაირი საზრუნავის მოტივაცია წარმოადგენს მშობლების სურვილს, რომ ბავშვს შეუქმნან ჯანსაღი გარემო და გაზარდონ „კარგი შვილი“.

თუმცა ბევრი რამ ბავშვზეც არის დამოკიდებული. დედა ორსულობის მანძილზე ელის თავის მომავალ პატარას, ამყარებს იმედებს, წარმოსახვაში ქმნის წარმოდგენას ბავშვზე, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში იდეალურია. როდესაც ოჯახში ბავშვი დაიბადება, ამის შემდეგ მშობლები უკვე მარტო აღარ იღებენ გადაწყვეტილებებს, ისინი ცდილობენ მხარი აუბან და მიყვნენ ბავშვის განვითარებას, მოიქცნენ ისე, როგორც ბავშვის საჭიროებები კარნახობს.

საზრუნავი დედას მართლაც ბევრი აქვს... და ის მით უფრო იმატებს, რაც მეტი მზრუნველობა სჭირდება ბავშვს. ყველა ბავშვი თავისებური და განსხვავებულია: ზოგი ბავშვი ბუნებრივ კვებას ეჩვევა და ყოფნის კიდეც, ზოგს ხელოვნური კვება სჭირდება, ზოგი ხშირად ტირის და ჭირვეულობს, ზოგიერთი მალე სწავლობს ლამის ქოთნის მოხმარებას, ზოგი გვიან სწავლობს დგომას და სიარულს და სხვ.

ბავშვის ზრდასთან ერთად მას მეტი ყურადღება სჭირდება, ხოლო თუ ბავშვის განვითარება შენე-



გზამკვლევი მშობლებისათვის

ლებული ან გაძნელებულია, საზრუნავთან ერთად მშობლის ემოციური მდგომარეობაც იცვლება. როდესაც დედას ეუბნებიან, რომ მისი შვილი უსინათლოა, ან დამოუკიდებლად სიარულს ვერ შეძლებს და ეტლის ხმარება დასჭირდება, მას ამ დროს ძალიან უჭირს მიიღოს და მშვიდად აღიქვას ეს ყველაფერი. მშობლების რეაქცია ხშირად უკიდურესად მძიმეა. ისინი საკუთარ თავში იკეტებიან და უარს ამბობენ გარე სამყაროსთან ურთიერთობაზე.

კვლევები აჩვენებს, რომ მშობელი დაბნეული და გაღიზიანებულია მაშინ, როდესაც არ იცის, თუ როგორ მოერიოს ამდენ საზრუნავს, როგორ დაეხმაროს ბავშვს განვითარებაში და როგორ მიიღოს შვილი ისეთი, როგორიც არის.

ფსიქოლოგები მშობლებს ურჩევენ:

- მიიღეთ რეალობა ისეთი, როგორიც არის.
- შეინარჩუნეთ სიმშვიდე.
- არ ჩავარდეთ პანიკაში და არც პრობლემების იგნორირებას მიმართოთ.
- გამოიჩინეთ ნებისყოფა.

მშობლები ხშირად გამოთქვამენ გულისტკივილს იმის გამო, რომ აღნიშნული რეკომენდაციები სათქმელად უფრო იოლია, ვიდრე განსახორციელებლად. თავს იჩენს ისეთი ძლიერი ემოციები როგორებიცაა შოკი, გაბრაზება. ხშირად მშობლებს მძიმე დებრესიაც კი ემართებათ საკუთარი შვილის მდგომარეობის გაცნობიერებისას. ბუნებრივია, რომ მსგავსი რეაქციები ხელს უშლის მათ გაუსწორონ თვალი რეალობას და ადექვატური გზები დასახონ პრობლემებთან გასამკლავებლად.

მშობლებს აუცილებლად სჭირდებათ დახმარება, რათა მათ სწორად შეაფასონ შვილის განვითარება, ამჟამინდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა.

მშობლებს აუცილებლად სჭირდებათ კავშირი იმ კვალიფიციურ სპეციალისტებთან, რომლებსაც აღნიშნულ პრობლემატიკასთან მუშაობის პროფესიული გამოცდილება აქვთ.

მშობლებს მართლაც ბევრი საზრუნავი აქვთ, ერთერთი შესაძლებლობა, რომ გაუმკლავდნენ უარყოფით ემოციებს და რაციონალურად

დაგეგმონ ბავშვის განვითარება, არის მეტი ინფორმაციის მიღება და ცოდნა ბავშვის განვითარების შესახებ.

რაზეა დამოკიდებული ეს ყველაფერი, როგორ ვითარდება ბავშვი, რატომაა ყველა ადამიანი ინდივიდუალური, უნიკალური და განსხვავებული, რას ნიშნავს განვითარების ეტაპები, ზრდა და სრულყოფა... სწორედ ამ შეკითხვებზე შევეცდებით გავცეთ პასუხი წინამდებარე გზამკვლევაში.

- ◆ მშობლები ყველაზე მეტად განიცდიან ბავშვის მდგომარეობას
- ◆ მშობლები ყველაზე მეტ დროს უთმობენ შვილებს
- ◆ მშობლებმა იციან, რა სჭირდებათ მათ შვილებს
- ◆ მშობლებს სჭირდებათ ცოდნა, თუ როგორ დაეხმარონ შვილებს დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაში

## რა უნდა იყო გზამკვლევი

- ბავშვის ზრდისა და განვითარების პროცესი წარმართონ ბავშვების შესაძლებლობების შესაბამისად
- გაზარდონ ბავშვის დამოუკიდებლობის ხარისხი საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობისათვის
- გულწრფელად უყვარდეთ შვილები, ჰქონდეთ ჯანსაღი ურთიერთობები გარშემომყოფებთან და იყვნენ აღსავსე დადებითი ემოციებით

# თუ აქვენი შვილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა

## რა გზირღობათ თქვენ:

- **ინფორმაცია/ცოდნა** — მოიპოვეთ ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, მიმართებს ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ამ თემატიკაზე, მოძებნეთ მშობლები, ვისაც მსგავსი ტიპის შვილები ჰყავთ, შექმენით აქტიური ჯგუფები, იმისთვის რომ დაცული იყოს თქვენი და თქვენი შვილის უფლებები.
- **რეალობის სწორი შეფასება** — შეაფასეთ და მიიღეთ რეალობა ისეთი როგორიც არის, იფიქრეთ და დაგეგმეთ, თუ რა უნდა



გზამკვლევი მშობლებისათვის



გაკეთდეს იმისთვის, რომ თქვენი შვილი საზოგადოების სრულყოფილი წევრი გახდეს, მიუხედავად განსაკუთრებული საჭიროებისა.

- **ემოციური წონასწორობის შენარჩუნება** — როგორც წესი მშობლებისთვის საკმაოდ სტრესულია იმის გაცნობიერება, რომ მათი შვილი განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს და „არ გავს სხვებს“, ხშირია შოკის, სირცხვილის, დანაშაულის განცდა. გამოცდილება ცხადყოფს, რომ მშობლები, რომლებიც მძიმედ განცდიან საკუთარი შვილების მდგომარეობას, სათანადოდ ვეღარ ახერხებენ შვილებზე ზრუნვას.

## რა სჭირდება თქვენს შვილს:

- **განათლება და განვითარება** — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი აუცილებელია იღებდეს შესაფერის განათლებას ინკლუზიურ სკოლაში, ინტეგრირებულ კლასში, დღის ცენტრში ან სხვ. მას უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოებაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარჩვევების განვითარებაზე.
- **სოციალური ურთიერთობები და ჯანსაღი ემოციები** — თქვენს შვილს აქვს სურვილი გამოხატოს ემოციები და აქვს თავის თანატოლებთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, ხელი შეუწყვეთ, რომ თქვენ შვილს ჰყავდეს მეგობრები.
- **თქვენი დახმარება და მხარდაჭერა** — ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ სითბო და სიყვარული, კეთილგანწყობილი გარემო, უშუალო ურთიერთობები. ბავშვები მშობლებზე დაკვირვებით სწავლობენ მთელ რიგ ქცევებს და ემოციების გამოხატვის შესაძლებლობებსაც კი. ოჯახი სწორედ ის გარემოა, რომელიც უნდა აძლევდეს ბავშვს საკუთარი ძალების რწმენას და სძინდეს ბედნიერების განცდას.

# როგორ აღმოვაჩინოთ და გადავსახოთ პრობლემები

ყურადღებით ნაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, მოიმარჯვეთ კალამი და შეავსეთ თითოეული გრაფა შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. პირველ გრაფაში ჩანერეთ თუ როდის, სად და ვისგან გაიგეთ, რომ თქვენს შვილს ახასიათებდა პრობლემური განვითარება.
2. მეორე გრაფაში შეეცადეთ აღწეროთ ემოციები, რაც იმ დროს განიცადეთ, აღწერეთ რას გრძნობდით ამ დროს, როგორი იყო თქვენი შეგრძნებები.
3. მესამე გრაფაში ჩამოწერეთ თუ რა სახის ძირითადი პრობლემები აქვს თქვენს შვილს. ეს შეიძლება იყოს ქცევითი ხასიათის პრობლემა, მაგ. არის თუ არა აგრესიული ან პირიქით, მორცხვი, ასევე აქ შეგიძლიათ ჩანეროთ, აქვს თუ არა ბავშვს პრობლემები და-ძმებთან ურთიერთობაში, პრობლემები სწავლაში (მიუთითეთ კონკრეტულად რომელ საგანში), ასევე აქ იწერება სამედიცინო ხასიათის პრობლემაც, თუკი ის ვლინდება: მაგ. ეპილეფსია ან სხვ. ნუ შეშინდებით პრობლემების ჩამოწერისას, შეეცადეთ იყოთ ობიექტური. ჩამოწერეთ მაქსიმუმ 10 პრობლემა.
4. მეოთხე გრაფა თქვენ გავალდებულებთ გამოყოთ ძირითადი პრობლემა, რომელიც ყველაზე რთულად, მნიშვნელოვნად და მოუგვარებლად მიგაჩნიათ. ამისათვის თავიდან გადაიკითხეთ მესამე გრაფაში ჩამოწერილი პუნქტები, შეარჩიეთ მათგან

თქვენთვის ყველაზე საკვანძო პრობლემა და გადმოიტანეთ მეოთხე გრაფაში.

- მეხუთე გრაფაში თქვენ უნდა ჩანეროთ, თუ როგორ აგვარებთ ამ პრობლემებს, რა გარეგანი ან შინაგანი რესურსები გეხმარებათ მათი მოგვარებისას, მაგ. ეს შეიძლება იყოს ბავშვის მასწავლებელი ან თქვენი მეუღლე, რომელიც გეხმარებათ, ხოლო შინაგანი ფაქტორებიდან შეიძლება იყოს თქვენი ნებისყოფა, ემოციური სტაბილობა, ოპტიმიზმი ან სხვ.

გაგება სად? ვისგან? როდის?	ემოციები	რა არის თქვენი შვილის პრობლემები	ყველაზე რთული პრობლემა	როგორ აგვარებთ ამ პრობლემას
		1. _____ 2. _____ 3. _____ 4. _____ 5. _____ 6. _____ 7. _____ 8. _____ 9. _____ 10. _____		

**უკუკავშირი:** ამ აქტივობის მიზანი იყო მოგვეხდინა პრობლემის იდენტიფიკაცია და ანალიზი. როდესაც პრობლემებზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს 2 ფაქტორი: შევძლოთ ძირითადი პრობლემის გამოყოფა და პრობლემის პარალელურად ბავშვის იმ უნარების, ძლიერი მხარეების აღმოჩენა, რომლებიც პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება.



როდესაც გვინდა ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება, ერთი შეხედვით თითქოს რთულია დავინახოთ ბავშვის ძლიერი მხარეები და პოზიტიური ასპექტები, თუმცა სწორედ ამგვარი ხედვა წარმოადგენს საძირკველს, რომელზეც უნდა დაშენდეს პრობლემების მოგვარების დამხმარე სტრატეგიების ძიება.

**მაგალითი:** მაგალითისთვის გთავაზობთ ამ აქტივობას, რომელიც წარიმართა მშობელსა და ფსიქოლოგს შორის.

ნიკა – 9 წლის.

ნიკას დედამ, შეკითხვაზე, თუ რა არის მისი პრობლემები, წარმოადგინა შემდეგი ნუსხა:

1. ნიკას აქვს ცერებრული დამბლა, დადის ბარბაცით, გადაადგილდება დამოუკიდებლად, მაგრამ ზოგჯერ ვარდება.
2. მარჯვენა და მარცხენა ხელს ხმარობს ცუდად, იჭერს მხოლოდ დიდ საგნებს.
3. უჭირს წერა, შეუძლია მხოლოდ გადანეროს ასოები, ისიც უსწორმასწოროდ და არაერთხაზოვნად
4. ჩამორჩება მათემატიკაში თანაკლასელებს, ვერ გამოჰყავს მაგალითები მისი ასაკის შესაფერისი სახელმძღვანელოდან, ცნობს ციფრებს 10-მდე.
5. ადვილად ბრაზდება და ტირის.
6. ჭამს უწესრიგოდ, ეფანტება საჭმელი, ჭამს ნელა, შედეგად ხშირად აჭმევს დედა, რათა ჭამის პროცესი დროულად დამთავრდეს.
7. აქვს სურვილი ჰყავდეს მეგობრები, მაგრამ ვერ პოულობს საერთოს თანატოლებთან, ვერ თამაშობს იმ თამაშებს, სადაც წესების დაცვაა აუცილებელი, ართმევს სხვებს სათამაშოებს რომლებითაც მარტო თამაშობს.
8. ვერ საუბრობს გამართულად, აქვს მწირი ლექსიკური მარაგი.
9. დედას სკოლაშიც ექმნება პრობლემა, მასწავლებლები ხშირად საყვედურობენ მას, რომ მისი შვილი ვერ ითვისებს სასწავლო მასალას
10. ნიკა ზედმეტად ბევრ დროს ატარებს ტელევიზორთან

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ნაწილი, შეიძლება თქვენთვისაც ნაცნობია. ნიკას დედას ამის შემდეგ ევალებოდა ნაეკითხა თავიდან მის მიერ ჩამოწერილი 10 პუნქტი, ნიკას პრობლემებთან დაკავშირებით და გამოეყო იქიდან ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი. თავდაპირველად დედას გაუჭირდა მხოლოდ ერთის გამოყოფა, რადგან მას მიაჩნდა, რომ ყველა პრობლემის გადაჭრაა საჭირო, რადგან ყველა თანაბარმნიშვნელოვანია, რაზეც ფსიქოლოგიც დაეთანხმა, მაგრამ

აუხსნა, რომ ადეკვატური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად აუცილებელია სწორი დაგეგმვა. შედეგად, დედამ აარჩია მის მიერ ჩამონეროილი პრობლემებიდან მეექვსე: „ჭამს უწესრიგოდ, ეფანტება საჭმელი, ჭამს ნელა, შედეგად ხშირად აჭმევს დედა, რათა ჭამის პროცესი დროულად დამთავრდეს.“

როგორც ზემოთ ვთქვით ნებისმიერი პრობლემის დროს, მისი მოგვარების მიზნით, უნდა ვეძებოთ ბავშვის ძლიერი მხარეები. ინტერვიუს შედეგად აღმოჩნდა, რომ ნიკას კვების პროცესი არა მხოლოდ სუსტ, არამედ ძლიერ მხარეებსაც მოიცავს, ესენია:

- ნიკას მოხერხებულად უჭირავს კოვზი ან ჩანგალი თუ ის მსხვილტარიანია;
- შეუძლია ხელით ჭამოს მშრალი საჭმელი და ცომეული, მაგ. პური, ღვეზელი;
- ჭამის დროს მშვიდად ზის მაგიდასთან და პროცესის დასრულებამდე არ დგება სკამიდან, არ წრიალებს;
- მონდომებულია ჭამოს დამოუკიდებლად;
- ასევე გამოიკვეთა იმ საჭმელების ნუსხა, რომელიც უყვარს ნიკას და ხშირად ითხოვს ხოლმე, ესენი იყო კარტოფილის ღვეზელი, კატლეტი და სხვ;
- დამატებით, საუბრიდან გამოიკვეთა, რომ ნიკა კარგად ასრულებს მითითებებს, ერთ, ორ და სამსიტყვიან ინსტრუქციებს.

აქედან გამომდინარე ნიკასთვის დაიგეგმა დახმარების სტრატეგია კვების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც მთლიანად ეყრდნობა ნიკას ძლიერ მხარეებს და გაიცა რეკომენდაციები სამი მიმართულებით:

- **კოვზის ან ჩანგლის ზომა:** ნიკას შემთხვევაში, კოვზი ან ჩანგალი ყოველთვის უნდა იყოს მსხვილტარიანი, რათა მას გაუადვილდეს მისი ხმარება, მოხერხებულად ეჭიროს და არ გაუვარდეს ხელიდან
- **სიტყვიერი ინსტრუქციები:** დედის მონაწილეობა ნიკას კვების პროცესში, რაც აქამდე მდგომარეობდა იმაში, რომ დედა აჭმევდა საკუთარი ხელით, უნდა შეიცვალოს სიტყვიერი დახმარებით. აქამდე დედას არ ყოფნიდა ნებისყოფა დალოდებოდა ნიკას, რადგან მას კვების ნელი ტემპი აქვს და თვითონ აჭმევდა. დღეიდან დედამ თვითონ კი აღარ უნდა

აჭამოს, არამედ ნიკამ უნდა ჭამოს მისი მეთვალყურეობით და შეასრულოს მისი სიტყვიერი ინსტრუქციები. მაგ. როდესაც ნიკა შეჩერდება ჭამისას, თითქოს „გადაავიწყდება“ რას აკეთებს, დედა მას უბრალოდ შეახსენებს სიტყვიერად „გააგრძელე ჭამა, ან აილე კოვზი და ჭამე“, ფიზიკური ჩარევის მაგივრად.

- **ბავშვის ინტერესების გათვალისწინება:** როდესაც ვგეგმავთ ბავშვის უნარ-ჩვევების დახვეწის სტრატეგიას აუცილებელია გავითვალისწინოთ ბავშვის სურვილები და ინტერესები. პირველ ეტაპზე, სასურველია ნიკას დამოუკიდებლად ჭამის მცდელობებისას შევთავაზოთ მისთვის საყვარელი საჭმელები.

იმედია, ნიკას მაგალითმა ნათლად დაგვანახა თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სწორი სტრატეგიის შერჩევა ნებისმიერი უნარ-ჩვევის განვითარებისათვის ან გაუმჯობესებისათვის.

ქვემოთ კიდევ ბევრჯერ დავუბრუნდებით თქვენი შვილების სხვადასხვა უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების შემუშავების საკითხს.

# წითლი ჯერძინოლოგია

## ნაწყვეტი მშობელთა ტრენინგიდან:

„შეეცადეთ გაიხსენოთ ყველა ის სიტყვა, რომელიც გსმენიათ საზოგადოების ამა თუ იმ წევრისაგან თქვენი შვილის მოხსენიებისას, რას და როგორ ეძახიან სხვა ადამიანები მას, ან თვითონ თქვენ რა სიტყვებს იყენებთ ხოლმე, როცა გსურთ აღნიშნოთ მისი შეზღუდული შესაძლებლობები“:

## მიუღებელი ტერმინოლოგია

ჩამორჩენილი	განუვითარებული	ავადმყოფი
არასრულფასოვანი	დეფექტიანი	არანორმალური
ინვალიდი	დებილი	გონებასუსტი

სამწუხაროდ ეს სიტყვები ზოგჯერ გვესმის არა მხოლოდ იმათგან, ვისაც ნაკლები შეხება აქვთ შშმ ადამიანებთან, არამედ მათგანაც, ვისაც მუდმივი ურთიერთობა აქვთ შშმ პირებთან. ხშირად მშობელმა და სამწუხაროდ, სკოლის მასწავლებელმაც შესაძლოა იხმაროს მსგავსი ტერმინი ბავშვზე საუბრისას.



## რომელი ტერმინები არ უნდა გამოვიყენოთ

1. **სახელდება ასახავს ჩვენს დამოკიდებულებას.** ტერმინები, ხშირად არის იარლიყები, რომელიც საზოგადოების არაკეთილგანწყობილ, უარყოფით დამოკიდებულებას ასახავს. იარლიყების მინიჭებით ჩვენ ხელოვნურად ვუქმნით ბარიერებს მათ, ვინც ჩვენგან განსხვავებულია.
2. **სახელდება მოიცავს შინაარსს.** მსგავსი ტერმინები თავის თავში მოიცავენ შინაარსს, რომელიც აღნიშნავს სხვა ადამიანის უსარგებლობას, შეზღუდულობას. მიანიშნებენ, რომ ამ სახელით მოხსენიებული ადამიანი პრობლემებს ქმნის საზოგადოებაში. შესაბამისად, თანასწორობის და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პრინციპი ირღვევა.
3. **სახელებით ჩვენ ვიმახსოვრებთ.** არასწორი ტერმინებით ჩვენ ამავდროულად ვიმახსოვრებთ და ვამტკიცებთ არასწორ წარმოდგენებს განსხვავებული ბავშვების შესახებ, რაც შემდგომში ხელისშემშლელ ფაქტორად იქცევა ბავშვის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებისას.

## რომელი ტერმინები გამოვიყენოთ

1. **რა გქვია შენ? – სახელი.** პირველ რიგში, გაეცით პასუხი კითხვაზე: როდესაც გსურთ ვინმე ახსენოთ, როგორ მოიხსენიებთ მას? რა თქმა უნდა, სახელით. ყველა ადამიანს აქვს სახელი. როდესაც ვინმეს გავიცნობთ, პირველად სახელს ვეკითხებით. რატომ ვაკეთებთ ამას? იმიტომ, რომ ვიცოდეთ, თუ როგორ მივმართოთ მას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხსენებისას ნუ დაგვაფინყდება, რომ მოვიხსენიოთ ისინი სახელით.
2. **სამუშაო ტერმინები.** არსებობს თანამედროვე ტერმინოლოგია, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. მაგ. თუ თქვენ



ამზადებთ ან კითხულობთ დოკუმენტაციას ბავშვის სამედიცინო ან საგანმანათლებლო საჭიროებებზე, აუცილებლად შეხვედებით სიტყვებს: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე“, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე“. აღნიშნული ტერმინების გამოყენება მიზანშეწონილია არა ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ საქმიანი ურთიერთობების დროს, მაგ. მასწავლებელთან, ექიმთან, ფსიქოლოგთან ან სხვა სპეციალისტთან კომუნიკაციისას.

# საზოგადოებრივი დაპროექტებულება

იმისათვის, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად ხდებოდეს მისი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაც, აუცილებელია ბავშვი ადეკვატურად იყოს ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იღებდეს მონაწილეობას სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, იქნება ეს პარკში გასეირნება, კინოში წასვლა, თუ სხვა. ბავშვის სოციალური უნარების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის გზით. მაგრამ დგება მეორე საკითხი, არის თუ არა საზოგადოება მზად თავის სრულფასოვან წევრებად მიიღოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანები? რატომ არის განსხვავება ამ მხრივ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის? განაქართველები ნაკლებ ჰუმანური ერი ვართ? ალბათ, პასუხი ამ შეკითხვებზე უახლოეს წარსულში შეიძლება მოიძებნოს. საბჭოთა პერიოდში არსებობდა სხვადასხვა ინსტიტუციები, ინტერნატები, სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები თუ თავშესაფრები, სადაც ხდებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განთავსება და საზოგადოებისგან მათი იზოლირება. შესაბამისად, რასაც ვერ



ხედავ, იმის არსებობა არ იცი და რთულია ასეთ მოვლენასთან სწორი დამოკიდებულება გქონდეს.

საბედნიეროდ, დღესდღეობით ერთდროულად მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. თუმცა, ეს პროცესები, ზოგჯერ, საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. რეალური ცვლილებების განხორციელება დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ხშირად გაცილებით უფრო უშუალოები და ლოიალურები არიან განსხვავებული მიდგომის მიღების მიმართ, ვიდრე უფროსები. ზრდასრულ ადამიანებს გააჩნიათ გარკვეული ბარიერები, სტერეოტიპები, რაც მათ ხელს უშლის შშმ ბავშვებთან და მათ მშობლებთან დაამყარონ უშუალო ურთიერთობები. ბავშვის სოციალური ურთიერთობების განვითარება დიდწილად არის დამოკიდებული ოჯახზე და ოჯახის ძალისხმევაზე, რომ ბავშვი ჯანსაღ ურთიერთობებსა და გარემოში იზრდებოდეს.



# საზოგადოებაში გავრცელებული ნეგატიური მიდგომები

საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ არსებული დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

ქვემოთ აღწერილია საზოგადოების ექვსი, ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიდგომა: შიში, სიბრალული, თავის არიდება, არაკეთილგანწყობა, გადამეტებული მზრუნველობა, ზერელე ტოლერანტობა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები და მათი ოჯახის წევრები აღნიშნავენ, რომ ხშირად გამოუცდიათ საკუთარ თავზე მსგავსი ნეგატიური დამოკიდებულება (მასალა მომზადებულია წიგნიდან „ინკლუზიური განათლება“, თ. პაჭკორია, 2008).

**შიში** – ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ შეზღუდულობა გადამდეები და ზიანის მომტანია. მათ მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობა დეპრესიის გამომწვევია, რამდენადაც ისინი უბედურები და დეპრესიულები არიან.

**სიბრალული** – სიბრალული ამცირებს ადამიანის ღირსებას. „რასანყალია“, „ძლიერ მეცოდება“. როდესაც გესმის ამგვარი რეპლიკები, რთულია მათი წარმომთქმელი ადამიანებისაგან თანასწორობის და ტოლერანტობის იმედი გქონდეს.

**თავის არიდება** — ზოგიერთი ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობისას დისკომფორტს განიცდის, ცდილობს ასეთ სიტუაციებს მაქსიმალურად აარიდოს თავი, რაც თავისთავად, ორივე მხარისათვის მორალურ დანაკარგს წარმოადგენს.

**არაკეთილგანწყობა** — არასასურველი კონტაქტების თავიდან აცილების ერთ-ერთი შესაძლო რეაქციაა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გრძნობენ მათდამი ნეგატიურ განწყობას და თუ

უფროსებში ეს არასასიამოვნო გრძნობას იწვევს, ბავშვებისათვის – ემოციურად გამანადგურებელია.

**გადამეტებული მზრუნველობა** – გადამეტებული მზრუნველობის ქვეშ მოქცეული ბავშვები ხდებიან დაუცველნი. დამოკიდებული მოზარდები ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებას. ყველა ბავშვს უნდა მიეცეს საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობა, რაც გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ შეიძლება ხელი შევუწყოთ მათ ამ პროცესში, მაგრამ მათ მაგივრად ვერ განვვითარდებით.

**ზერელე ტოლერანტობა** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მათ, ვისაც ასეთი მიდგომა გააჩნიათ, ახასიათებთ საკითხისადმი ზედაპირული მიდგომა. ისინი მხოლოდ სიტყვიერი, ფინანსური დახმარებით შემოიფარგლებიან და თავს არიდევენ პირდაპირ, ღია კონტაქტებს მათთან, ვისაც უნარშეზღუდულებს უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად გულწრფელი დამოკიდებულებაა. ისინი თავს ვალმოხდილად გრძნობენ და ამით კიდევ უფრო აღრმავებენ იმ სტიგმას, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის არსებობს.

**პოზიტიური მიდგომა** – თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ვაღიარებთ ისეთებად, როგორებიც ისინი არიან და მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით, ეს არასაკმარისი პირობა იქნება პოზიტიური სოციალური ურთიერთობის დამყარებისათვის. ამის ნაცვლად უნდა



ვიყოთ ოპტიმისტურად განწყობილნი ბავშვის შემდგომი განვითარების მიმართ და ხელს ვუწყობდეთ ამ პროცესს. მხოლოდ დადებითი განწყობა არასაკმარისი, მაგრამ მნიშვნელოვანი პირობაა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

# ნას ფოკუსზე ასევე მშობლები

ერთერთ ფოკუს-ჯგუფზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლებისგან შედგებოდა, ჩატარდა გამოკითხვა, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი და განწყობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალურ ინტეგრაციაზე. ქვემოთ მოყვანილია ციტატები მშობლების საუბრიდან:

„ჩემი შვილი, ირაკლი, 14 წლისაა, მას ცერებრული დამბლა აქვს და გონებრივი განვითარების ჩამორჩენა, გადაადგილებისას ეტლს იყენებს, თუმცა შეუძლია გაიაროს, თუ ხელით რაიმეს დაეყრდნობა. „გაიაროსო“ ვამბობ, მაგრამ ეს ისეთი გავლა არაა, როგორც ადამიანთა უმრავლესობა დადის, ტერფებს შიგნით ატრიალებს, მუხლებს ღრმად კეცავს ყოველი ნაბიჯის გადადგმისას. ირაკლის ძალიან უყვარს ქუჩაში სეირნობა, განსაკუთრებით სკვერებში და საბავშვო მოედნებზე. ბავშვების დანახვა ძალიან სიამოვნებს, სულ მათკენ მიიწევს, ძალიან უნდა მათთან კონტაქტი, როდესაც რომელიმე მათგანი გამოეღაპარაკება, ამით ძალიან ბედნიერია ხოლმე. სამწუხაროდ როდესაც ქუჩაში ვსეირნობთ, ყველა შემხვედრის სახეზე ვერ ამოიკითხავ კეთილგანწყობას ჩვენი დანახვისას. ყველაზე ძალიან მაღიზიანებს სიბრაღულის და შეცოდების გამომხატველი სიტყვები და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ დროს ადამიანებს რატომღაც ჰგონიათ, რომ დადებით ემოციას გამოხატავენ. ძალიან ხშირად უთქვამთ ჩემთვის „როგორ იტანთ ამდენს?“ ან გამიგონია ჩუმიად როგორ ჩაულაპარაკიათ „საცოდავი დედამისი“. ყველა ადამიანს მინდა

ვუთხრა, რომ ჩემი შვილიც ისეთივე ბავშვია, როგორც სხვა დანარჩენი, რომ მას არ გამოარჩევს არც კანონი და არც მორალი. რომ მასაც ისევე უხარია წარმატებები სწავლაში, როგორც თქვენს შვილებს, ისიც ისევე აღნიშნავს დაბადების დღეს ტორტზე სანთლების ჩაქრობით, როგორც სხვა ბავშვები. ალბათ სიბრალული ყველაზე საშინელია, რაც მიგრძენია სხვა დამოკიდებულებებს შორის. მე მაქვს უფლება, არ ვებრალეობდე სხვა ადამიანებს იმიტომ, რომ ჩემ შვილს ცერებრული დამბლა აქვს. მე ვაპირებ ვიბრძოლო ამ უფლებისათვის”.

„ჩემი შვილი, ანანო, 9 წლის არის. მას აუტიზმი აქვს. ანანო სხვა ადამიანების გარემოში არ იქცევა ისე როგორც დანარჩენი ბავშვები. მას უჭირს დაიცვას წესები, არ ესმის მიმართული მეტყველება, თვითონაც იშვიათად საუბრობს, არ უყვარს კონტაქტი სხვა ადამიანებთან, განსაკუთრებით ხელით შეხებაზე აქვს უარყოფითი რეაქცია, არ ამყარებს თვალებით კონტაქტს, აქვს აკვიატებული გასართობები, მაგ. ანანო არასდროს თამაშობს სახლობანას, დამალობანას ან სკოლობანას. მას უყვარს თამაში პოლიეთილენის პარკებით და ფეხსაცმლის თასმებით. როდესაც სხვა ადამიანები ხედავენ ანანოს ამგვარ ქცევას მათ უჩნდებათ აზრი, რომ ანანო შესაძლოა საშიში იყოს საზოგადოებისათვის, რადგან ის იღებს ნივთებს დაუკითხავად, შეიძლება გააფუჭოს კიდეც სხვისი სათამაშო, მაგრამ მერწმუნეთ, ანანო ამ დროს არ მავნებლობს. მე, როგორც მშობელს სანამ ანანო შემეძინებოდა ნამდვილად არ მქონდა წარმოდგენა ამ დაავადების შესახებ. შეიძლება მეც რომ დამენახა ანანოს მსგავსი ბავშვი ბავშვთა გასართობ დღის ცენტრში, ათასი უცნაური აზრი მომსვლოდა გონებაში. ამიტომ ვფიქრობ, რომ საზოგადოების პრობლემა სწორედ არაინფორმირებულობაშია, მათ არ აქვთ სათანადო და საკმარისი ინფორმაცია. სანამ ადამიანი თავად არ წააწყდება მსგავს სირთულეს, მანამადე უჭირს იყოს კეთილგანწყობილი, არ ეშინოდეს. ვფიქრობ, თუ თავად მშობლების აქტიურობა არ იმატებს, არასოდეს შეიცვლება საზოგადოებრივი აზრი. სწორედ ჩვენ, მშობლებმა უნდა დავიცვათ ჩვენი შვილების უფლებები, იქნება ეს განათლება, დასაქმება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია თუ სხვა. პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვუთხრათ დანარჩენ საზოგადოებას, რომ ჩვენ ყველანი





განსხვავებულები ვართ, ზოგი მეტად გავს ერთმანეთს, ზოგიც ნაკლებად, ამიტომ ნუ განსჯი განსხვავებულობისთვის, შეეცადე გაერკვე და მიიღო მეტი ინფორმაცია. ჩემი აზრით ინფორმაციის სიმცირე განაპირობებს შუმბავშვების მიმართ არაკეთილგანწყობილ და მიუღებელ დამოკიდებულებას. ამიტომ მე, როგორც მშობელი, ვაპირებ აქტიური მონაწილეობა მივიღო ინფორმაციის გავრცელებაში”.

მშობლების მოყოლილი ეს ორი ისტორია ნათელს ხდის, რომ მშობლების გარკვეულ ნაწილს გაცნობიერებული აქვს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს, თავად მათ აქტიურ მონაწილეობას საკუთარი შვილების უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის საქმეში. უცხოური გამოცდილება ცვლავს, რომ ძალიან ბევრი ნამონყება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებათა დაცვის, განათლებისა, ჯანდაცვის უზრუნველყოფის და დასაქმების საკითხებში თავად მშობლების ინიცირებულია.

თუმცა ყველა მშობელი, ისევე როგორც ყველა ადამიანი, არ არის ერთნაირად აქტიური და ყველა მშობლისთვის ერთნაირად როდია ინფორმაცია ხელმისაწვდომი. ამიტომ მშობლები ძალიან დაეხმარებიან ერთმანეთს, თუ დაამყარებენ ერთმანეთთან ურთიერთობას, შექმნიან ასოციაციებს, შეეცდებიან სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა საკითხის

დაყენებას და საკუთარი შვილების ინტერესების ერთობლივად ლობირებას. როგორც ზემოთ ავლინებთ, არიან მშობლები, რომლებიც ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან და გარემოდან წამოსული უარყოფითი იმპულსები მათზე ძალიან დამთრგუნველად მოქმედებს. ერთერთი მშობელი, რომელიც მარტო ზრდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილს, ინტერვიუში აღნიშნავს:

„როდესაც გავიგე, რომ ლუკა ვერასოდეს გაივლიდა, ხოლო მოგვიანებით მხედველობის პრობლემებიც აღმოაჩნდა, საერთოდ ჩავიქნიე ხელი ცხოვრებაზე. არ დავდივარ სტუმრად, ჩამოვშორდი ნათესავებს და მეგობრებს. ვხვდები, რომ ჩემ თავში ჩავიკეტე და რაც დრო გადის უფრო და უფრო ვიკეტები. სოციალურმა მუშაკმა ლუკას სკოლაში წაყვანა მირჩია, მაგრამ ვფიქრობ, რომ არ ღირს, იქ ბევრი პრობლემა დამხვდება გადასალახი, რისთვისაც მზად არ ვარ. ისედაც ბევრი გადავიტანე და მაშინებს სიახლეები...”

როგორც ხედავთ, ეს მშობელი საკმაოდ დათრგუნულია. მისთვის მტკივნეულია წარსული და მომავალსაც შიშით უყურებს. სავარაუდოდ მას გაუჭირდება პრობლემების დამოუკიდებლად გადალახვა და აუცილებლად სჭირდება ფსიქოლოგის დახმარება.

დედის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. თუ დედა დათრგუნულია და საკუთარი შვილის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის უნარი და ძალა არ შესწევს, ბავშვი ძალიან ბევრ რამეს აკლდება და მისი რეაბილიტაცია, განათლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება არ ხდება იმ ხარისხით, რომელიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

# ჩვეთა ცვლილებები, ვისთანაც სუსტობის მქონე ყრდნობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განვითარების ხელშეწყობისთვის მშობლებს ხშირად უწევთ ურთიერთობა სხვადასხვა პროფილის ექიმებთან, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ბავშვის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში. სამედიცინო პერსონალის გარდა არიან ასევე მომიჯნავე დარგების სპეციალისტები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვის განვითარებაში. განვიხილოთ, თუ ვინ არიან ეს სპეციალისტები და რა არის თითოეული მათგანის ფუნქცია:

## ფსიქოლოგი

ფსიქოლოგი არის სპეციალისტი, რომელმაც უნდა შეაფასოს თქვენი შვილის კოგნიტური და ემოციური განვითარება, შეაფასოს ბავშვის ქცევა, დაადგინოს მისი განვითარების ამჟამინდელი დონე და თქვენთან ერთად დასახოს განვითარების სტარატეგია. გარდა შეფასებისა და დიაგნოსტიკისა ფსიქოლოგის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ინტერვენციაც, ანუ ბავშვის განვითარების სტიმულირებისთვის საჭირო დახმარების შემუშავება. იგი მუშაობს როგორც ბავშვის განათლების პროგრამის შექმნასა და განხორციელებაზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს რთულ ქცევაზე დაკვირვებას და მართვას.

## როდის გვჭირდება ფსიქოლოგის ჩარევა

ფსიქოლოგის დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს შესაძლოა დასჭირდეს განვითარების ყველა ეტაპზე. ფსიქოლოგის ჩარევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგ ეტაპებზე:

- **ჩვილობის ასაკი** – განვითარების ადრეულ ეტაპზე ბავშვი ეცნობა გარემოს, მან უნდა აითვისოს ჩვევები, რომლებიც დაეხმარება გარემოსთან შეგუებაში. ამ დროს ბავშვს სჭირდება სწორი განმავითარებელი სტიმულები სათამაშოების და სხვა საგნების სახით. ჩვილის რეაქციები ზღვრულია, მან იცის ტირილი და სიცილი, გამოსცემს ბგერებს, თანდათანობით სწავლობს ახლობელი ადამიანების გარჩევას და განსაკუთრებით ეჯაჭვება იმას, ვინც ყველაზე მეტად ზრუნავს მასზე. ბავშვის ჩვილობის ასაკში, ფსიქოლოგი გაგინევთ რეკომენდაციებს, თუ როგორ განასხვავოთ ბავშვის რეაქციები, როგორ შეუქმნათ სანდო და უსაფრთხო გარემო და ადრეულ ასაკშივე იზრუნოთ ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე.
- **სკოლამდელი პერიოდი** — ბავშვის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია. ბავშვს უნდა განუვითარდეს ინტერესი და დაეუფლოს ჩვევებს, რომელიც მისი შემდგომი განათლების საფუძველი გახდება. როგორც ვთქვით, ყველა ბავშვი განსხვავებულად ვითარდება. იმისათვის, რომ თქვენ ზუსტად იცოდეთ, თუ რომელი უნარების განვითარებაში სჭირდება მას დახმარება და სპეციალური საგანმანათლებლო სტრატეგიების შერ-



ჩევა, აუცილებელია ფსიქოლოგის კვალიფიციური ჩარევა, მისი რჩევების გათვალისწინება.

- **სასკოლო ასაკი** — სკოლაში შესვლა ბევრ რთულ ამოცანას უყენებს თქვენს პატარას, მას ახლა მოეთხოვება მთელი რიგი წესების დაცვა და სხვადასხვა დავალებების შესრულება. დავალებების შეს-

რულება ან არშესრულება მხოლოდ განათლების მიღებასთან არ არის დაკავშირებული, ამ დროს ყალიბდება მისი პიროვნული თვისებებიც. ასე მაგალითად: თუ სკოლა მას ყოველთვის რთულ და დაუძლეველ დავალებებს დაუსახავს, რომლის შესრულებისთვისაც ბავშვი მზად არ არის, მას ჩამოუყალიბდება დაბალი თვითშეფასება და ჩათვლის, რომ ის ვერ უძლებს გარემოს მოთხოვნებს. ხოლო, თუ საშინაო დავალებებს მის მაგივრად თქვენ დანერტ ხოლმე, ბავშვი გახდება უინიციატივო და ჩათვლის, რომ ყოველთვის სხვისი დახმარებით უნდა გავიდეს ფონს, შესაბამისად ვერ გამოიმუშავებს იმ მნიშვნელოვან თვისებას, რასაც სიძნელეების გადალახვა ჰქვია. ამდენად, თქვენ აუცილებლად დაგჭირდებათ ფსიქოლოგის დახმარება, რომელიც სკოლის მასწავლებლებთან ერთად ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას შეიმუშავებს და ასევე დაეხმარება ბავშვს, გახდეს კლასის სრულყოფილი წევრი.

■ **გარდატეხის ასაკი** — ამ ეტაპს გარკვეული სირთულეებით გადიან მოზარდები ორგანიზმში მიმდინარე მთელი რიგი ბიოლოგიური ცვლილებების გამო. გარდატეხის ასაკში იცვლება მოზარდების ხასიათი და ინტერესები, ისინი ნაკლებად გვემორჩილებიან ამ დროს და ზოგჯერ გაღიზიანებულები და აგრესიულები, ხოლო ზოგჯერ პირიქით სევდიანები ხდებიან. ფსიქოლოგი მოგცემთ რჩევებს, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში, რათა ერთის მხრივ ხელი შეუწყოთ და პატივი სცეთ მოზარდების „დიდობის ასაკში შესვლას“, ხოლო, მეორეს მხრივ, დარჩეთ ავტორიტეტად მის თვალში.

■ **მშობლის დახმარება** — ფსიქოლოგის დახმარება თავად მშობლისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ფსიქოლოგი თქვენ გაძლევთ რეკომენდაციებს ბავშვის განვითარების ხელშეწყობისათვის, ის ასევე თქვენც გეხმარებათ, რადგან ისმენს თქვენს პრობლემებს და გაძლევთ მხარდამჭერ უკუკავშირს, გინერგავთ იმედს, გეხმარებათ დაინახოთ ბავშვის ძლიერი მხარეები და გააცნობიეროთ ნარმატების მიღწევის საშუალებები.

### **ამრიგად ფსიქოლოგის ფუნქციებია:**

- ◆ ბავშვის განვითარების დიაგნოსტიკება;
- ◆ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში წვლილის შეტანა;
- ◆ პრობლემური ქცევის მართვა;
- ◆ ბავშვის დამოუკიდებლად ფუნქციონირების გაზრდა (თვით-მოვლის უნარჩვევების განვითარების ხელშეწყობა);
- ◆ მშობლის მხარდაჭერა და რეკომენდაციებით უზრუნველყოფა;
- ◆ მშობელთან და სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

ფსიქოლოგი მუშაობის პროცესში არ არის მარტო, ის თქვენთან ერთად მუშაობს ბავშვის განვითარებაზე.

თქვენი, როგორც მშობლის აქტიური ჩართულობის გარეშე მისი მუშაობა უშედეგო იქნება.

### **ამრიგად, ფსიქოლოგი მუშაობის პროცესში**

- ◆ აქტიურად თანამშრომლობს მშობელთან;
- ◆ ურთირთობს სხვა სპეციალისტებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

## **სოციალური მუშაი**

სოციალური მუშაკი არის სპეციალისტი, რომელიც ემსახურება დაუცველთა, უმწეოთა, ღარიბთა და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინირებულთა დაცვას. სოციალური მუშაკის უმთავრესი მოვალეობაა დაეხმაროს საზოგადოების დაუცველი ფენების წარმომადგენლებს სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მისი დანიშნულებაა აღადგინოს იმ ადამიანების საზოგადოებაში ფუნქციონირება, რომლებიც

გარკვეული მიზეზების გამო, ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ. სოციალური მუშაკი არის შუამავალი ინდივიდებსა და სხვადასხვა ინსტიტუციებსა და ინსტანციებს შორის.

### **ვისთან მუშაობენ სოციალური მუშაკები**

ინდივიდს, ჯგუფს ან ორგანიზაციას, რომელთანაც მუშაობს სოციალური მუშაკი, პროფესიულ ენაზე კლიენტი ჰქვია. კლიენტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად ასაკისა, ჯანმრთელობის ან სოციალური მდგომარეობისა, რელიგიური კუთვნილებისა. განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ მუშაკთა მოღვაწეობის არეალი ძალიან მრავალფეროვანია. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი ჯგუფები, რომლებთანაც სოციალური მუშაკები მუშაობენ *(მომზადებულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა მასალებიდან)*:

- ობლები, ქუჩის ბავშვები, გაშვილებული ბავშვები, განვითარების პრობლემების მქონე ბავშვები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები;
- სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები და ინდივიდები;
- უმუშევრები;
- უსახლკარონი;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები და მოძალადეები;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვები;
- მეძავები;
- შიდსით დაავადებულნი და მათი ოჯახები;
- კანონდამრღვევი ინდივიდები;
- მარტოხელა მშობლები;
- ქორწინებაში არმყოფი ფეხმძიმე მოზარდები;
- ფსიქიკურად დაავადებულნი;
- დევნილები;
- ეთნიკური, სექსუალური, რელიგიური უმცირესობები;
- ხანდაზმულები;
- ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების მქონე ადამიანები;

- ტრავმა გადატანილი და სტრესულ მდგომარეობაში მყოფი პირები.

### **როლის გვჭირდება სოციალური მუშაკის ჩარევა:**

სოციალური მუშაკის ჩარევა შესაძლოა დაგვჭირდეს სხვადასხვა პრობლემების მოგვარების დროს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იცვლება ბავშვის ცხოვრებისეული სიტუაციები:

- **პრობლემის სათავეებთან:** როდესაც თქვენ პირველად გაიგებთ, რომ თქვენი ბავშვი ხასიათდება პრობლემური განვითარებით, თქვენ უმალ დაგჭირდებათ ინფორმაცია, თუ რა სერვისები (მომსახურების რა სახეები) არსებობს ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია მიიყვანოთ ბავშვი. ეს შეიძლება იყოს — სარეაბილიტაციო ცენტრები, დღის მოვლის ცენტრები, ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობენ შშმ ბავშვებს და ასევე მათ მშობლებს. ვინაიდან თქვენ აქამდე არ გქონიათ შეხება მსგავს სიტუაციასთან თქვენ აუცილებლად გჭირდებათ სპეციალისტები, რომელნიც შეაფასებენ თქვენი შვილის საჭიროებებს და შეგირჩევენ მისთვის შესაბამის საგანმანათლებლო თუ სარეაბილიტაციო დაწესებულებებს.
- **სკოლაში შესვლისას:** სოციალური მუშაკი სკოლასა და ოჯახს შორის დამაკავშირებელი რგოლია. მას შემდეგ, რაც სოციალური მუშაკი შეაფასებს ბავშვის მდგომარეობას, ის სხვა სპეციალისტებთან ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას, სჭირდება თუ არა ბავშვს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა და გაგიწევთ რეკომენდაციას, თუ რომელი სკოლა შეძლებს ოპტიმალურად დააკმაყოფილოს თქვენი შვილის საგანმანათლებლო ინტერესები.
- **ეკონომიკური პრობლემებისას:** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს უფრო მეტი საზრუნავი აქვთ. მათ ხშირად სჭირდებათ მედიკამენტები, სამედიცინო ჩარევა, ეტლი ან სხვა დამხმარე საშუალებები, სარეაბილიტაციო კურსი, და ა. შ. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მშობელი



ჩვენს ქვეყანაში მარტოა ამ პრობლემებთან და სახელმწიფო ვერ აფინანსებს ყველა ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებებს. თუმცა, სოციალური მუშაკის ვალია ებრძოდეს სიღარიბეს და დისკრიმინაციას. შესაბამისად იგი ზრუნავს სხვადასხვა დამხმარე პროგრამების მოძიებაზე და თუ თქვენ მასთან კავშირი გექნებათ, ის შეეცდება გამოძებნოს თქვენთვის შესაფერისი პროგრამა.

- **როდესაც ირღვევა ბავშვის და/ან თქვენი უფლებები:** სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შეინიშნება დისკრიმინაციული დამოკიდებულება განსხვავებული ადამიანების მიმართ. ეს ქმნის რეალურ ბარიერს მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. მაგ.: თუკი თქვენ შვილი მიიყვანეთ საბავშვო ბაღში და სხვა მშობლების მხრიდან ვერ მიიღეთ სასურველი მხარდაჭერა ან ვერ დაინახეთ ჯანსაღი მიმღებლობა, მეტიც, ნახეთ, რომ ირღვევა ბავშვის უფლებები – და ის არ არის ჩართული კლასის აქტივობებში, როგორც ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი, სოციალური მუშაკის მოვალეობაა შეასრულოს შუამავლის როლი თქვენსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის, გაერკვეს პრობლემაში და ორივე მხარეს გაგინიოთ რეკომენდაციები.

#### **ამრიგად სოციალური მუშაკის ფუნქციებია:**

- შეაფასოს ბავშვის და ოჯახის მდგომარეობა;
- გაგინიოთ სწორი რეფერირება (გადამისამართება) საჭირო სპეციალისტთან;
- ხელი შეუწყოს ბავშვის სოციალურ ინტეგრაციას;
- დაიცვას თქვენი და თქვენი შვილის უფლებები;
- შეასრულოს შუამავლის როლი თქვენსა და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებს შორის.

## მახვალაბის თარაჯავბი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უმეტესობას აქვს მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები. ეს შეიძლება ვლინდებოდეს ბგერებისა და სიტყვების წარმოთქმის სირთულეში ან მცირე ლექსიკურ მარაგში. მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) ზრუნავს თქვენი შვილის ლექსიკური მარაგის გაზრდაზე, ასევე უნვითარებს მას მოსმენისა და ინსტრუქციის გაგების უნარ-ჩვევას. სიტყვების გაგებისა და სწორად წარმოთქმის გარდა, ბავშვს სჭირდება სწორი კომუნიკაციური უნარების განვითარებაც. მეტყველების თერაპევტი თქვენთან ერთად ზრუნავს ამ ფუნქციების განვითარებასა და კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებაზე.

## ოჯუპაციური თარაჯავბი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ესაჭიროებათ დამოუკიდებლად ფუნქციონირების დონის ამაღლება, გარემოსთან ადაპტაცია, საჭირო ინვენტარის არსებულ შესაძლებლობებზე მორგება, რაც ყოველი კონკრეტული ბავშვისათვის ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. ოკუპაციური თერაპევტი სწორედ ამგვარ ქმედებებს ასრულებს.

ოკუპაციური თერაპია არის მეთოდი, რომელიც ცდილობს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას ოკუპაციის გზით. ოკუპაციური თერაპიის ძირითადი მიზანია, საშუალება მისცეს შშმ ადამიანებს, მონაწილეობა მიიღონ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საქმიანობაში.

ოკუპაციური თერაპია მკურნალობს ფიზიკურად და გონებრივად უნარშეზღუდულ ადამიანებს სპეციფიურად შერჩეული აქტივობების საშუალებით. დარგის მიზანია, დაეხმაროს პიროვნებას, რათა მან მიაღწიოს ფუნქციონირების მაქსიმალურ დონეს და დამოუკიდებლობას ცხოვრების ყველა სფეროში.

ოკუპაციური თერაპევტი ამ შედეგს აღწევს იმით, რომ საშუალებას აძლევს ბავშვს შეასრულოს ისეთი საქმიანობა, რომელიც გაზრდის მის მონაწილეობის ხარისხს გარემოში (გამოყენებულია მასალა წიგნიდან: „ოკუპაციური თერაპია“, მ. გელოვანი, თ. თავართქილაძე. სიესტა, 2004).

## სპეციალური მასწავლებელი

სკოლებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სწავლობენ, გარდა საგნის მასწავლებლისა შესაძლოა იყოს სპეციალური მასწავლებელიც. ეს არის პედაგოგი, რომელმაც კარგად იცის ბავშვის განვითარების დარღვევები და ქცევის მართვის სტრატეგიები. თუ სპეციალური მასწავლებელი მოღვაწეობს სკოლაში, ის, საგნის მასწავლებელთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის ადეკვატურობას და ბავშვისთვის მისაწვდომობას, მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და წარმართვაში. სპეციალური მასწავლებელი ასევე, შესაძლოა, მოღვაწეობდეს დღის ცენტრში ან სპეციალურ სკოლაში (მაგალითად სმენადაქვეითებულთა სკოლა, უსინათლოთა სკოლა და სხვ). გარდა კონკრეტული საგნის ცოდნისა, იგი ფლობს სპეციალურ ცოდნას და უნარებს, რათა ასწავლოს იმ ბავშვებს, რომელნიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდებიან და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ.



## ოჯახის მასწავლებელი

ბოლო წლების მანძილზე აქტუალური გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ოჯახში სწავლებისა და აღზრდის საკითხები. ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტებისაგან განსხვავებით, ოჯახის მასწავლებელი არის სპეციალისტი, რომელიც ზრუნავს ბავშვის აღზრდასა და განათლებაზე, თქვენს ოჯახში რეგულარული ვიზიტების მეშვეობით. ოჯახის მასწავლებლის ფუნქციებში შედის ბავშვის განვითარების პედაგოგიური შეფასება და თქვენთვის დახმარების აღმოჩენა ბავშვის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამით განსხვავდება ოჯახის მასწავლებელი ძიძისგან. ოჯახის მასწავლებელი, აგრეთვე, ზრუნავს ბავშვის არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფუნქციური ჩვევების განვითარებაზეც. ესენია: დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა-გახდა, საოჯახო საქმიანობა.

## ოჯახი და აღზრდა

ოჯახური გარემო უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბავშვის განვითარებასა და სოციალიზაციის პროცესში. მშობელთა აღზრდის სტილი, სიყვარულის გამომჟღავნება, აკრძალვები და კონტროლი, პირადი მაგალითის ჩვენება არის წინაპირობა ბავშვის სოციალური უნარების განვითარებისათვის.

ოჯახური გარემო ბავშვისთვის წარმოადგენს ადგილს, სადაც მას შეუძლია თავი იგრძნოს უსაფრთხოდ, დაცულად, ჰქონდეს დასვენებისა და მეცადინეობის პირობები. ასევე, ოჯახის წევრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვის ცხოვრებაში. დედა, მამა, და-ძმები, ბებია-ბაბუა, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც გარესამყაროს მაგალითს წარმოადგენენ ბავშვისათვის. სწორედ ოჯახის წევრებისგან სწავლობენ ისინი ქცევის წესებს.

## აღზრდის სხვადასხვა სტილი

ფსიქოლოგებმა შეისწავლეს სხვადასხვა აღზრდითი სტრატეგიები. აღმოჩნდა, რომ ყველა მშობელი განსხვავებულ სტილს იყენებს შვილების აღზრდის პროცესში. ქვემოთ ჩამოთვლილია აღზრდის 4 სტილი:

**ავტორიტეტული** – ეს არის აღზრდის ისეთი სტილი, რომელიც გამოირჩევა ბავშვების მიმართ ერთდროულად კონტროლით და ამავე დროს თბილი დამოკიდებულებით. ამ შემთხვევაში მშობლები ყოველთვის ეკითხებიან ბავშვს, თუ რა სურს თვითონ მას, აძლევენ

*გზამკვლევი მშობლებისათვის*



არჩევანის საშუალებას, უსმენენ პატარებს, როდესაც ისინი აზრს გამოთქვამენ. ავტორიტეტული მშობლები ასევე აკონტროლებენ ბავშვის ქცევას, რაიმე საქციელის აკრძალვის შემთხვევაში უხსნიან აკრძალვის მიზეზს. ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვები უფრო მეტად ადაპტირებულნი, თავდაჯერებულნი და სოციალურად კომპეტენტურები არიან. დროთა განმავლობაში მათ უყალიბდებათ მაღალი თვითშეფასება და სკოლაში ბევრად უკეთ სწავლობენ, ვიდრე სხვა ტიპის მშობლების შვილები.

**ავტორიტარული** – ამ შემთხვევაში მშობლები აკონტროლებენ თავიანთი შვილების ქცევას და აიძულებენ დაემორჩილონ წესებს. მშობლები იძლევიან ბრძანებებს და ბავშვებისგან ელიან მათ შესრულებას. ბავშვები კი არიან ჩაკეტილები, გაღიზიანებულნი, დათრგუნულები; არ ისწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ. ამ შემთხვევაში ბავშვს შესაძლოა დაეკარგოს მშობლის მიმართ დადებითი ემოციური ურთიერთობები, რადგან უგულებელყოფილია მისი არჩევანის საშუალება, ხოლო აკრძალვები ყოველგვარი ახსნის გარეშე, ბავშვს უყალიბებს დაბალ თვითშეფასებას, არაკომპეტენტურობის განცდას. ავტორიტარული მშობლების შვილები საკუთარი

კომპეტენტურობის დამტკიცებას ზოგჯერ ასოციალური ქცევებით ცდილობენ, ოჯახში უპირობო დამორჩილებას მიჩვეულნი, ქუჩაში ახდენენ ძალის დემონსტრირებას, ეს ერთგვარი კომპენსატორული მექანიზმია. ეს ხსნის ბევრი ადამიანისათვის გაურკვეველ პარადოქსს, თუ რატომ არიან უმკაცრესი მშობლების შვილები ხშირ შემთხვევაში კანონდამრღვევები. ვლინდება განსხვავებული შემთხვევებიც: ბავშვი ხდება უნიციატო, არა აქვს წარმატების მიღწევის იმედი, მას უყალიბდება განცდა, რომ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს სხვებს არ მოეწონებათ, შესაბამისად უქვეითდება მოტივაცია.

**ლიბერალური** – ლიბერალურ მშობლებს თავიანთ შვილებთან აქვთ მეგობრული ურთიერთობა. ისინი თითქმის არ აკონტროლებენ ბავშვებს. აძლევენ ყველაფრის უფლებას, უსრულებენ ყველანაირ სურვილს. მშობლები, იმის შიშით, რომ „არ გადაიტვირთოს ბავშვი“, თვითონ ასრულებენ ბავშვის გასაკეთებელ საქმეს. ასეთი მშობლების შვილები ხშირად არიან ჯიუტები, ზოგჯერ აგრესიულები. მათ ექმნებათ პრობლემები ისეთი საქმიანობის შესრულებისას, რომელიც ძალისხმევას მოითხოვს. უძნელდებათ თქვან უარი სიამოვნებაზე. ზოგჯერ ვერ მართავენ საკუთარ ქცევას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. არიან რა მიჩვეულები, რომ ყველაფერი შეუსრულდებათ, არ ერიდებიან ხალხში ისტერიკის მონყობას, ან დემონსტრაციულ საქციელს.

**ინდიფერენტული** – აღზრდის ასეთი სტილი ვლინდება, როდესაც მშობლები უყურადღებოდ ექცევიან ბავშვებს, იგნორირებას უკეთებენ, როგორც მათ დადებით, ისე უარყოფით ქცევას. ასეთი მშობლების შვილები არ არიან განებივრებულნი წახალისებით. ინდიფერენტული მშობლების ქცევის მიზეზი ის არის, რომ მათ მშობლების ფუნქციის შესრულების ნაკლები ინტერესი აქვთ. საკმაოდ ხშირია მაგალითები, როდესაც ახალგაზრდა დამნაშავეთა უმრავლესობა ინდიფერენტული მშობლის შვილი აღმოჩნდება ხოლმე.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი გზობები

ოჯახი, სადაც ერთი ან რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იზრდება, მრავალ პრობლემას აწყდება. მშობლებთან საუბრისას ხშირად იკვეთება პრობლემები, რომლებიც შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს:

- **ფინანსური და მატერიალური პრობლემები** — ოჯახებს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ცხოვრობს, უფრო მეტი ფინანსური ხარჯები აქვთ.
- **საგანმანათლებლო პრობლემები** — ოჯახს უჩნდება პრობლემა, თუ რა და როგორ ასწავლოს ბავშვს, რადგან, შესაძლოა შეინიშნებოდეს ჩამორჩენა ასაკობრივ განვითარებასთან შედარებით.
- **ქცევითი ხასიათის პრობლემები** — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ზოგჯერ აღენიშნებათ ქცევითი აშლილობები, რისი მართვაც სპეციფიკური ცოდნის გარეშე მშობლისთვის სირთულეებთან არის დაკავშირებული.
- **თავად მშობლების მძაფრი ემოციური რეაქციები** — მშობლებს უჭირთ შეგუება მსგავს მოვლენასთან, რაც უფრო გახანგრძლივდება შეგუების პროცესი, მით უფრო მატულობს მშობლების უარყოფითი ემოციური განცდები.

წინა თავში „ოჯახი და აღზრდა“ განხილული აღზრდის სხვადასხვა სტილი დამატებით იქნა შესწავლილი იმ ოჯახებში, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი ჰყავთ. აღმოჩნდა, რომ მშობლების ქცევა შვილებთან მიმართებაში იცვლება, თუ ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობისაა. ასევე, მშობლებს თუ ორი ან მეტი შვილი ჰყავთ, შეიძლება თითოეულ მათგანთან აღზრდის სხვადასხვა სტილს იყენებდნენ (*მასალა მომზადებულია ნიგნიდან „ინკლუზიური განათლება“, თ. პაჭკორია, 2008*).

- **ზედმეტად მზრუნველი მშობელი** — ზოგჯერ მშობელი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ჰყავს,

*გზამკვლევი მშობლებისათვის*



ბავშვის მიმართ ამჟღავნებს ზედმეტ მზრუნველობას, არ აძლევს მას შესაძლებლობას თავად მოსინჯოს საკუთარი ძალები. ამ შემთხვევაში ბავშვის დამოუკიდებლობის ხარისხი არ იზრდება, მას არ უმუშავდება საზოგადოებაში მოქცევის და თვითმომსახურების ჩვევები. ამგვარი მიდგომა აფერხებს ბავშვის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამ დროს მშობლის მოტივაცია მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვი აარიდოს საფრთხეს, მაგრამ შედეგად ვლტებულობთ პასიურ და ზოგჯერ ჭირვეულ ბავშვს.

- **უყურადღებო მშობელი** — ზოგიერთი მშობელს, როდესაც გაიგებს საკუთარი შვილის შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, უჩნდება აზრი, რომ ბავშვი მაინც ვერაფერს მიაღწევს ცხოვრებაში და საერთოდ აღარ ზრუნავს მის განვითარებაზე. თუ ბავშვი არ შეესაბამება მშობლის მიერ შექმნილ იდეალურ ხატს, მშობელმა შეიძლება ნაადრევად ჩაიქნიოს ხელი მის სწავლებაზე. შედეგად ბავშვი, მშობლის უყურადღებობის გამო, შესაძლოა არ დადიოდეს სკოლაში, არ ჰყავდეს მეგობრები, არ იყოს ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამგვარი დამოკიდებულება აფერხებს ბავშვის პოტენციალის რეალიზებას. ამ შემთხვევაში მშობელს სჭირდება დახმარება, რათა მან ბავშვში ობიექტურად დაინახოს მისი ძლიერი მხარეები.
- **დაბნეული მშობელი** — მშობლების გარკვეული ნაწილს შვილის მდგომარეობის გაგება სასონარკვეთილებაში აგდებს. ის სირთულეები, რომლებსაც ბავშვები აწყდებიან გარემოსთან ადაპტაციის პროცესში მშობელს აბნევს და იმედებს უცრუებს. შესაბამისად, ის სათანადოდ ვეღარ ზრუნავს ბავშვის განვითარებაზე, ხოლო ბავშვს ემატება კიდევ სხვა პრობლემა — ემოციური ურთიერთობები მშობლებთან ვეღარ ვითარდება ჰარმონიულად, ბავშვს არ უყალიბდება ნდობა გარემოსადმი და უსაფრთხოების განცდა.
- **სასტიკი მშობლები** — ზოგიერთ მშობელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილთან ურთიერთობისას გაუმართლებლად მკაცრი პოზიცია აქვს. ისინი მოითხოვენ მისგან ყველა

დავალებისა და სავარჯიშოს უნაკლო შესრულებას და არ ითვალისწინებენ მის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს. არცთუ ისე იშვიათად მიმართავენ დასჯის სხვადასხვა მეთოდსაც. ასეთი მოპყრობის შედეგად ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა უფრო მეტად უარესდება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ძილის დარღვევა, შარდის შეუკავებლობა, კრთომები და კრუნჩხვაც კი.

## როგორია გზობის ჰოზიბური დამოხილვაულება

როდესაც მშობლები რწმუნდებიან, რომ მათი შვილი ჩამორჩება გონებრივ თუ ფიზიკურ განვითარებაში, რჩევისათვის ექიმს მიმართავენ, აინტერესებთ, როგორი სათამაშოები და როგორი ნივთები სჭირდება მას, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი შვილი განსხვავებულია და არაფრით არ წააგავს „ნორმალურ ბავშვებს“, მაგრამ „ნორმალური“ ბავშვის მშობელი არ ეკითხება ექიმს და არც სპეციალურ ლიტერატურაში ეძებს, თუ როგორი ინტერესები აქვს მის შვილს, უბრალოდ, თვალს ადევნებს ბავშვის თამაშს და იცის, რომელი სათამაშო მოსწონს და რომელი — არა. დედა ხედავს საით მიუწევს ბავშვს გული და არჩევანში ეხმარება. რასაკვირველია, სპეციალისტის კონსულტაციები მნიშვნელოვანია,



მაგრამ როგორც ყველა მშობელმა, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის მშობელმაც თვითონ უნდა განსაზღვროს საკუთარი შვილის ინტერესები. დაგვერწმუნეთ, იგი არაფრით განსხვავდება ყველა დანარჩენისგან. თუ ყურადღებით მიადევნებთ თვალს, ად-

გზამკვლევი მშობლებისათვის

ვილად მიხვდებით, რა ანიჭებს მას კმაყოფილებას. ბავშვს სჭირდება ის სათამაშოები, რაც მას მოსწონს, იმ ბავშვებთან ურთიერთობა, ვისთანაც თავს თავისუფლად და კარგად გრძნობს. ირგვლივ მყოფთ იგი უნდა უყვარდეთ და იღებდნენ ისეთს, როგორიც არის, უნდა აფასებდნენ მის დადებით თვისებებს. ეს მას ჰაერივით სჭირდება.

მშობლების მიერ უნდა მოხდეს ბავშვის (მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით) აქტიური ჩართვა ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს იმ მიმართულებით, რომ მან იცოდეს არა მხოლოდ თვითმომსახურება (დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა და ა.შ.), არამედ ჰქონდეს გარკვეული მოვალეობანი და პასუხისმგებლობები (სუფრის გაშლა, ჭურჭლის ალაგება და ა.შ.). სხვა ადამიანებზე ზრუნვის საკითხში წვლილის შეტანა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს შესძენს საკუთარი ძალების რწმენას და გახდის მეგობრულს.

ზოგიერთი მშობელი, იმის შიშით, რომ ბავშვი დავარდება, გატეხავს ჭურჭელს ან არასწორად ჩაიცვამს, არ აძლევს მას დამოუკიდებლად რამის გაკეთების საშუალებას, რაც ბავშვის პასიურობას იწვევს. იგი უარს ამბობს დავალების შესრულებაზე, არ შეუძლია კოლექტიური თამაშის წესების დაცვა. ამდენად, ბავშვისათვის სირთულეების თავიდან აცილების სურვილი, მასზე მუდმივი ზრუნვა, ყველაფრისაგან დაცვა, რამაც შესაძლოა გული დასწყვიტოს, განაპირობებს ბავშვის მდგომარეობის გართულებას მრავალი წლის მანძილზე.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვს ან მოზარდს, ისეთი დავალება უნდა მიეცეთ, რომლის შესრულების უნარიც მას გააჩნია. თუ ჩვენ მას მუდმივად დავავალებთ მისთვის რთული საქმიანობის შესრულებას, მაშინ მასში გავზრდით არაკომპეტენტურობის შეგრძნებას და საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას.

მოთმინება, ორგანიზებულობა და ოპტიმიზმი — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ოჯახში აღზრდის მთავარი პირობებია.

## და-ძმები (სიბლინგები)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და მისი და-ძმების ერთმანეთთან დამოკიდებულება მნიშვნელოვანია ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის.

ბავშვები ერთმანეთისგან ბევრ რამეს ითვისებენ, პირველ რიგში კი სოციალურ უნარებს იძენენ. დედმამიშვილები ერთმანეთთან ურთიერთობენ თამაშის და სხვა ოჯახური აქტივობების პროცესში. ზოგ-



ჯერმათ, შესაძლოა, კინკლაობაც მოუვიდეთ, ესეც პრობლემების დამოუკიდებლად გადალახვის სწავლის ერთერთი შესაძლებლობაა. თუ და-ძმებს შორის ხშირია კონფლიქტები, მშობლებმა არ უნდა ნაახალისონ და არც უგულბებელყონ ბავშვების საქციელი, წინააღმდეგ

შემთხვევაში ბავშვები ჩათვლიან, რომ კონფლიქტი ურთიერთობისას ერთერთი გამართლებული საქციელია.

როდესაც სიბლინგები (დედმამიშვილები) ერთად ცხოვრობენ ოჯახში და ერთერთი მათგანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია, შესაძლოა დანარჩენი და-ძმები გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ:

- **ეჭვიანობა.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სიბლინგმა შესაძლოა ჩათვალოს, რომ მთელი ყურადღება მის დაზე ან ძმაზეა მიმართული, რის გამოც თავად მოკლებულია მშობლის საჭირო მზრუნველობას. ამის გამო შეიძლება ეგონოს, რომ მისი დედმამიშვილი უფრო უყვართ, ვიდრე ის, დაეკარგოს კეთილგანწყობა და მიმღებლობა, გაუჩნდეს აგრესია, რაც და-ძმებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის განვითარებას ხელს შეუშლის.

- **სიბრალო.** შესაძლოა სიბლინგს გაუჩნდეს სიბრალოლის განცდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დის ან ძმის მიმართ, აფასებდეს, როგორც „საწყალს“, არ ჰქონდეს იმის რწმენა, რომ მასაც გააჩნია განვითარების ინდივიდუალური პერსპექტივები, სიტუაციას აფასებდეს, როგორც უიმედოს. ამგვარი დამოკიდებულება ც განიხილება, როგორც ნეგატიური, რადგან ერთი მეორეს არ უყურებს, როგორც თანასწორს.
- **დაჩაგრვა.** შესაძლოა ჯანმრთელმა სიბლინგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ძმა დაჩაგროს, ხოლო ამ უკანასკნელს არ შესწევდეს ძალა დაიცვას საკუთარი ინტერესები. ართმევდეს მას სათამაშოებს, არ რთავდეს თამაშებში, დომინირებდეს მასზე. შედეგად ორივე მათგანს ჩამოუყალიბდება არაადეკვატური თვითშეფასება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს არ ჩამოუყალიბდება კომპეტენტურობა, ხოლო მისი სიბლინგი ჩათვლის, რომ მეტი უპირატესობით სარგებლობს. ზემოაღნიშნული ურთიერთობა არასწორი განწყობების შემუშავებას იწვევს.
- **სირცხვილის გრძნობა.** არის შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელი და ან ძმა განიცდის სირცხვილის გრძნობას, მისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დის/ძმის გამო. მას ეშინია, რომ დასცინებენ თანაკლასელები, მეგობრები, გაუჭირდება პირადი ცხოვრების აწყობა. ამის გამო, ის ცდილობს მოარიდოს შუშმ და/ძმა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, უკრძალავს ეზოში გასვლას, სკოლაში სიარულს. ცდილობს „დამალოს“ მისი არსებობა. ამგვარი დამოკიდებულებით ზარალდება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, ასევე მისი დედამამიშვილი. ხელი ეშლება ბავშვის სოციალიზაციას, განათლებას. ასევე, ჯანმრთელი დედამამიშვილი იკეტება თავის ნარმოდგენებში, მას გაუჭირდება მიიღოს რეალობა, ის თუ თავად არ გადალახავს ბარიერს მუდმივი სტრესის ქვეშ იქნება. ამ შემთხვევაში აუცილებელია მშობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმა გამოიჩინონ კეთილგონიერება და დაეხმარონ მათ პრობლემის დაძლევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს ოჯახის ფსიქოლოგის ან სხვა კომპეტენტური პირის ჩართვაც.

## რეკომენდაციები და-ძმებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის:

- შეეცადეთ ყურადღება თანაბრად დაუთმოთ შვილებს, თვითონვე ნუ შეუწყობთ ხელს იმგვარი დამოკიდებულების განვითარებას ოჯახში, როდესაც მთელი ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისკენ იქნება გადატანილი, ხოლო დანარჩენები უყურადღებოდ დარჩებიან. არასოდეს არ თქვათ: „ამას მეტი დრო და დახმარება სჭირდება, ამიტომ თქვენ თავი დამანებეთ“. ამით ორივე მხარე დაზარალდება.
- დაანახეთ დანარჩენ შვილებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვსაც აქვს თავისი ძლიერი მხარეები და შეუძლია მიაღწიოს წარმატებას გარკვეულ სფეროებში.
- მოიფიქრეთ ისეთი თამაშები, რომელშიც ბავშვები, მიუხედავად განსხვავებული შესაძლებლობისა, ხალისით ჩაერთვებიან.
- არ შეუწყობთ ხელი ბავშვის იზოლაციას, პირიქით აქტიურად ეცადეთ, გაზარდოთ მისი ჩართულობა ოჯახურ აქტივობებში.
- შეეცადეთ ხელი შეუწყობთ სიბლინგების თანასწორ და ჰარმონიულ ურთიერთობებს, არ დაუშვათ ფიზიკურად ძლიერმა უპირატესობა მოიპოვოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე.
- აუხსენით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ისეთივე უფლებებით სარგებლობს ოჯახში, როგორც სხვა დანარჩენი, რომ ისიც აქტიური და სრულუფლებიანი წევრია.



■ ზომიერად და ადეკვატურად ჩართეთ უფროსი ასაკის ან უფრო მეტი უნარების მქონე და-ძმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე ზრუნვის სხვადასხვა საკითხებში, მაგრამ ნუ გადააბარებთ მათ მთელ პასუხისმგებლობას.

# ძალადობის გამოყენება ბავშვების მიმართ

აუცილებელია მშობლებმა ხელი შეუწყონ წესრიგის არსებობას ოჯახში, მიმართონ ზომიერ კონტროლს, მაგრამ, ასევე აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ დისციპლინა და ძალადობა ორი აბსოლუტურად განსხვავებული ცნებაა. კონტროლიდან საკმაოდ სწრაფად შეიძლება გადასვლა ძალადობაზე, თუ მშობელი არ შეინარჩუნებს სიმშვიდეს და არ გააცნობიერებს საკუთარ ქცევებს.

სასტიკი მოპყრობა არის ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზიანის გამიზნულად მიყენება. ბავშვებზე ძალადობა მიუღებელია მთელს მსოფლიოში და ბავშვთა უფლებების კონვენციებში ნათლად არის ჩამოყალიბებული დებულებები, თუ როგორ დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან. შვილებზე ძალადობა ისჯება კანონით, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი დანაშაული.

ზოგიერთი მშობელი წარსულში თვლიდა, რომ რადგან შვილი მისი „საკუთრებაა“ მას შეუძლია ისე მოექცეს, როგორც საჭიროდ მიაჩნია. სამწუხაროდ, შვილებზე ძალადობის ფაქტები ახლაც ხდება ოჯახებში, ამდენად ეს თემა ძალიან აქტუალურია. აღსანიშნავია, რომ ძალადობა, როგორც ეს ზოგჯერ შეცდომით ჰგონიათ მშობლებს, არ არის მხოლოდ ფიზიკური ზიანის მიყენება, ცემა, ჩქმეტა და ა.შ. ძალადობად ითვლება უყურადღებობა, ბავშვის საჭიროებების უგულებელყოფა და სხვ.

მშობელთა მიერ შვილებზე განხორციელებული სასტიკი მოპყრობა და ძალადობა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული მიზეზების მქონეა.

ზოგ შემთხვევაში მშობლებს აღენიშნებათ ფსიქიკური დაავადებები, ისინი ვერ აცნობიერებენ საკუთარ საქციელს და ვერ იღებენ პასუხისმგებლობას ჩადენილზე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დარგის სპეციალისტებისა და სოციალური მუშაკის ჩართვა.

ზოგჯერ მშობლების მიერ ფიზიკური დასჯის მეთოდების გამოყენება დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე, რადგან ოჯახში არსებული სიღარიბის, უმუშევრობის და გაჭირვების ფონზე უფრო ხშირია ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტები.

ერთერთი ფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად, მშობლები ხშირად მოქმედებენ ისე, როგორც მათ თავად ეპყრობოდნენ მათი მშობლები, ამიტომაც ხშირია ფაქტები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შემდგომ, ზრდასრულობაში, იგივე მეთოდებს მიმართავს თავისი შვილების აღზრდისას.

ამ პრობლემას აქვს ასევე სიტუაციური ახსნაც, რომლის მიხედვითაც სასტიკი მოპყრობის მიზეზები არის ურთიერთობების ფორმებსა და ურთიერთქმედების სირთულეებში. ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს ის თვისებები, რომელიც არ მოსწონს მშობელს და სწორედ ეს გახდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზი. ამრიგად, შესაძლოა პრობლემები ისევე მშობლის განწყობებში ვეძიოთ, როდესაც მისი წარმოდგენები არ ემთხვევა რეალურ მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ, რომ რეალურ მდგომარეობას ხშირად ვერ შევცვლით, მაგრამ ყოველთვის შეგვიძლია შევცვალოთ საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება.

## ძალადობის ფორმები

ბავშვზე ძალადობის ფორმები ოთხ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ფიზიკური ზიანის მიყენება, უყურადღებოდ მიტოვება, ემოციური შეურაცხყოფა და სექსუალური ძალადობა. *ქვემოთ მოყვანილი განმარტებანი ეფუძნება ნორმებს, რომლებიც დიდ ბრიტანეთში 1991 წელს შეიმუშავა ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტმა.*



**ფიზიკური ზიანის მიყენება** – ამ კატეგორიაში შედის ძალადობის ისეთი ფორმები, როგორცაა ცემა, ყურის აწევა, თმის მონინკვნა, დაბმა და სხვ.

**უყურადღებოდ მიტოვება** — ბავშვის მოთხოვნილებების მუდმივი უგულვებლყოფა, საფრთხისაგან (მათ შორის სიცივისა და შიმშილისაგან) დაუცველობა, ზრუნვის მნიშვნელოვანი ასპექტების შეუსრულებლობა. ბავშვის მარტო დატოვება საფრთხის შემცველ გარემოში.

**ემოციური შეურაცხყოფა** — მუდმივი და გამოკვეთილად ცუდი ემოციური მოპყრობა, ან ემოციური ურთიერთობების საერთოდ უგულვებლყოფა, ბავშვის მიმართ ნეგატიური სიტყვების გამოყენება. ამ ყველაფერს უარყოფითი გავლენა აქვს ბავშვის ემოციურ და ქცევით განვითარებაზე.

**სექსუალური ძალადობა** — ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს როგორც ბიოლოგიური, ასევე ჩამნაცვლებელი მშობლისგან, ასეთ შემთხვევაში ამგვარ ფაქტს ასევე თან ერთვის ხოლმე ბავშვის დაშინება და მუქარა, რომ მან არ გათქვას მომხდარი.

ძალადობის ნებისმიერმა ფორმამ შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და განვითარების შეფერხება, ასევე ჩამორჩენა სწავლაში, სოციალური იზოლაცია.

ბავშვზე ფიზიკური ძალადობა წარმოადგენს ძალის ბოროტად გამოყენების შედეგს. ბავშვები, მოზრდილებთან შედარებით, ფიზიკურად სუსტები არიან, აგრეთვე დამოკიდებულნი არიან მოზრდილებზე მატერიალურად და ემოციურად.

**აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ძალადობის რისკი ბევრად უფრო მეტია ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო**

- კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეები — ისინი მათ მიმართ ჩადენილ ძალადობას ჩუმად იტანენ, არ აქვთ შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი უფლებები.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ხშირად სხვა ბავშვებთან შედარებით უფრო იზოლირებულნი არიან, არ აქვთ

ხშირი კონტაქტი იმ მოზრდილებთან ან სხვა ბავშვებთან, რომლებსაც მათი დაცვა შეუძლიათ;

- ფიზიკური სისუსტე შესაძლოა გახდეს მიზეზი იმისა, რომ ისინი ვერ იცავენ თავს.
- სხვებზე დამოკიდებულება მოვლისა და ზრუნვის თვალსაზრისით ხშირად ხდება ძალადობის მიზეზი.

ბავშვებზე ძალადობა უმთავრესად მოზრდილების ფიზიკური ძალის არაშესაფერის გამოყენების შედეგია.

## რეკომენდაციები, ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის დაქვეითების

- არასოდეს დაარტყათ – აუხსენით;
- გამოიჩინეთ ნებისყოფა და დაელოდეთ სანამ ბავშვი დაწყნარდება;
- გახსოვდეთ, რომ თქვენი ვალია დააკმაყოფილოთ ბავშვის ბაზისური მოთხოვნილებები, დაიცვათ ის შიმშილის, სიცივის და სხვა საფრთხისგან;
- გამოიჩინეთ ყურადღება, ბავშვს თქვენი ემოციური მხარდაჭერა და სიყვარული ძალიან სჭირდება;
- გულწრფელად გამობატეთ ინტერესი მისი საქმიანობებისადმი, აღიარეთ და დააფასეთ მისი წარმატებები.
- ბავშვს აქვს უფლება მიიღოს თქვენგან ზრუნვის ისეთი გამოვლინება, როგორცაა მატერიალური, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება;
- თუ თქვენ გამოიყენებთ ძალადობას ბავშვის მიმართ (ან მისი თანდასწრებით სხვა ადამიანის მიმართ), ბავშვი ჩათვლის რომ ეს კომუნიკაციის მიღებული ფორმაა. ის ასევე მოიქცევა სხვებთან და თქვენთან მიმართებაში.
- გახსოვდეთ, რომ თქვენს მიერ გამოვლენილი ძალადობა ბავშვის მიმართ თქვენს სისუსტეზე მიანიშნებს – თქვენ ამ დროს სარგებლობთ ძალის დემონსტრირების უპირატესობით, ამგვარი ქცევა კანონსაწინააღმდეგოა.

# თამაშის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში

თამაში ბავშვის გონებრივი, სოციალური და ფიზიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. პატარა ბავშვები ყველაფერს თამაშით სწავლობენ. საკუთარ თავს, საგნებს, ადამიანებს და სამყაროს თამაშის მეშვეობით აღიქვამენ და შეისწავლიან. თამაში ბავშვის შემოქმედებითი უნარის განვითარების, მისი დამოუკიდებლობის, გარემომყოფებთან ნორმალური ურთიერთობის ფორმირებისა და გონებრივი ზრდის საწინდარია. ბავშვი ქცევის მოდელს და უნარ-ჩვევებს, რომლებიც თამაშით შეიმუშავა, მთელი ცხოვრების მანძილზე იყენებს.

სხვებთან თამაშისას ბავშვი სწავლობს ურთიერთობას და თანამშრომლობას. თამაშის ნებისმიერი ფორმა ბავშვს ასწავლის წარუმატებლობის გადალახვას. პირველ ჯერზე წარუმატებლობის შემთხვევაში იგი კიდევ ცდილობს თამაშში წარმატების მიღწევას.

ბავშვებს თამაში სწორედ სიძინელის გამო მოსწონთ. თუმცა სიძინელები დაძლევადი უნდა იყოს, რათა მოტივაცია არ დაეკარგოს.

თამაშის დროს ბავშვები ცდილობენ გააკეთონ ყველაფერი ის, რასაც სხვა ბავშვები და უფროსები აკეთებენ. ამ დროს ბავშვები იმეორებენ სხვის ქცევებს, ხშირი გამეორება კი ჩვევის დასწავლას განაპირობებს.



რაც უფრო პატარაა ბავშვი, თამაში მით უფრო მარტივია, ასაკის მატებასთან ერთად კი თამაშიც რთულდება.

## თამაშის ფორმა

თამაშის ყველა ფორმას აქვს თავისი მიზანი და დანიშნულება. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თამაშის სახეები და თითოეულ ასაკში ნა-



ვახალისოთ ბავშვის მოთხოვნილებები, ხელშემწყობი გარემო შევქმნათ იმისთვის, რომ ესა თუ ის თამაში კიდევ უფრო გავამრავალფეროვნოთ ბავშვისთვის, რათა ბავშვს თამაშის დროს განუვითარდეს შემეცნებითი და სოციალური უნარები.

- 1. სენსორული თამაშები.** ბავშვები ხშირად თამაშობენ სენსორულ თამაშებს. ამ სახის თამაშის დანიშნულებაა სენსორული გამოცდილების შექმნა. ბავშვებს შეუძლიათ დაუსრულებლად წყლით წუნაობა, ჭურჭლის ხმაური, საპნით თამაში, და ქვიშაში კოტრიალი, რათა დატკბნენ ახალი ტაქტილური შეგრძნებით, ხმებით, სუნით და გემოთი. სენსორული თამაშის საშუალებით ბავშვებს უვითარდებათ ფიზიკური და შეგრძნებითი შესაძლებლობები და შეისწავლიან გარშემო მყოფი ნივთების თვისებებს.

**რეკომენდაცია:** ხელი შეუწყეთ პატარებს უხვად მიიღონ სენსორული სტიმულაციები (მხედველობითი, სმენითი, შეხებითი), მოამარაგეთ ფერადი და სხვადასხვა ხმიანი სათამაშოებით. ასწავლეთ ამ სათამაშოების გამოყენება, საკუთარი ქცევის დემონსტრირებით.

- 2. სიტყვებით თამაში.** ბავშვებს უყვართ სიტყვებით თამაში. ისინი აერთებენ სიტყვებს, ცვლიან მათ მნიშვნელობას და აინ-

ტერესებთ რამდენად კარგად ესმით ეს მათ გარშემომყოფებს. ამ თამაშის დროს ბავშვისთვის არა სიტყვის შინაარსია მნიშვნელოვანი, არამედ, ბგერებით და მეტყველების ფორმებით თამაში.

**რეკომენდაცია:** იმისათვის, რომ მეტყველების განვითარება დაუბრკოლებლივ განხორციელდეს აუცილებელია ბავშვებს ვესაუბროთ და ჩვენ თვითონ ვაჩვენოთ სწორი მეტყველების ფორმები, არაა რეკომენდებული ბავშვებთან “ენამორჩლექით” საუბარი, ამით, პირიქით, ჩვენდა უნებურად, ვძენთ მას ლოგოპედიურ პრობლემებს. საუბრისას უყურეთ სახეში და თვალებში, გამოიყენეთ შესაბამისი ინტონაციები. ხშირად ეთამაშეთ სიტყვებით, მაგალითად ოთახში სადაც ბევრი საგანია, ყველა ბავშვმა უნდა დაასახელოს თითო მათგანი. უფრო მოგვიანებით, 5 - 6 წლის ასაკიდან, ასწავლეთ სიტყვების ანალიზი, მაგ. არის თუ არა ასო „ბ“ სიტყვაში „სოკო“ და ა. შ.

- 3. წარმოსახვითი თამაში.** სამი წლის ასაკში ბავშვს ფანტაზიაც უვითარდება და იგი წარმოსახვით თამაშს იწყებს, მაგალითად, „სვამს“ ცარიელი ჭიქიდან, „წერს“ ჯოხით მაგიდაზე, „კითხულობს“ ცარიელ ფურცელს, აჯდება ჯოხს და ცხენივით „აჭენებს“. სხვადასხვა როლის შესრულებით ბავშვი დიდ გამოცდილებას იძენს.

**რეკომენდაცია:** მიეცით ბავშვს გასაქანი, განვითაროს წარმოსახვა, ამავდროულად ასწავლეთ საგნების ფუნქციური მნიშვნელობები.

- 4. როლურ-სიუჟეტური თამაში.** 3 წლის ბავშვი თამაშისას ანსახეირებს სხვადასხვა როლებს, ის მოზრდილივით იქცევა, უფროსის სიტყვებით ლაპარაკობს, თავის თოჯინას ეფერბა, აჭმევს, უვლის და ბანს, ან პირიქით, უბრაზდება და უყვირის. ბავშვის თამაშში აისახება მშობლის ყოველდღიური ცხოვრება — პატარა ხომ ყველაფერს მიბაძვით სწავლობს. ისინი ბაძავენ ძიძებს, ექიმებს, მძღოლებს. ასეთი თამაშები, რომელსაც სიუჟეტურ თამაშებს უწოდებენ, საინტერესოა არა მარტო იმიტაციის გამო, არამედ მასში არის ფანტაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ იმიტაციური თამაშებით ბავშვები ეცნობიან სოციალურ ურთიერთობებს, ნორმებს, ტრადიციებს და სხვ.

**რეკომენდაცია:** იმისათვის როლურ-სიუჟეტური თამაშში სათანადოდ აითვისოს ბავშვმა მას უნდა ჰქონდეს ფართე სოციალური სპექტრი, ხშირად დადიოდეს ცირკში, ზოოპარკში, მაღაზიაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის. აღმზრდელები ხშირად ჩივიან, რომ ბავშვები უფრო მეტად აგრესიულ თამაშებს თამაშობენ, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გადავხედოთ ბავშვის სოციალურ გამოცდილებას, სიტუაციებს რომელშიც ის იმყოფება, რადგან თამაშში ეს ნამდვილი ცხოვრების იმიტირებაა.

**5. წესებიან თამაშები.** ასაკის მატებასთან ერთად თამაშში ვითარდება გარკვეული წესებს დაცვით და აქვს კონკრეტული მიზანი. ბავშვები თანხმდებიან თამაშის მონაწილეთა მოქმედების თანმიმდევრობაზე, იმაზე რა შეიძლება და რა — არა, აწყობენ შეჯობრებებს. ასეთი თამაშები საჭიროებენ გარკვეულ კოგნიტურ ჩვევებს.

**რეკომენდაცია:** თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის. ამიტომაც აუცილებელია ბავშვს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო, სადაც თავისუფლად მოახერხებს თამაშს. მეცნიერები ხშირად გვიჩვენებენ, რომ ბავშვს არ შევუშალოთ ხელი თამაშისას.



ნუ ვეცდებით მასთან თამაშის დროს წამყვანი როლის შესრულებას და საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას, რათა პატარამ თამაშისადმი ინტერესი არ დაკარგოს. პირიქით, საჭიროა მისი ნაქეზება, რომ თავად წარმართოს თამაში.

*გზამკვლევი მშობლებისათვის*

# ურთიერთობა თამაშისას

ბავშვები თამაშის დროს ამყარებენ სხვადასხვაგვარ ურთიერთობებს ერთმანეთთან, ხოლო განვითარების ადრეულ ეტაპზე, საერთოდ, მარტო თამაშს ამჯობინებენ.

ამ მხრივ შესაძლებელია გამოვყოთ თამაშის სახეები, სადაც ბავშვების პიროვნული სოციალური ურთიერთობები ჩანს. თითოეული თამაშის სახეობა მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის. უფროსებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვს, რომ თამაშის ერთი ეტაპიდან მომდევნოზე გადასვლა დაუბრკოლებლივ განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები.

## 1. მარტო თამაში

ამ შემთხვევაში ურთიერთქმედება სხვებთან არ არის გამოხატული, პატარას ურჩევნია ითამაშოს მარტომ. ასე თამაშობს ბავშვების უმრავლესობა 2 – 3 წლამდე.

## 2. თამაში—დაკვირვება

ბავშვები ამ დროს აკვირდებიან სხვა ბავშვების თამაშს, შეისწავლიან, მათ სიამოვნებთ სხვების თამაშის ყურება. ამ დროს, შინაგანად, ითვისებენ გარკვეულ ქცევას.

## 3. პარალელური თამაში

ბავშვები ამ დროს თამაშობენ ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ჯერ კიდევ არ ამყარებენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

## 4. ასოციაციური თამაში

თამაშის ამ ფორმაში უკვე ვლინდება ბავშვების ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარების მცდელობა. ისინი ცვლიან სათამაშოებს და უკვე რაღაც ფორმით იწყებენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

## 5. ერთობლივი თამაში

ბავშვები ერთი მოქმედებით არიან დაკავებულნი. ამ დროს ადგილი აქვს ჯგუფურ თამაშს, ფეხბურთი, დამალობანა. ეს არის თამაშის ის ფორმები, რომელშიც რამდენიმე ბავშვი ერთადაა ჩართული, ამ დროს თითოეული ბავშვის სოციალურ განვითარებას ეწყობა ხელი.





# ბავშვის პრობლემური ქცევა

ბავშვებს და მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ზოგჯერ ახასიათებთ პრობლემური ქცევები. ზოგადად, ქცევა არის ადამინის უნარი დაამყაროს გარემოსთან ურთიერთობა. ხოლო პრობლემური ქცევა ხელს უშლის ბავშვს საზოგადოებასთან ადაპტაციაში.

პრობლემური ქცევა საფრთხეს უქმნის თავად პიროვნებას ან სხვებს. ის ზღუდავს ან აფერხებს საზოგადოებაში სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე პიროვნებების ფუნქციონირებას.

პრობლემური ქცევის იდენტიფიკაციას აქვს თავისი კრიტერიუმები. არ შეიძლება, ბავშვს ერთხელ ან ორჯერ ჩადენილი საქციელის გამო მივანიჭოთ იარლიყი, რომ მას რთული ქცევები აქვს. ხშირად, როდესაც ბავშვს აქვს რთული ქცევა, მიზეზი უნდა ვეძიოთ გარემოში, რადგან გარემოს სწორი მოდიფიკაცია და მორგება ბავშვის ინტერესებზე შეამცირებს გამოვლენილი პრობლემური ქცევების რაოდენობას.

## ბავშვები პრობლემურ ქცევას მიმართავენ 2 შემთხვევაში

- როდესაც სურთ რაიმეს მიღება (ეს შეიძლება იყოს სათამაშო, ტკბილეული, ან თქვენი ყურადღების მიქცევა და ა. შ.);
- როდესაც სურთ რაიმესგან თავის არიდება (არ უნდათ ყოფნა კონკრეტულ გარემოში, არ უნდათ რაიმე აქტივობის შესრულება, არ უნდათ კონკრეტული ტანსაცმლის ჩაცმა და ა. შ).

ამიტომ, ყოველთვის, როდესაც ბავშვის რთულ ქცევას შენიშნავთ, დაფიქრდით და იაზროვნეთ, ზემოთ დასახელებული მიზეზებიდან,

რომელი შეიძლება განაპირობებდეს მას. თუ თქვენ იპოვით მიზეზს — ქცევის წინაპირობას, რომელსაც შეამცირებთ ან გააქრობთ, პრობლემური ქცევაც შემცირდება.

## როდის არის ქცევა პრობლემური

რთული ქცევის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- 1. ნორმატივები, რომლებიც შეესაბამება ბავშვის ასაკობრივ მიკუთვნებულობას** — თუ ბავშვი იქცევა თავისი ასაკისათვის შეუსაბამოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ ქცევა პრობლემურია, მაგალითად 5 თვის ბავშვისთვის ნორმაა პამპერსის გამოყენება, ხოლო 5 წლის ბავშვისთვის – არა.
- 2. რთული ქცევის გამოვლენის ხანგრძლივობა** – აუცილებელია დავაკვირდეთ, თუ რამდენი ხანს გრძელდება აღნიშნული ქცევა, მაგალითად 3 წამს, 1 წუთს, თუ 1 საათს.
- 3. გამოვლენის სიხშირე** — მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რა სიხშირით ვლინდება ის, მაგალითად კვირაში 5-ჯერ, თუ თვეში ერთხელ.
- 4. რთული ქცევის ინტენსივობა** — რამდენად ინტენსიურია პრობლემური ქცევის გამოხატულება, მაგალითად თუ ბავშვი მიმართავს თვითდამაზიანებელ ქცევას, როგორცაა ხელზე კბენა, უნდა დავაკვირდეთ ნაკბენს. დამჩნეული ვიზუალური კვალის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ ბავშვი იკბენს ხელს ნაზად, თუ იმდენად ძლიერად, რომ ემჩნევა კბილები, არის ჩალურჯებები – ე. ი. ინტენსივობა მაღალია.
- 5. ცხოვრებისეული სიტუაციების ცვლილებები** – ზოგ შემთხვევაში ბავშვებს ახასიათებთ პრობლემური ქცევების გამოვლენა, თუ ახლო წარსულში შეიცვალა ცხოვრებისეული სიტუაციები, მაგალითად გამოიცვალა სახლი ან სკოლა. თუ

ბავშვი გარემოსთან შეგუების სანყის ეტაპზეა, შეიძლება ამას ტირილით ან სხვების ჩაგვრით გამოხატავდეს.

6. **სოციოკულტურული გარემო** — სპეციალისტები პრობლემური ქცევის შეფასებისას ყოველთვის ითვალისწინებენ ბავშვი სოციოკულტურულ გარემოს, მაგალითად აღმოსავლეთში ფეხშიშველი სიარული არ წარმოადგენს პრობლემურ ქცევას, განსხვავებით საქართველოს რომელიმე სკოლისაგან.
7. **ინდივიდუალური თავისებურებები** – როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ბავშვს აქვს პრობლემური ქცევა, უნდა ვეცადოთ იმის გადამონმებას, ხომ არ არის ეს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურება, მისი ხასიათის ნიშანი. მაგალითად, შეიძლება ბავშვი ბუნებით იყოს წყნარი და მშვიდი და ეს სულაც არ წარმოადგენდეს ისეთ პრობლემურ ქცევას, როგორცაა „ურთიერთობების დამყარების სირთულე“.

## პრობლემური ქცევის სახეები

**აგრესიული ქცევები** — ბავშვი გამოხატავს აგრესიას სხვების მიმართ ფიზიკურად ან ვერბალურად.

**დესტრუქციული ქცევები** — ვლინდება თუ ინდივიდი ან-ადგურებს სხვის ან საკუთარ ნივთებს, ხევს წიგნებს, ანადგურებს სათამაშოებს.

**თვითდამაზიანებელი ქცევები** — ბავშვი ამ დროს მიმართავს საკუთარი თავის დაზიანებას, იკბენს სხეულის რომელიმე ნაწილზე, მაგალითად ხელეზე, იწინკნის თმას, დანით ან ბასრი საგნით იყენებს ქრილობებს.

**ტანტრუმი** — ისტერიკის გამოხატვა ფეხების ბაკუნით, ყვირილით, იატაკზე დაცემა.

**პიკა** — საჭმელად უვარგისი ნივთების ჭამა: მინა, ღილები, საკუთარი ექსკრემენტები.

## პრობლეური ქცევის მართვა

პრობლეური ქცევის მართვისთვის რეკომენდებულია ბავშვთან ერთად შემუშავდეს **წესები**, რომლის შესრულებაც ნახალისდება უფროსისგან.

- ბავშვთან ერთად შეიმუშავეთ რამდენიმე წესი, რომელიც უნდა დაიცვათ. თუ თქვენმა შვილმა წერა ჯერ არ იცის, შეგიძლიათ ფორმულირებული დებულებები ნახატში ასახოთ;
- წერილობით ჩამოყალიბებული წესები უნდა იყოს კონკრეტული და შესრულებადი;
- წესი ბავშვს უნდა კარნახობდეს კონკრეტულ ქცევას;
- წესში უნდა ჩანდეს, თუ რა ქცევაა ბავშვისგან მისაღები;
- ნახალისეთ ბავშვი, როდესაც წესს შეასრულებს, წამახილისებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ „ლიმილიანი სახის“ სტიკერი, ხოლო თუ ბავშვმა წესი დაარღვია – წესის გასწვრივ ჩაუკარით „მოწყენილი სახის“ ნიშანი;
- წესები შეიძლება სიტყვიერად ფორმულირებული იყოს პირველ პირში (მაგალითად: მე ვიხეხავ კბილებს) ან წარმოდგენილი იყოს დებულების სახით (მაგალითად: კბილების გამოხეხვა);
- იყავით თანმიმდევრულნი, თავად თქვენ ნუ დაარღვევთ წესებს.













წესები	
მე ვიბან ხელებს ჭამის წინ	
მე ვზივარ მაგიდასთან სადილის დამთავრებამდე	

შეგიძლიათ გააკეთოთ მთელი კვირის ამსახველი ამგვარი ცხრილი, შესაბამისად ამით აკონტროლებთ ბავშვის ქცევას ყოველ დღე და ხელს შეუწყობთ ქცევის გამტკიცებას. თუ ბავშვი თქვენგან ყოველდღიურად დაიმსახურებს დადებით სტიკერს, ე. ი. ქცევა აღარ ირღვევა და ჩვევაში გადაიზარდა. ამგვარად, თქვენ უკვე შეგიძლიათ ბავშვის მიერ დაგროვილი „ლიმილიანი სახის“ სტიკერები ერთ დიდ საჩუქარში „გადაუცვალოთ“, მისთვის სასურველი ნივთი (მაგალითად ბურთი) აჩუქოთ. გახსოვდეთ, რომ საჩუქარი მართლაც ბავშვისთვის სასურველი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის განმამატკიცებლის ფუნქციას არ შესარულებს. მაგ.: ზოგს ახალი თმის სამაგრის მიღება უხარია, ზოგს კი მატერიალური საჩუქრის მაგივრად რაიმე აქტივობის განხორციელება სურს, ვთქვათ, გასართობ პარკში საქანელებზე ქანაობა. წამახალისებელი, რომ ბავშვისთვის სასურველი იყოს შეისწავლეთ მისი გემოვნება, არ გააკრიტიკოთ ის, თუ თქვენგან განსხვავებული გემოვნება აღმოაჩნდა.

როგორც ვთქვით, ბავშვის მიერ შესასრულებელი ნესები შეიძლება იყოს არა სიტყვიერად ფორმულირებული, არამედ ნახატებით მინიშნებული. ცხრილის შექმნაში რეკომენდებულია, ბავშვმა თავადაც მიიღოს მონაწილეობა, ამოჭრას და ჩაანებოს სურათები, ან თვითონ ჩახატოს შესაბამისი ნახატი. ამით გაიზრდება ბავშვის მიერ ნესების შესრულების მოტივაცია.

ბავშვთან ცხრილით მუშაობის დროს გაითვალისწინეთ, რომ მისი მნიშვნელოვნება თქვენი მოქმედებით განისაზღვრება, ზუსტად დაიცავით ცხრილზე მუშაობის ის პირობები, რაზეც ბავშვთან წინასწარ შეთანხმდებით. არ „გააყალბოთ“ სტიკერი, არ დაუშვათ დაგიყოლიოთ ბავშვმა. ამით მასში უპასუხიმგებლობას განავითარებთ.

როგორც წესი, ბავშვის ქცევის მართვა სკმაოდ კარგად ხორციელდება აღნიშნული მეთოდით.

წესები	დღეები						
	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
							
							

პრობლემური ქცევის მართვისას აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა არის კონკრეტული ქცევის **წინაპირობა**, ანუ რა ხდება მანამდე, სანამ ქცევა მოხდება;

- შეეცადეთ ამოიცნოთ წინაპირობა;
- წინაპირობა შეიძლება იყოს, როგორც შინაგანი (მაგალითად შიმშილი, დაღლა), ისე გარეგანი (მაგალითად დავალების მიცემა, მოულოდნელი ცვლილება დღის განრიგში);
- შეეცადეთ მინიმუმამდე დაიყვანოთ პრობლემური ქცევის წინაპირობები.

## კონკრეტული რეკომენდაციები პრობლემური ქცევის პოზიტიური მართვისათვის

- როდესაც ბავშვი მიმართავს მიუღებელ ქცევას, არასოდეს გამოიყენოთ დიდაქტიკური ხასიათის ვრცელი ლექციური ტიპის მონოლოგი. ამგვარი მიდგომა პრობლემას არ აგვარებს.
- თუ ბავშვმა დააშავა რაიმე, მიუთითეთ მხოლოდ ამ კონკრეტულ პრობლემაზე, პრობლემის აღნიშვნისას გამოიყენეთ სიტყვე-

ბის მცირე რაოდენობა და გაიმეორეთ ნათქვამი რამდენიმე წამიანი ინტერვალის შემდეგ. მიეცით დრო, სანამ ალიქვამს და გადაამუშავებს ინფორმაციას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს მეტი დრო სჭირდებათ ინფორმაციის გადაამუშავებისა და გაგებისთვის.

- ნუ დაიწყებთ მიზეზების ძიებას ბავშვის გამოკითხვით, თუ რატომ მოიქცა ასე, უბრალოდ მას შესთავაზეთ ალტერნატიული, მისაღები ქცევის შესრულება.
- მითითების მიცემისას აუცილებლად შეხედეთ ბავშვს თვალეში, გამოიყენეთ ჟესტები და მიმართეთ სახელით, რათა დარწმუნებული იყოთ, რომ მან თქვენი მითითება გაიგო. თქვენი სახის გამომეტყველება უნდა შეესაბამებოდეს ნათქვამს, სასურველია ის იყოს მშვიდი და ოდნავ მომთხოვნი. არ არის გამართლებული აგრესიული ან დეპრესიული ხასიათის მიმიკები.
- გამოიყენეთ წახალისება, ეს შეიძლება იყოს კვებითი ჯილდო, ან სიტყვიერი “ყოჩაღ”. ფიზიკური წახალისებაც, როგორცაა მხარზე ხელის შეხება ან მაჯაზე მსუბუქი მოჭერა, ასევე დადებითი ეფექტის მომტანია ბავშვებისათვის.
- ქცევის დასწავლის პროცესში აუცილებლად აღინიშნეთ ბავშვის მცირეოდენი მონდომებაც კი.
- ახალი ქცევის დასწავლის და პრობლემური ქცევის გადაჩვევის პროცესი შესაძლოა მალე არ განხორციელდეს, ამიტომ თქვენ გჭირდებათ ნებისყოფა და თანმიმდევრობა დასახული მიზნის მიღწევისათვის.

ჩა უნდა იცოდეს მშობელმა  
ბავშვის განვითარების დარღვევის  
შესახებ

## გონებრივი ჩამორჩენილობა

თუ თქვენი შვილის დიაგნოზია გონებრივი ჩამორჩენილობა მაშინ თქვენ, როგორც მშობელს დაგჭირდებათ მიიღოთ ამომწურავი ინფორმაცია განვითარების დარღვევის ამ ფორმის შესახებ, რადგან თქვენ შვილს სპეციფიური და განსხვავებული მიდგომა სჭირდება სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

გონებრივი ჩამორჩენილობა ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმაა. ის ვლინდება ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების მანძილზე ახდენს გავლენას ბავშვის განვითარებაზე. გონებრივი ჩამორჩენილობის დიაგნოზის მქონე ბავშვები როგორც წესი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან თანატოლებს ინტელექტუალური განვითარების დონით.

გონებრივი ჩამორჩენილობა ვლინდება ბავშვის ფუნქციონირების თითქმის ყველა სფეროში. ეს სფეროებია: კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა, სოციალური უნარ-ჩვევები.



# გონებრივი ჩამორჩენილობის სახეები

გამოყოფენ გონებრივი ჩამორჩენილობის 4 ხარისხს:

- **მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა** შესაძლოა მოკლედ დახასიათდეს შემდეგი თავისებურებებით — მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 9-12 წელს; სკოლაში ვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები; შემცირებულია ადეკვატური სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უნარი. სირთულეს წარმოადგენს მუშაობისათვის საჭირო უნარჩვევების ათვისება და განვითარება.
- **საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობის დროს** აღინიშნება შემდეგი თავისებურებები: მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 6-9 წლის ასაკის ბავშვისას, ვლინდება განვითარების თვალსაჩინო შეფერხება ბავშვობაში. გართულებულია თვითმომსახურების უნარების ათვისება, თუმცა კარგად ორგანიზებული სასწავლო პროგრამის შედეგად საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვების უმრავლესობას შეუძლია შეიძინოს ადეკვატური კომუნიკაციური და საბაზო აკადემიური უნარები. როგორც წესი, ისინი საჭიროებენ სხვადასხვა დონის დახმარებას საზოგადოებაში ცხოვრებისა და მუშაობისათვის.
- **მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა** სირთულეებით ვლინდება სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3-6 წელს. მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანი საჭიროებს მუდმივ დახმარებას.
- **ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობის** შემთხვევაში მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3 წლამდე ასაკს, ვლინდება თვითმომსახურების, გადაადგილების და კომუნიკაციის მძიმე დარღვევები. ინდივიდი ამ დროს სრულიად დამოკიდებულია მომვლელზე.

ერთერთი ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის თანახმად გონებრივი ჩამორჩინელების ხარისხი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა დონის და ხარისხის დახმარება ესაჭიროება ბავშვს, ანუ რამდენად დამოუკიდებელია ან საჭიროებს დახმარებას დედის ან მომვლელის მხრიდან.

შესაძლებელია გამოიყოს დახმარების 4 დონე:

1. **დროებითი:** არ ესაჭიროება მუდმივი დახმარება, მაგრამ შეიძლება დასჭირდეს ხანმოკლე ან დროებითი დახმარება კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად სწავლება, პროფესიის ათვისება.
2. **შეზღუდული:** პერიოდულად ესაჭიროება გარკვეული სახის დახმარება, ეს შესაძლოა იყოს უნარების გავარჯიშება, ჩვევების ათვისება
3. **გაფართოებული:** ყოველდღიურად ესაჭიროება დახმარება სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში
4. **ყოვლისმომცველი:** საჭიროებს სრულ დახმარებას და აბსოლუტურად დამოკიდებულია მომვლელზე.

გონებრივი ჩამორჩენილობა შეუქცევადი პროცესია და ყოველი კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში განვითარების ტემპი, უნარები და აკადემიური მიღწევები ძალიან ინდივიდუალურია.



## გონებრივ ჩამორჩენილობის თავისებურებები

■ **აზროვნების თვალსაჩინოობა.** როდესაც ბავშვები ხასიათდებიან აზროვნების თვალსაჩინოობით, ბავშვებს უჭირთ იფიქრონ ისეთ საგნებზე და მოვლენებზე, რომლებიც აბსტრაქტულია ანუ, მოცემულია თვალსაჩინო ხატების გარეშე. მაგალითად, იმისათვის, რომ ისწავლონ კონკრეტული სიტყვების კითხვა, აუცილებელია

ამ სიტყვებს თან ახლდეს მათი ამსახველი სურათები; ასევე არითმეტიკული მაგალითების გამოყვანა სასურველია სათვლელი ჩხირების და სხვადასხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით.

**რეკომენდაცია:** ყოველთვის უხვად გამოიყენეთ თვალსაჩინო მასალა. როდესაც ცდილობთ ბავშვს დაასწავლოთ ახალი ცნებები. მცირე მოთხრობების სწავლებისას გამოიყენეთ პატარა სიუჟეტები, ბავშვთან ერთად შექმენით კოლაჟები და ნახატები.

- **სწავლის ნელი ტემპი.** ახალი მასალის ათვისებისას, შუშმ ბავშვებს უფრო მეტი დრო სჭირდებათ, ვიდრე მათ სხვა თანატოლებს. შესაძლოა მასალა მხოლოდ სემესტრის ბოლოს იქნეს ათვისებული, ამიტომ მშობელს და მასწავლებელს დიდი ნებისყოფა სჭირდებათ.

**რეკომენდაცია:** მიყევით ბავშვის ინდივიდუალურ ტემპს, ნუ იჩქარებთ და ნუ შეცვლით სწრაფად მასალებს. დაელოდეთ, სანამ დასახული მიზანი განმტკიცდება.

- **ყურადღების კონცენტრაციის პრობლემა** — გულისხმობს, რომ გართულებულია როგორც გარკვეულ აქტივობაში ჩართვა და ამ აქტივობაზე ყურადღების კონცენტრაცია, ასევე მიმდინარე აქტივობიდან ახალ აქტივობაზე გადართვა.

**რეკომენდაცია:** გამოიყენეთ თვალსაჩინოებები, რომელიც მხოლოდ იმ კონკრეტულ შინაარსს მოიცავს, რომელიც სასწავლო ამოცანას წარმოადგენს. ერთ ჯერზე მიეცით მხოლოდ ერთი ინსტრუქცია, დაელოდეთ, სანამ გადაამუშავებს ინფორმაციას და მხოლოდ მაშინ გადადით ახალზე, როდესაც დარწმუნდებით, რომ გაიგო ინსტრუქცია და შეასრულა. ნუ მიაწოდებთ ერთ ჯერზე ბევრს ინფორმაციას, აკონტროლეთ, რომ ინსტრუქციები იყოს მარტივი და არ შეიცავდეს სხვა, აბსტრაქტულ ცნებებს.

- **მოტორული პრობლემები:** უჭირს ხელით ნატიფი მოძრაობების შესრულება, რომელიც აუცილებელია კალმის, მაკრატლის, დანა-ჩანგლის ხმარებისათვის შესაბამისად, ამ უნარების გან-

ვითარებაც დარღვეულია. რთულად ხდება თვითმომსახურების ჩვევების (ჩაცმა-გახდა, ჭამა, ტუალეტი, დაბანა, ათვისებაც).

**რეკომენდაცია:** შეეცადეთ, რომ ისეთი საგნები, როგორცაა კალამი, მაკრატელი იყოს შედარებით მსხვილტარიანი, რათა გაუადვილდეს მისი მოხერხებულად დაჭერა, ხელით შესასრულებელი საქმიანობებისთვის შეურჩიეთ მსხვილი, ხელში ნაკლებად სრიალა საგნები.



# როგორ შეუწყოს ხელი გონებრივი ჩამორჩენილობის მკონე ბავშვის განვითარებას

როგორც ზემოთ ავლინებთ, გონებრივი ჩამორჩენილობა გავლენას ახდენს ბავშვის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროზე. ქვემოთ აღწერილია აღნიშნული სფეროები და მოცემულია რეკომენდაციები ამ სფეროების განვითარების სტიმულირებისთვის.

## რეკომენდაციები ადრენიატიური უნარების გაზრდისათვის

გონებრივი განვითარების დარღვევის შემთხვევაში ბავშვს ხშირად უჭირს დაამყაროს ადეკვატური ურთიერთობები თანატოლებთან და უფროსებთან, ზოგჯერ ურჩევნია ურთიერთობა თავისზე ასაკით პატარებთან. ვერ ემორჩილება გარკვეულ წესებს, რეჟიმს. ვლინდება პრობლემები მეტყველებაში და სხვისი მეტყველების გაგებისას. ბავშვს უჭირს ჩაერთოს გუნდურ თამაშებში.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ბავშვის კომუნიკაციური უნარების განვითარებას და მასთან ადეკვატური ურთიერთობა დაამყაროს რეკომენდებულია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- ◆ **ერთსიტყვიანი ინსტრუქციები.** ასწავლეთ ბავშვს ერთსიტყვიანი ინსტრუქციების შესრულება, როგორცაა: „აიღე“, „დადე“,

„მომიტანე“, „დაჯექი“ და სხვა. იმისათვის, რომ ბავშვმა სიტყვიერი ინსტრუქციის შესრულება ისწავლოს, შესაძლოა სანყის ეტაპზე სიტყვიერი ინსტრუქციის გამოყენებასთან ერთად თვალსაჩინო ფიზიკური აქტივობის განხორციელებაც დაგჭირდეთ. ასე მაგალითად, ინსტრუქცია „დაჯექის“ სწავლები-სას ხელით მიანიშნოთ სკამზე. როდესაც ბავშვი აღნიშნულს დაისწავლის, ფიზიკური მინიშნება გამორიცხეთ და დატოვეთ მხოლოდ სიტყვიერი.

◆ **თანმიმდევრული ინსტრუქციები.** თანდათანობით შეგიძლიათ გადახვიდეთ თანმიმდევრული ინსტრუქციების დასწავლაზე, რაც რამდენიმე საფეხურიან ინსტრუქციას ნიშნავს. მაგ.: მითითება „აილე ბურთი და მომიტანე“ ორსაფეხურიანი ინსტრუქციაა, ხოლო „შედი საძინებელში, აილე თოჯინა და მიუტანე დედას“ — სამ საფეხურიანი. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებს სჭირდებათ მრავალჯერადი გამეორება, ამიტომ თქვენ განსაკუთრებული ნებისყოფა და თანმიმდევრულობა გმართებთ, რათა ასწავლოთ ბავშვს თანმიმდევრული ინსტრუქციების შესრულება. რაოდენ შრომატევადი და რთულიც არ უნდა იყოს ბავშვისთვის ინსტრუქციების შესრულების სწავლება, ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან ეს ზრდის ბავშვის დამოუკიდებლობის ხარისხს და თქვენ აღარ გიხდებათ ყველაფრის ბავშვის მაგივრად კეთება.

◆ **სიტყვების მნიშვნელობის დასწავლა.** როგორც ზემოთ ავლიშნეთ, ბავშვებს ახასიათებთ აზროვნების თვალსაჩინოობა, ისინი უკეთ სწავლობენ, თუკი სიტყვასთან ერთად შევთავაზებთ მის აღმნიშვნელ საგანს ან საგნის სურათს. სახელი, სამზარეულო, ქუჩა თუ პარკი ძალზე კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ბავშვს დაეხმაროთ საგნების სახელდებების ათვისებაში და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. მაგალითად, სამზარეულოში ყოფნისას, როდესაც ბავშვს ასადილებთ, შეეცადეთ გაახმოვანოთ მთელი პროცესი, ანუ, დაასახელოთ ნივთები რომელსაც კონკრეტულ მომენტში იყენებთ, აღწეროთ პროცესი. მაგ. „დამაკვირდი, მე ახლა დიდი კოვზით მოვურევ

სუპს, მერე დავასხამ თეფშზე და აი ამ პატარა კოვზით გაჭმევ”. ასევე სიტყვიერი ინსტრუქციების სწავლებისას, როდესაც ეტყვი “მომანოდე თეფში” **ხელით მიანიშნეთ თეფშზე**. ამით ბავშვი შეძლებს დააკავშიროს ერთმანეთთან სხვადასხვა საგნები, ნივთები და სიტყვები.



◆ **ითამაშეთ ბავშვთან ერთად.**

ბავშვები ყველაზე კარგად თამაშის დროს სწავლობენ. თამაში მათი ბუნებრივი აქტივობაა, ხოლო თუ თამაშს მშობელი სხვადასხვა დიდაქტიკური ელემენტებით გაამდიდრებს, ბევრ ახალ ცოდნას შესძენს ბავშვს და გამოუმუშავებს მას სოციალურ უნარ-ჩვევებს. დააკვირდით და შეისწავლეთ, რისი თამაში უყვარს პატარას, აყვით მას თამაშში, მაგრამ ისე, რომ დასაწყისში მის წესებს მიყვით, ახალი ელემენტები კი თანდათანობით ჩართოთ. მაგალითად, შესაძლოა თქვენ შვილს უყვარს პირამიდის დაშლა-აწყობა და დიდი ხნის მანძილზე შეუძლია იყოს ამით დაკავებული. მიუახლოვდით მას (თუ იატაკზე ზის, თქვენც გვერდით მიუჯექით, არ შეუცვალეთ მდგომარეობა, შეეცადეთ თქვენ მოერგოთ მას და არა პირიქით), შემდეგ, ჯერ მასთან ერთად გაიმეორეთ აქტივობა (პირამიდის დაშლა-აწყობა), შემდეგ კი ბავშვის შესაძლებლობის მიხედვით ასწავლეთ რაიმე ახალი, რაც იგივე აქტივობას ეყრდნობა, ამ შეემთხვევაში ეს შეიძლება იყოს თვლა ან ფერების ცნობა. დათვალეთ თითოეული რგოლი ღერძზე ჩამოცმისას. შემდეგ შეგიძლიათ გაართულოთ დავალება — “აბა, ჩამოაცვი 2 რგოლი”.

## რეკონსტრუქციის ტერიტორიების უნარიანი გაპარტიკიპაციისათვის

გარკვეული ასაკიდან ყველა ბავშვი ცდილობს დამოუკიდებლად შეასრულოს სხვადასხვა აქტივობები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვევა შესაძლოა ჯერ არ იყოს დახვეწილი, ისინი ცდილობენ დამოუკიდებლად გამოიყენონ კოვზი, ქიქა, დაიბანონ ხელები. ბავშვებს, რომელთაც გონებრივი ჩამორჩენილობა აქვთ, უჭირთ აითვისონ ისეთი ჩვევები, როგორცაა, დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა-გახდა, ტუალეტით სარგებლობა. ამ აქტივობების განხორციელებაში ისინი უმრავლესად მომვლელეებზე არიან დამოკიდებულნი, თუმცა, სათანადოდ დაგეგმილი და ხშირად გამეორებული ვარჯიშის შედეგად, ისინი აუცილებლად ახერხებენ აღნიშნული აქტივობების დამოუკიდებლად შესრულებას. თვით-მომსახურების უნარების გამომუშავება ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებთან. თუ თქვენ ბავშვს ასწავლით დამოუკიდებლად ჭამას, ჩაცმა-გახდას და ტუალეტით სარგებლობას, ერთდროულად გადანყვეტთ ორ პრობლემას. პირველი, გაზრდით ბავშვის დამოუკიდებლობის ხარისხს და მეორე – დაზოგავთ საკუთარ ენერჯიას, რადგან ბავშვი თავად შეძლებს იმის განხორციელებას, რაც თქვენ უნდა გაგეკეთებინათ.

- ◆ **ნუ იჩქარებთ.** გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვები ჩვეულებრივზე მეტ დროს საჭიროებენ ქცევის დასწავლისა და შესრულებისთვის, ამიტომ ზოგიერთი მშობელი, იმისთვის, რომ დრო დაზოგოს, თვითონ აკეთებს ბავშვის გასაკეთებელს. მაგალითად, თუ დილის საუზმეზე ფაფის დამოუკიდებლად ჭამისთვის კახას 30 წთ. სჭირდება, დედა ამას 10 წუთში მოახერხებს, თუ თვითონ აჭმევს კოვზით. ამ შემთხვევაში ვეთანხმები კახას დედას, რომ დრო იზოგება, მაგრამ კახას დამოუკიდებლობის ხარისხი და საკუთარ ძალებში დარწმუნებულობა რომ არ მატულობს – ეს უფრო მალეღვევს. ამ შემთხვევაში დედას ვურჩევდი, რომ დროის დაზოგვისთვის, უბრალოდ, დილით უფრო ადრე გააწყოს საუზმე.



- ◆ **მოარგეთ რესურსები ბავშვს.** იმისათვის, რომ ბავშვს განუვითარდეს თვითმომსახურების უნარები, საჭიროა გვახსოვდეს, რომ გარემო და რესურსები უნდა იყოს შესაბამისი. მაგალითად, ხელების დამოუკიდებლად და საპნით ხარისხიანად დაბანა მნიშვნელოვანია თქვენი შვილისთვის. ეს რომ წარმატებით ასწავლოთ, პირველ რიგში ჩამოწერეთ, თუ რა რესურსებია საჭირო ხელების დაბანისათვის. ესენია: ონკანი, ნყალი, საპონი, ნიჟარა, პირსახოცი. გაითვალისწინეთ რესურსების ადეკვატურობა, მაგალითად ნიჟარა უნდა იყოს ბავშვის სიმაღლის შესაფერისი, ის არ უნდა იყოს ძალიან მაღლა და არც ძალიან დაბლა, ონკანი შერჩეული უნდა იყოს ბავშვის შესაძლებლობიდან გამომდინარე. მაგ. ზედა კიდურების ცერებრული დამბლის შემთხვევაში შესაძლოა ბავშვისთვის უფრო მოსახერხებელი იყოს ზევით ასანევი და არა დასატრიალებელი ონკანი. ასევე საპონი. საპონი სრიალებს ხელში და ბავშვს ხშირად ამიტომ უჭირს გასაპვნა. ამ შემთხვევაში შესაძლოა თხევადი საპონის გამოყენებამ უფრო შედეგიანი გახადოს ხელების დაბანის სწავლების პროცესი. გახსოვდეთ, თქვენ ვერ შეცვლით ბავშვს, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ გარემო!
- ◆ **მიეცით მაგალითი.** ბავშვი კარგად დაისწავლის იმ ქცევებს, რომლის მაგალითსაც მას ხშირად აძლევთ. მიეცით ბავშვს შესაძლებლობა დაგაკვირდეთ კბილების გამოხევისას, ქურთუკის ჩაცმისას და სხვა მსგავსი ქმედებების შესრულებისას. შემდეგ სთხოვეთ, გაიმეოროს თქვენი მოქმედება.
- ◆ **გამოიყენეთ სარკე.** თვითმომსახურების ჩვევების ათვისების საუკეთესო შესაძლებლობაა ბავშვს ეს უნარები გამოუმუშავოთ სარკის წინ. რეკომენდებულია სარკე იყოს კედლის და ბავშვი მთლიანად ხედავდეს სარკეში საკუთარ ანარეკლს. თუნდაც იმ ეტაპზე, როდესაც ბავშვი დამოკიდებულია თქვენზე და თქვენ აცმევთ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, ვარცხნით თმებს, სასურველია ეს შეასრულოთ სარკის წინ, რათა ბავშვმა შეგრძნებასთან ერთად დაინახოს ქმედებები. ასევე კარგია, რომ ამ პროცესში გაახმავანოთ საგნები, ქუდის დახურვისას თქვათ „ქუდი“. ამ პროცესით ბავშვი აითვისებს ქცევებს სარკეში აღ-

ქმულის გამეორების საფუძველზე.

- ◆ **ასწავლეთ ნაწილ-ნაწილ.** ნუ მოინდომებთ ბავშვს ყველაფერი ასწავლოთ ერთად. შეარჩიეთ ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე სასწავლო მიზანი. მაგალითად, დილის ტუალეტიდან თქვენ შეგიძლიათ ჯერ ასწავლოთ ხელების დაბანა, ხოლო შემდეგ – პირის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ბავშვი ინდივიდუალურია, თუ ატყობთ, რომ სასწავლო აქტივობის კარგად ორგანიზების შემთხვევაში ბავშვი იოლად ითვისებს ახალ ჩვევებს, ხელს ნუ შეუშლით.
- ◆ **აქტივობა დაყავით ბიჯებად.** ერთი აქტივობა, მაგალითად როგორცაა „კოვზით ჭამა“ შედგება პატარა აქტივობებისგან, რომლებსაც ბიჯებს ვუნოდებთ. კოვზით ჭამა მოიცავს შემდეგ ბიჯებს:
  - კოვზის ტარზე ხელის მოკიდება;
  - კოვზის თეფშში ჩადება;
  - კოვზის ამოვსება;
  - კოვზის პირთან მიტანა;
  - კოვზის პირში ჩადება;
  - ლუკმის დაღეჭვა;
  - ლუკმის გადაყლაპვა.



შემ ბავშვების ჩვევის ათვისებისთვის ფსიქოლოგი მშობელს ყოველთვის მუშაობის ასეთ დანაწევრებულ სამუშაო სქემას სთავაზობს. თუ თქვენ მოგეჩვენათ, რომ აღნიშნული სქემა კოვზით ჭამის ძალიან გართულებული ხედვაა, მაშინ ისევ გადახედეთ სქემას და წარმოიდგინეთ, რომ ერთ-ერთი ბიჯი ამოღებულია - ამკარაა, რომ თუნდაც ერთი ბიჯის ამოღება არღვევს მთელ პროცესს.

როდესაც ჩვენ გვსურს, ბავშვს დამოუკიდებლად ჭამა ვასწავლოთ

თავიდან მხოლოდ ვაკვირდებით და ვნახულობთ, თუ რომელი ბიჯის შესრულება უჭირს ყველაზე მეტად. შესაბამისად, მუშაობის ორგანიზება შემდეგ იმ ბიჯის გარშემო ხდება, რომლის შესრულებაც ყველაზე მეტად უჭირს ბავშვს. მსუბუქი და საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობის შემთხვევაში აღნიშნული აქტივობა ბავშვმა შესაძლოა 1 თვიდან 4 თვემდე ვადაში ისწავლოს, ხოლო მძიმე და ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობის შემთხვევაში ზოგჯერ სწავლება 1 წელი მიმდინარეობს.

აქტივობების ბიჯებად დაყოფის და ამგვარად სწავლების პრინციპი მოყვანილი იყო „კოვზით ქამის“ მაგალითზე, თუმცა ნებისმიერი მოქმედების ბიჯებად დაყოფა შესაძლებელია. სპეციალისტის დახმარებით, რომელიც ბავშვის შეფასების შემდეგ თქვენთან ერთად შეიმუშავებს სწავლების გეგმას, თქვენ შეძლებთ ბავშვს ბევრი სხვადასხვა ქცევა ასწავლოთ, ყვავილების მორწყვით დაწყებული, - მაღაზიაში პროდუქტების შეძენით დამთავრებული.

## რეკომენდაციები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის

მნიშვნელოვანი სირთულეები ვლინდება სწავლების პროცესშიც. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვს უჭირს აითვისოს წერა, კითხვა, არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა. მას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება კალმის დაჭერისა და ასოების გამონერის დროს. მნიშვნელოვანია შეფასებულ იქნას ბავშვის ძლიერი მხარეები და საჭიროებები და შესაბამისად, დაიგეგმოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა. მხოლოდ თანმიმდევრულად დაგეგმილი სწავლების პროცესი იძლევა აკადემიური უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობებს. უნდა ითქვას, რომ სკოლა სწორედ ის გარემოა, სადაც ბავშვის „მიმალული“ პრობლემები იჩენს ხოლმე თავს. სკოლამდელ ასაკში ბავშვს არ ჰქონია სხვადასხვა ამოცანების შესრულების ვალდებულება, შესაბამისად, მშობელსაც შეიძლება არ ჰქონოდა წარმოდგენა იმ სირთულეების შესახებ, რომელთაც ბავშვი აწყდება სხვადასხვა აკადემიური ამოცანების გადაჭრის დროს.

- ◆ **შეუწყეთ ბავშვს ხელი იყოს წარმატებული მოსწავლე.** გახსოვდეთ, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა თქვენს შვილს გონებრივი ჩამორჩენილობა, მას აქვს უფლება ისწავლოს და მას შეუძლია იყოს წარმატებული მოსწავლე. მთავარია სწავლება იყოს მისი უნარების შესაბამისი და ადეკვატურად ორგანიზებული. გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები განსხვავებულად ითვისებენ პროგრამას, რადგან შესაძლოა ამა თუ იმ მასალის ათვისების მზაობა ჯერ არ იყოს მათთან ჩამოყალიბებული. თუ თქვენ მასწავლებელთან ერთად სწორად დაისახავთ სასწავლო მიზნებს და ამოცანებს, შეადგენთ სასწავლო გეგმას, რომელიც მთლიანად თქვენი შვილის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე იქნება მორგებული. თქვენი შვილი შეძლებს ეტაპობრივად დაეუფლოს მასალას და თავს იგრძნობს წარმატებულად.
- ◆ **ჩაერთეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში.** ბავშვი უნდა სწავლობდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, მას შემდეგ, რაც შეფასდება მისი ძლიერი მხარეები და საჭიროებები.
- ◆ **გამოიყენეთ მეტი დრო და ხშირი გამეორება.** ერთი გაკვეთილის დასასწავლად, შესაძლოა თქვენს შვილს გაცილებით მეტი დრო დასჭირდეს ვიდრე მის თანატოლებს. ასევე, შესაძლოა დასჭირდეს უფრო ხშირი გამეორება.
- ◆ **ხელი შეუწყვეთ ბავშვს განაზოგადოს ცოდნა.** თქვენს შვილს, შესაძლოა, გაუჭირდეს ერთ კონკრეტულ სიტუაციაში ნასწავლის სხვა სიტუაციაში გადატანა.



ნაწავლის სხვა სიტუაციაში გადატანა. მაგალითად, ის შესაძლოა ცნობდეს ციფრებს წიგნში, მაგრამ ვერ ამოიცნოს იგივე ციფრი სამარშუტო ტაქსის წარწერაზე. ამიტომ იზრუნეთ, რომ მოხდეს მისი ცოდნის გენერალიზება (გადატანა, გავრცელება).

- ◆ **გამოიყენეთ ბიჯებად დაყოფის ტექნიკა.** სასწავლო აქტივობა დაყავით პატარა ბიჯებად (ნაწილებად) და დაასწავლეთ ცალ-ცალკე თითოეული ნაწილი.
- ◆ **გამოიყენეთ ნახალისება** – არ დაგავინყდეთ შეაქოთ იმისთვის, რომ ახალი დაისწავლა, შექებასთან ერთად შეგიძლიათ გამოიყენოთ ფიზიკური ნახალისება – მაგ. მხარზე ხელის დადება, ჩახუტება ან ზოგჯერ მატერიალური ჯილდო, მისთვის სასურველი შოკოლადი.
- ◆ **არ შეადაროთ თქვენი ბავშვი სხვებს.** არასოდეს შეადაროთ თქვენი შვილი სხვა ბავშვებს, მის და-ძმებს თუ კლასელებს. არ უთხრათ, რომ სხვა მას სჯობია, რადგან უკეთ სწავლობს. ყველაზე კარგი და შედეგიანი იქნება თუ შეადარებთ მის ეხლანდელ ცოდნას წარსულს. ბავშვს შეგიძლით უთხრათ: “ნახე, ეს გუშინდელი გაფერადებული ყვავილები და აი, დღევანდელი, შენ დღეს საერთოდ არ გადასულხარ კონტურებს, რაც ძალიან კარგი შედეგია”.

## საოჯახო საქმიანობის უნარჩვენების განვითარებისათვის

საოჯახო საქმიანობის შესრულება ზრდის გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოზარდის დამოუკიდებლობების ხარისხს. ასეთი საქმიანობები, როგორცაა სანოლის გასწორება, იატაკის დახვეტა, მაგიდის განყოფილება და ალაგება, მარტივი საჭმლის მომზადება — დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი ელემენტებია.

- ◆ **მიეცით ბავშვს მაგალითი.** როდესაც ალაგებთ სახლს, ან ასრულებთ რაიმე საოჯახო საქმიანობას და ამ დროს ბავშვი აკვირდება თქვენს საქმიანობას, გახსოვდეთ, რომ ბავშვები გაცილებით უფრო კარგად სწავლობენ დაკვირვებით, ვიდრე მხოლოდ საუბრით. ამდენად, ბავშვს ოჯახში, სახლში შესასრულებელი ქცევების დასწავლისთვის დაკვირვების ფართო სპექტრი აქვს.



◆ **გაითვალისწინეთ ბავშვის ინტერესი.** საოჯახო საქმიანობების სწავლება თქვენი შვილისთვის დაიწყეთ იმ კონკრეტული აქტივობიდან, რომელიც მას მოსწონს. აუცილებლად გაითვალისწინეთ მისი სურვილები. მაგალითად, შესაძლოა თქვენ გსურთ, რომ მან ისწავლოს

იატაკის დახვეტა, მაგრამ მას საწოლის გასწორება იზიდავს, აუცილებლად წაახალისეთ მისი სურვილი. მაგალითად თუ ოთახში 2 საწოლი დგას, ერთი თქვენი და მეორე მისი, დილით, როდესაც თქვენ საწოლს ასწორებთ, სთხოვეთ პარალელურად გაიმეოროს თქვენი მოქმედებები საკუთარი საწოლის გასწორების მიზნით. შეეცადეთ მოქმედებები ნელა შეასრულოთ, რათა ბავშვმა მოასწროს აქტივობებზე დაკვირვება და გამეორება. წაახალისეთ მისი სულ მცირე მცდელობაც კი.



◆ **გარემო უნდა იყოს უსაფრთხო.** საოჯახო უნარების სწავლებისას გაითვალისწინეთ, რომ გარემო უნდა იყოს უსაფრთხო. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მჭრელი დანა და ცხელი უთო ზიანს არ მიაყენებს ბავშვს.

◆ **არ დატვირთოთ ბავშვი**

**ზედმეტად.** გახსოვდეთ, რომ საოჯახო საქმიანობებს თქვენ ბავშვს იმიტომ ასწავლით, რომ სამომავლოდ საკუთარი თავის მოვლისთვის გამოიყენოს და არა იმიტომ, რომ ექსპლუატაცია გაუწიოთ მას. დაიცავით ზომიერება და არ გადააბიჯოთ ზღვარს ძალადობისკენ, ძალით ნუ გააკეთებინებთ იმას, რაც არ

უნდა, უბრალოდ შეეცადეთ ისწავლოს ის ჩვევები, რომელიც მის დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდის.

## რეკომენდაციები დასაქმებასთან დაკავშირებით

გონებრივი განვითარების დარღვევები გავლენას ახდენს ინდივიდის უნარზე განახორციელოს საქმიანობები ანაზღაურების მიღების მიზნით. მუშაობა მოითხოვს პასუხიმგებლობას და საქმიანობისთვის აუცილებელი უნარების ფლობას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების პრობლემა მწვავე და აქტუალურია მთელს მსოფლიოში.

- ◆ **შვილთან ერთად დაგეგმეთ მისი მომავალი.** გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე პირები კარგად ითვისებენ საქმიანობებს, რომელნიც რუტინულია და ერთი და იგივეს ხშირ განმეორებას მოითხოვს. მოზრდილობის ასაკში შესვლასთან ერთად აუცილებელია მშობლებმა იზრუნონ ბავშვისთვის იმ კონკრეტული ჩვევების სწავლებაზე რაც მათ შვილს მუშაობაში გამოადგება.
- ◆ **შეარჩიეთ შესაფერისი საქმიანობა.** როდესაც, თქვენ გსურთ ხელი შეუწყოთ ახალგაზრდის დასაქმებას, აუცილებლად უნდა შეადგინოთ სამოქმედო გეგმა (რეკომენდებულია სპეციალისტებთან ერთად), რომელშიც გათვალისწინებული იქნება შემდეგი ფაქტორები: რისი კეთება უყვარს მას, რა საქმიანობები გამოსდის უკეთ. ასევე გაითვალისწინეთ მისი სუსტი მხარეები, მაგ.: თუ უჭირს ქვედა კიდურების დატვირთვა, ნუ შეარჩევთ ისეთ საქმიანობის სფეროს სადაც დგომა ან სიარული იქნება აუცილებელი.

# ცერებრული დამბლა

ცერებრული დამბლის განვითარებას თავის ტვინის გარკვეული უბნების დაზიანება უდევს საფუძვლად. მისი გამოვლინებებია:

- მოძრაობის დარღვევები;
- კუნთური ტონუსის ცვლილებები (დაჭიმულობა ან მოდუნება);
- მოძრაობის კოორდინაციის შეფერხებები;
- ჯდომის, დგომის და სხვადასხვა პოზის დარღვევა.

## მოძრაობის დარღვევები

არსებობს ცერებრული დამბლის, როგორც მსუბუქი ისე მძიმე ფორმები. შესაძლებელია მოძრაობები დარღვეული იყოს ძალიან მსუბუქ დონეზე, შეინიშნებოდეს მოუქნელობა, ასევე რთულ შემთხვევაში ბავშვს შესაძლოა საერთოდ უჭირდეს სხვადასხვა მოძრაობების განხორციელება

მოძრაობები შეგვიძლია განვასხვავოთ იმის მიხედვით, ის სრულდება მთლიანი სხეულით, ფეხების თუ ხელების საშუალებით. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს ზოგ შემთხვევაში აქვთ სირთულეები ისეთ მოძრაობებში, როგორიცაა ადგომა, დაჯდომა, სიარული, ან ხატვა, წერა, ხელში ნივთების დაკავება.



## სხეულის არასწორი პოზიციები

სხეულის არასწორი პოზიციები ასევე ხელს უშლის მოძრაობების შესრულებას და მოტორული ჩვევების ჩამოყალიბებას ბავშვებში. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ხელის მტევნები იყოს განვითარებული, ვლინდებოდეს მაჯებისკენ შეტრიალებული პოზიციები, შესაბამისად ის ხელს შეუშლის ისეთი მოძრაობების განხორციელებას, როგორცაა კოვზით ჭამა, ჭიქის ალება, წერა. ამდენად, მნიშვნელოვანია ბავშვისთვის მორგებული რესურსების გამოყენება ისეთი ჩვევების ათვისებისთვის, რომლებიც მოძრაობას საჭიროებენ.

## კუნთური ტონუსი

მოძრაობისას, ჩვეულებრივ შემთხვევაში, კუნთური ტონუსი ხან მატულობს, ხან კი დუნდება, სწორედ ამის წყალობით ვახერხებთ ჩვენ შევასრულოთ სხვადასხვა მოძრაობები, მათ შორის კოორდინირებული და თანმიმდევრული მოძრაობები. კუნთების მოძრაობა განაპირობებს როგორც უხემ (ჯდომა, დგომა, სიარული, ხტუნვა, ცეკვა), ასევე ნატიფ (ხატვა, ხაზვა, წერა, მოზაიკის აწყობა) მოძრაობებს.

ცერებრული დამბლის შემთხვევაში კუნთური ტონუსი შეიძლება იყოს დაჭიმული, ამას სპასტიკას უწოდებენ. ან შეიძლება იყოს ძალიან მოდუნებული. ორივე შემთხვევაში შეფერხებულია ფიზიკური მოძრაობის განხორციელების პროცესი.

კუნთური ტონუსის დარღვევის მიხედვით ანსხვავებენ ცერებრული დამბლის სხვადასხვა ფორმებს:

- ◆ **სპასტიური ფორმა** — კუნთთა ტონუსი არის მაღალი, კუნთები დაჭიმული, ბავშვს უჭირს პოზიციის შეცვლა, რაც მოძრაობების განხორციელებასაც აფერხებს.
- ◆ **ატონური ფორმა** — სპასტიურისგან განსხვავებით, კუნთები პირიქით, მოდუნებულია, დაქვეითებულია მათი ტონუსი, ბავშ-

ვის სხეული მოშვებულია, შესაძლოა ვერ იჭერდეს თავს, ან ვერ იჭერდეს სხეულს და ცურავდეს სკამზე ჯდომისას.

- ◆ **ათეტიდური ფორმა** — კუნთური ტონუსი სუსტსა და ძლიერს შორის მერყეობს, რის გამოც ბავშვებს აღენიშნებათ ხელების, ფეხების, თავის, თვალების ხშირი, უნებლიე მოძრაობები.
- ◆ **ატაქსიური** – გამოხატულია კოორდინაციისა და წონასწორობის დარღვევა, ბავშვი გადაადგილებისას ხშირად ვარდება, ეჯახება კედლებს, ან ავეჯს.

# ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების სინაქსეზები და დახმარების სტრატეგიები

## გაზიარებული მოტორული და ფიზიკური აქტივობა

პირველი და შესამჩნევი სირთულე ფიზიკური განვითარების სფეროში შეინიშნება. მოტორული და ფიზიკური შეზღუდვის პრობლემა ჩანს უკვე ჩვილობის ასაკიდან, რადგან ცერებრული დამბლის მქონე პატარა ვერ ახერხებს დამოუკიდებლად წამოჯდომას, ხოხვას, დგომას, სხვადასხვა საგნის ხელში აღებას და დაჭერას. ზოგადად, ბავშვი გარემოს შეისწავლის აქტიური მოძრაობით და საგნების მოსინჯვით, ამ შემთხვევაში კი ჩნდება ის სირთულეები, რომელიც ზღუდავს ბავშვს, რომ იყოს გარემოს აქტიური მკვლევარი.

კონკრეტული რჩევები დაგეგმვარება ხელი შეეწყობს ბავშვის განვითარებას, მიუხედავად შეზღუდული მოძრაობებისა.

### რეკომენდაციები:

- ◆ ცერებრული დამბლის შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა ჩვილობის ასაკიდანვეა საჭირო;
- ◆ დახმარების აღმოჩენა გამოიხატება როგორც მედიკამენტურ მკურნალობაში, ასევე ფიზიკურ თერაპიაში;

- ◆ რეკომენდებულია, რომ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის დახმარება ითვალისწინებდეს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რაც სხვადასხვა სპეციალისტების ჩართვას და შეთანხმებულ მუშაობას გულისხმობს: ამ შემთხვევაში საჭირო სპეციალისტები არიან ექიმი-პედიატრი, ფიზიო თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი;
- ◆ ფიზიო თერაპევტის ჩართვა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ბავშვმა შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მიუხედავად ისწავლოს სხვადასხვა მოქმედებების შესრულება;
- ◆ ფიზიოთერაპევტი, თქვენ, როგორც მშობელს, გაგიწევთ რეკომენდაციებს, თუ როგორ მდგომარეობაში (პოზაში) უნდა აჭამოთ ბავშვს, როგორ არის უმჯობესი, რომ აიყვანოთ ხელში, ასევე ბავშვს, მასთან პრაქტიკული მუშაობით, ასწავლის დგომას, ჯდომას, კიბეზე ასვლას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მობარგებს მას ეტლს, სკამს, ყავარჯენს ან სხვ.

## სუსტი სხეულებრივი შეგრძნებები

ბავშვებს უჭირთ საგნების ზედაპირის ხელით მოსინჯვისას ამოიცნონ მისი თვისებები, მაგ. რბილია თუ მაგარი, ხაოიანი თუ გლუვი.

### რეკომენდაციები:

- ◆ სხეულებრივი შეგრძნებების განვითარებისა და სენსორული გამოცდილების გაფართოებისათვის აუცილებელია ქვიშაში თამაში;
- ◆ წყლის აბაზანების გამოყენება, ასევე, ხელს უწყობს ფიზიკურ განვითარებას;
- ◆ რეკომენდებულია, ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რომლებიც გულისხმობს სხვადასხვა ზედაპირის მქონე საგნების ამოცნობას, ყველანაირად უნდა განვითაროთ ასეთ ბავშვებს შეხებითი შეგრძნებები.

- ◆ თუ ბავშვი არ არის ისეთი აქტიური, რომ თავად იყოს სხვადასხვა ფორმისა და ზომის საგნების ალების ინიციატორი, თქვენ თვითონ მიუტანეთ და ჩააჭედინებთ ხელი. ასევე კარგია ფეხშველა ან წინდებით სიარული სხვადასხვაგვარი ზედაპირის მქონე სიბრტყეებზე, რბილ ხალიჩაზე გავლის შემდეგ იატაკზე გავლა, შემდეგ უსწორმასწორო ზედაპირის მქონე საგნებზე, შემდეგ ისევ გლუვ ზედაპირზე გადასვლა და ასე მონაცვლეობით. ამგვარი აქტივობის დროს უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის შესაძლებლობები, რათა არ გადაიტვირთოს მისი ორგანიზმი.

## მეცხველის დარღვევები

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებში ხშირია მეტყველების დარღვევები, რაც გამოიხატება ბგერების და სიტყვების გამოთქმის სირთულეში. კუნთები სახეზე, ტუჩებზე და ენაზე შესაძლოა იყოს მოდუნებული ან დაჭიმული, შესაბამისად მოძრაობები შეზღუდულია. ბავშვის მეტყველება შესაძლოა იყოს ნელი, ძნელად გასაგები, ნყვეტილი.

### რეკომენდაციები:

- ◆ იმუშავეთ იმ მიმართულებით, რომ ბავშვმა გაიფართოვოს ლექსიკური მარაგი, ამისათვის გამოიყენეთ სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა, ასწავლეთ თვალსაჩინო მასალის კატეგორიებად დაჯგუფება: ხილი, ცხოველები და ა.შ;
- ◆ თუ თქვენი ბავშვი ნელა საუბრობს, გამოიჩინეთ მოთმინება მოუსმინოთ ბოლომდე, სანამ დაასრულებს სათქმელს;
- ◆ მის სკოლის პედაგოგებთან ერთად შეთანხმდით დავალებების ჩაბარების მეთოდზე. პედაგოგმა არ უნდა აიძულოს მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვი, რომ მან მთელი კლასის წინაშე მოყვეს გაკვეთილი;
- ◆ ჩართეთ მეტყველების თერაპევტი, რომელიც ინდივიდუალურად იმუშავეს ბავშვთან.

## თვითმომსახურების ჩვევების ათვისების პრობლემა

მოტორული პრობლემატიკა აისახება ბავშვის მიერ ჩვევების ათვისებაზე, შესაბამისად, მისი დამოუკიდებლობის ხარისხი შესაძლოა იყოს ნაკლები. მოძრაობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო ბავშვი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად ჩაცმას, კვებას და სხვ.

### რეკომენდაციები:

- ◆ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებთან გამოიყენება თვით-მომსახურების ჩვევების დაუფლების კონკრეტული და სპეციფიკური მეთოდები;
- ◆ ოკუპაციური თერაპევტის კონსულტაციები დაგეხმარებათ იმაში, თუ როგორ უნდა ასწავლოთ ბავშვს საკუთარი თავის მოვლა: ჩაცმა, კბილების გახეხვა და სხვ;
- ◆ ასევე ბავშვის შესაძლებლობების მიხედვით ხდება ინვენტარის მოდიფიკაცია.

## პრობლემატიკის სწავლა



უფრო ხშირად სირთულეები ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს ექმნებათ წერასა და მეტყველებაში. ამდენად, დავალებებმა, რომლებიც დაკავშირებული წერასთან და თხრობასთან (ხოლო ასეთი საკმაოდ ბევრია) ბავშვებში შესაძლოა პროტესტიც კი გამოიწვიოს, იმის გამო, რომ ვერ ახერხებენ ამ სირთულის დაძლევას. შესაბამისად, სპეციალური დახმარების გარეშე ისინი ვერ აითვისებენ სკოლის პროგრამას.

გვამკვლევთ მშობლებისათვის

- ◆ დავალებები, შერჩეული უნდა იყოს იმ რაოდენობითა და სირთულით რაც დაძლევადი იქნება ბავშვის მხრიდან;
- ◆ ბავშვი არ უდა ვაიძულოთ, რომ მან წეროს მაინცადამაინც რომელიმე კონკრეტულ რვეულში, ვთქვათ პირველკლასელთა ბადეში, ან უჯრიანში. ჩვენ უნდა შევარჩიოთ ისეთი რვეული, რომელშიც მას გაუადვილდება წერა, შესაძლოა, ეს სრულიად უხაზო თაბახის ფურცლები იყოს;
- ◆ შესაძლებელია კალმები და ფანქრები იყოს ჩვეულებრივზე მსხილტარიანი რათა ბავშვმა ადვილად დაიჭიროს ისინი ხელში;
- ◆ ზოგიერთ შემთხვევაში წერა-კითხვის დასწავლა უფრო წარმატებულია კომპიუტერის გამოყენებით;
- ◆ მნიშვნელოვანია მოტივაციის ფაქტორი, ბავშვს უნდა გავუღვივოთ ინტერესი, დავანახოთ საკუთარი წარმატება
- ◆ თუ დასწავლის პროცესი ძალიან გახანგრძლივდა და შედეგი აგვიანებს, პრობლემის მიზეზები ორგან უნდა ვეძიოთ: შესაძლოა სწავლების მეთოდი არის ბავშვის შესაძლებლობების არაადეკვატური, ან რესურსებია არაეფექტური. მაგალითად, მათემატიკა არ ისწავლება ციფრების მხოლოდ უჯრიან რვეულში გამოწერით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა რესურსები: პლასტიკინით ციფრების ძერწვა, ფაზელები და სხვა.
- ◆ გახსოვდეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სწავლება თქვენგან შემოქმედებითი უნარების გამომჟღავნებას საჭიროებს.

## პრობლემატი სოციალურ ურთიერთობაში

ზოგ შემთხვევაში ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვი ვერ ამყარებს ურთიერთობას თანატოლებთან და ვერ ერთვება ყველანაირ თამაშში. გამომდინარე აქედან, შესაძლოა გაჩნდეს ორი პრობლემა: ბავშვს არ ჰყავდეს მეგობრების წრე, მწირი ურთიერთობების გამო არ გამოუმუშავდეს სოციალური უნარ-ჩვევები.

### **რეკომენდაციები:**

- ◆ ბავშვის სოციალური განვითარებისათვის აუცილებელია ის ჩართული იყოს თანატოლებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში;
- ◆ ბავშვი არ უნდა მოვარიდოთ ეზოში ჩაყვანას, გასეირნებას, სტუმრად წაყვანას;
- ◆ ოჯახმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვს იმაში, რომ შეიძინოს მეგობრები, მეგობრებთან ურთიერთობით მას სხვადასხვა სოციალური უნარჩვევები გამოუმუშავდება.

## **ემოციური პრობლემები**

ბავშვი, რომელიც აცნობიერებს საკუთარ მდგომარეობას, შესაძლოა განიცდიდეს ემოციურ სტრესსა და დაძაბულობას. დაბრკოლებები, რომლებიც მას შეიძლება შეხვდეს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ზოგჯერ აშინებთ მათ, ან იწვევს ბრაზისა და რისხვის შეგრძნებას.

### **რეკომენდაციები:**

- ◆ შესაძლოა საჭირო გახდეს ფსიქოლოგის ინდივიდუალური მუშაობა ბავშვთან.
- ◆ ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება ოჯახის ფსიქოლოგის ჩართვა.



# როგორ მოვახერხოთ სხელი, სადაც წერილები დაიწყო მკონე ჰავში ცხოვრობს

- ◆ გახსოვდეთ, რომ გარემო, რომელშიც თქვენი შვილი ცხოვრობს უმთავრესი შესაძლებლობაა ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის სახლის თითოეული ნაწილი მორგებული უნდა იყოს ბავშვის შესაძლებლობებს;
- ◆ თუ ბავშვი სარგებლობს ეტლით, მაშინ სახლში ეტლის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა უნდა იყოს. ხშირ შემთხვევაში კარებების ზომა შეიძლება არ ემთხვეოდეს ეტლის ზომას, ამიტომ გარკვეული ცვლილებების განხორციელება გახდება საჭირო, რათა ბავშვმა შეძლოს როგორც ოთახებში, ასევე აბაზანაში და სამზარეულოში ეტლით დამოუკიდებლად შესვლა;
- ◆ ძალიან სასარგებლო იქნება ბავშვის გადაადგილების გადავილებისათვის, თუ კედლებზე დამაგრებული იქნება მოაჯირები, რათა ფეხით გადაადგილებისას ბავშვმა მას ხელი მოკიდოს. თუ არ არის იმის საშუალება, რომ მოაჯირები მთელ სახლში გაკეთდეს, მაშინ სასურველია ისინი იყოს იმ ოთახებში მაინც, სადაც ბავშვს ხშირად უნევს ყოფნა, მაგალითად საძინებელში, ან სამზარეულოში;

- ◆ გარკვეული ცვლილებების განხორციელება გახდება საჭირო აბაზანასა და სამზარეულოში. მაგალითად ხელების დამოუკიდებლად დაბანა რომ ისწავლოს ბავშვმა, აუცილებელი გახდება მისი ეტლი თავისუფლად თავსდებოდეს ნიჟარასთან. ასევე, სასადილო მაგიდა უნდა იყოს ბავშვის ზომაზე მორგებული, არ იყოს არც ძალიან დაბალი, არც მაღალი;
- ◆ ასევე ჭურჭელი და სხვა მნიშვნელოვანი საგნები, რითიც სარგებლობს ბავშვი მოდიფიცირებული უნდა იყოს ბავშვის შესაძლებლობების შესაბამისად;
- ◆ გახსოვდეთ, რომ ფიზიკური გარემო და საგნები ისე უნდა გადააკეთოთ ან შეარჩიოთ, რომ მორგებული იყოს ბავშვის შესაძლებლობს და არა პირიქით, ნუ ეცდებით დააძალოთ ბავშვს ან აიძულოთ იმის გაკეთება, რაც მისთვის ამ ეტაპზე შეუძლებელია. ხოლო სპეციალურად მორგებული საგნების დანიშნულება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს უწყობს ბავშვის უნარების განვითარებას.

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, თუმცა მისი გამომწვევი მიზეზები ჯერ კიდევ ბოლომდე უცნობია. უმეტესწილად მას ტვინის ფუნქციის დარღვევას უკავშირებენ.

აუტიზმი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. აუტიზმის მქონე ბავშვი ხასიათდება მწირი ინტერესებით და აქტივობების შეზღუდული სპექტრით.

შეიძლება ითქვას, რომ აუტიზმი უცნაური და ბოლომდე შეუსწავლელი მოვლენაა, ამ დაავადების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი და სირთულე ვლინდება კომუნიკაციური უნარების დარღვევაში, ხშირად ძალიან ძნელია მშობლისთვის ბავშვის სამყაროში შეღწევა, ამიტომ აღზრდისა და სწავლების პროცესი მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

აუტიზმის მქონე ბავშვს დარღვევები აქვს:

- ◆ სოციალური უნარების განვითარებაში
- ◆ სწავლაში
- ◆ კომუნიკაციაში
- ◆ მეტყველებაში
- ◆ ქცევაში

## რა სიბოგაბი მიგვანიშნებს აუტიზმის არსებობაზე

- ვლინდება სირთულეები ბავშვთან ურთიერთობის დამყარებისას;
- მშობლებს უჩნდებათ განცდა, რომ ბავშვი არის გულგრილი მათ მიმართ, არ ამჟღავნებს და არ უზიარებს ემოციებს;
- ის გაურბის თვალებით კონტაქტს;
- აქვს პრობლემები მეტყველებაში, აქვს ე.წ. „თავისებური მეტყველება“, ლაპარაკობს თავისთვის, ზოგჯერ თითქოს სიმღერით, მეტყველებას არ იყენებს კონტექსტის შესაფარისად;
- საკუთარ თავს აღნიშნავს სახელით და არა პირველი პირის ნაცვალსახელით „მე“;
- არ რეაგირებს სახელის დაძახებაზე;
- არ რეაგირებს მისკენ მიმართულ მეტყველებაზე, თითქოს თავის სამყაროშია ჩაკეტილი და გარემოში მიმდინარე მოვლენებს ვერ ამჩნევს;
- არ უყვარს ფიზიკური კონტაქტი, ხელში აყვანა, მოფერება;
- არ ურთიერთობს თანატოლებთან, არ ერთვება ჯგუფურ აქტივობებში;
- აუტისტი ბავშვებისთვის დამახისათებელია ინტელექტუალური განვითარების არათანაბრობა, ხშირად აუტიზმს თან სდევს გონებრივი ჩამორჩენილობა, თუმცა, ასეთმა ბავშვმა, შესაძლოა, განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინოს მუსიკაში ან მათემატიკაში. ეს მოვლენა ამ დაავადების პარადოქსული გამოვლენაა;
- აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის დამახისათებელია სტერეოტიპული და განმეორებადი მოძრაობები, სკამზე ჯდომისას გამუდმებით აქანავებენ სხეულს, ფეხებს, ასევე წამოდგებიან და უმიზნოდ გადაადგილდებიან, შეიძლება უცებ დაწვნენ იატაკზე, ჩაიმუხლონ, იგრიხებიან;

- არ უყვართ ცვლილებები დღის რეჟიმში, მაგ. სადილისას ყოველთვის უნდა დაჯდეს ერთი და იგივე ადგილზე, აქვთ ამოჩემებული ტანსაცმელი. ცვლილებები დღის რეჟიმში აუტისტი ბავშვებში გაღიზიანებას და ჭირვეულობას იწვევს, რაც შესაძლოა რისხვის შეტევითაც გამოვლინდეს;
- აუტისტი ბავშვები არ თამაშობენ ნარმოსახვით და როლურ თამაშებს;
- შესაძლოა ვლინდებოდეს აგრესიული და თვითდამაზიანებელი ქცევები.

## რჩევები მშობლებს

- ◆ **არ ჩათვალოთ, რომ მისთვის ყველაფერი სულერთია.** აუტისტს ბავშვებს აქვთ სოციალური პრობლემები და ვერ ამყარებენ ურთიერთობებს გარშემომყოფებთან. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ, როგორც მშობელი არ უყვარხართ. მათთან კონტაქტის დამყარებისთვის გამოიყენეთ ის აქტივობები, რომლებიც თვითონ მოსწონს, აყევით თამაშში.
- ◆ **რა უყვართ მათ.** აუტისტი ბავშვების უმრავლესობას უყვარს მუსიკა, სეირნობა, წიგნების თვალღებვა, ტელევიზორის ყურება, განსაკუთრებით იზიდავთ რეკლამის ტიპის მინიკლიპები, აქვთ ამოჩემებული მუსიკა და მულტფილმები, რომლებსაც საათების მანძილზე შეუძლიათ უყურონ.

## აუტიზმის მქონე ბავშვის სწავლებისა და ურთიერთობის სტრატეგია

- ◆ **სურათებით კომუნიკაცია.** რადგან აუტიზმის მქონე ბავშვებს, როგორც წესი, მეტყველების მკვეთრად გამოხატული

პრობლემა აქვთ, უმჯობესია მათ სურათებით ურთიერთობა ვასწავლოთ. სურათები ძალიან ეხმარება ბავშვებს გაგვაგებინონ, გვიჩვენონ, თუ რა უნდათ, ვისთან უნდათ და რისი გაგება სურთ.

- ◆ **იმიტაცია.** აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობისას ასევე ეფექტური სტრატეგიაა იმიტაცია. სხვათა იმიტაციის პროცესში აუტიზმის მქონე ბავშვები სწავლობენ სოციალურ ინტერაქციას და გარკვეულ ყოფით უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ დამოუკიდებლად არ უყალიბდებათ.



ეპილეფსია არის თავის ტვინის დაავადება. ის გამოწვეულია თავის ტვინის ნეირონების სრულიად უნებლიე, ადამიანის განდამოუკიდებელი ალგზნებით. ეპილეფსია შეიძლება განუვითარდეს ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა.

ეპილეფსიის გამოვლინებები აღწერილია უძველეს ლიტერატურულ ნაწარმოებებში. მითოლოგიიდან ცნობილია, რომ ეპილეფსია ჰქონდა ჰერაკლეს. ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი იყო ეპილეფსიით დაავადებული. მათ შორის: გუსტავ ფლობერი, აგატა კრისტი, თეოდორ დოსტოევსკი, ლუის კეროლი, ჯორჯ ბაირონი, ჟან-ბატისტ მოლიერი, ჰელმჰოლცი, ალფრედ ნობელი, ვან გოგი, ჟანა დარკი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ალექსანდრე მაკედონელი და იულიუს კეისარი.

ეპილეფსის განვითარების კრიტიკული პერიოდები ბავშვობის ასაკში არის 2-დან 4 წლამდე, შემდეგ — 7-8 წლის ასაკში და გარდატეხის პერიოდი — 11-15 წელი.

## ეპილეფსიის ფორმები

ეპილეფსია ვლინდება გულყრებით, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ თუ ბავშვს ერთხელ ან ორჯერ დაემართა გულყრა, ეს ჯერ არ ნიშნავს რომ ეპილეფსია აქვს, თუმცა აუცილებელია ექიმთან ვიზიტი. არსებობს ეპილეფსიის სხვადასხვა ფორმა, რომლებიც განსხვავებული მიმდინარეობით გამოირჩევა.

- 1. დიდი გულყრა** (მას ასევე უწოდებენ გენერალიზებულ, ტონურ-კლონურს) მიმდინარეობს გონების უეცარი დაკარგვით, ბავშვი ამდროს ძირსეცემაშეპყრობილივით, შეიძლება დაეცეს ზურგზე ან სახით. დაცემისთანავე ეწყება სხეულის დაჭიმულობა, თვალებით ზემოთ იყურება, სუნთქვა გაძნელებულია, პირიდან მოსდის დუჟი (დუჟი შესაძლოა იყოს სისხლიანი, მაგრამ ეს ენის მოკვნეტის გამო ხდება), ხშირია უნებლიე შარდვა ან დეფეკაცია, ოფლიანობა. ამგვარი გულყრა გრძელდება 5 ან 10 წთ-ს, და მთავრდება ძილის მდგომარეობით, გამოღვიძებისას ადამიანს არაფერი არ ახსოვს. აქვს დაღლილობის განცდა და თავის ტკივილი, უჭირს მეტყველება. გულყრას ზოგჯერ წინ უძღვის გარკვეული უსიამოვნო შეგრძნება, რომელსაც აურას უწოდებენ. ადამიანი ზოგჯერ ამით გრძნობს, რომ გულყრა ეწყება.
- 2. მარტივი აბსანსი.** ეპილეფსიის ერთერთი ფორმაა, ახასიათებს გონების ხანმოკლე დაკარგვა. თუ ამ დროს ბავშვი დაკავებული იყო რაიმე საქმიანობით, ის წყვეტს ყოველგვარ აქტივობას და თითქოს შემდება, იყინება ერთ პოზაში. რამდენიმე წამში გონს მოდის და აგრძელებს საქმიანობას. შემდგომში ეს მდგომარეობა არ ახსოვს, რადგან ამ დროს ცნობიერება გათიშული ჰქონდა.
- 3. რთული აბსანსი.** რთული აბსანსები გავს მარტივს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ შემთხვევაში უეცარ ცნობიერების დაკარგვას თან სდევს სხეულს კუნთური მოძრაობები, ეს შეიძლება იყოს პირის მოძრაობა, თითქოს ღეჭავს საჭმელს, ან ხელების მოძრაობები, თითქოს ეძებს რაღაცას.
- 4. პარციალური გულყრები.** გამოყოფენ პარციალურ გულყრებს, რომლებიც ნათელი ცნობიერების ფონზე მიმდინარეობს. ამ დროს ხდება კიდურების კუნთების რიტმული განტვირთვები, რომლებიც შეიძლება დაიწყოს კიდურების რომელიმე ნაწილში და გავრცელდეს მთელ სხეულზე.



## პირველადი დახმარება გულყრის დროს

- გულყრის მიმდინარეობა საკმაოდ მძიმე საყურებელია, თუმცა ის სიცოცხლისთვის საშიში არ არის, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, პანიკა ამ დროს მიუღებელია;
- ბავშვი უნდა მოვათავსოთ სწორ პოზაში, დავანვინოთ გვერდზე, რათა პირიდან გადმოსული დუჟი არ გადასცდეს სასულეში;
- მოვათავსოთ უსაფრთხო ადგილზე, რათა სხეულის ძაგძაგის დროს თავი არ იყოს კედელთან ახლოს. აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ზედმეტი ტრავმა, ფრთხილად მოვხსნათ სათვალე, ან სხვა აქსესუარები;
- თავქვეშ ამოვუდოთ ბალიში, რათა დავიცვათ თავის დაზიანებისგან; არ მივცეთ წყალი, წამალი;
- ვაკონტროლოთ გულყრის მიმდინარეობა და დრო, თუ ის გადაცდა 5 - 10 წთ-ს გამოვიძახოთ სასწრაფო;
- არ დავტოვოთ მარტო, მშვიდად ვიყოთ მის გვერდით;
- შევამოწმოთ, ხომ არ მიიღო ტრავმა დაცემისას;
- არავითარ შემთხვევაში არ დავუკავოთ ენა. „ენის გადაყლაპვის“ შიშით ზოგჯერ ენას უჭერენ თითით ან კოვზით, ამ დროს ბავშვს ვაყენებთ ზიანს, შეიძლება დავუზიანოთ კბილები, ტუჩები. „ენის გადაყლაპვა“ არარსებული მოვლენაა, ასეთი რამ არ ხდება;
- ასევე გავრცელებული მითია გულყრის მიმდინარეობის დროს ბავშვისთვის შავი ნაჭრის გადაფარება თვალეზე ან მთელ სხეულზე, რაც ასევე აბსურდული და არაფრისმომტანი ქცევაა. ამას მიმართავდნენ ძველ დროში და მისი გამოყენების საფუძველი სავარაუდოდ იყო შემდეგი: გენერალიზებული გულყრის მიმდინარეობა უსიამოვნო სანახავია, ალბათ გარშემომყოფები ამით ცდილობდნენ თავი აერიდებინათ მისი ყურებისგან. რაოდენ გასკვირიც არ უნდა იყოს დღესდღეისობითაც კი ზოგიერთი მშობელი მიმართავს ამ მეთოდს და მიაჩნია, რომ შავი

ნაჭრის გადაფარებით გულყრა შეჩერდება, რაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეხედულებაა. ამით, პირიქით, ხელი გვეშლება გულყრის მიმდინარეობის გაკონტროლებაში.

- საკმაოდ საშიშია გადაბმულად მიმდინარე გულყრები. ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გამოვიძახოთ ექიმი.

## რა სირთულეები ახასიათებთ ავილუფსიით დაავადებულ ბავშვებს

- მათ შესაძლოა უჩვეულო სიტუაციაში, მოულოდნელად დაემართოს გულყრა, რის შედეგადაც შეიძლება მიიღონ ტრავმა;
- ზოგჯერ მათ უვითარდებათ სირცხვილის გრძნობა, უყალიბდებათ დაბალი თვითშეფასება;
- იმის შიშით, რომ არ დაემართოს გულყრა, ბავშვმა შესაძლოა უარი განაცხადოს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიღებაზე, არ წავიდეს მეგობრის დაბადების დღეზე, ხანგრძლივად გააცდინოს სკოლა. ზოგჯერ ბავშვს აქვს წასვლის სურვილი, მაგრამ მშობელი იკავებს თავს;
- ხშირად თავს იჩენს პრობლემები სწავლაში, აკადემიურ მიღწევებში, აქვთ ათვისების პრობლემა, ყურადღების კონცენტრაციისა და ყურადღების ერთი მოვლენიდან მეორეზე გადართვის პრობლემები;
- შესაძლოა თავი იჩინოს განვითარების ზოგადმა ჩამორჩენამ, ფსიქომოტორულმა პრობლემებმა;
- ზოგჯერ აღინიშნება ემოციური პრობლემები, შეიძლება ბავშვი იყოს ემოციურად აგზნებული, ჭირვეული, ჯიუტი, ან პირიქით, უინიციატივო, პასიური, ჩაკეტილი;
- ქცევითი აშლილობები, როგორცაა აგრესიულობა, ფეთქებადობა, იმპულსურობა.

# რეკომენდაციები, თუ როგორ გადავლახოთ სირთულეები ავითერის შემთხვევაში

- პირველ რიგში როგორც კი გამოვლინდება ეპილექსიური გულყრები უნდა მივმართოთ ნევროლოგს და ჩავართოთ ფსიქოლოგი;
- ეპილექსიის შემთხვევაში აუცილებელია სწორი დიაგნოსტიკა, ამისათვის ნევროპათოლოგს მშობელმა უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და ობიექტურად აღუწეროს ეპილექსიის მიმდინარეობა;
- ნევროლოგი გამოკვლევის მიზნით ნიშნავს ეეგ-ს – ელექტროენცეფალოგრამას, კომპიუტერულ ტომოგრაფიას ან/და მაგნიტურ რეზონანსულ გამოკვლევას სრული სურათის მიღების მიზნით. ამ დროს ირკვევა ავთვისების კერის და ტვინის სტრუქტურის მდგომარეობა;
- ეპილექსიის კონტროლი და მკურნალობა მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე წარმოუდგენელია, მშობლისგან აუცილებელია ექიმის დანიშნულების სრული დაცვა;
- არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვის იზოლაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისგან, თქვენი შვილი საზოგადოების ისეთივე წევრია, როგორც სხვა დანარჩენი, მას ხელი უნდა შეუწყოს, რომ მიიღოს მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში მისი დაძმების და თანატოლების მსგავსად;
- თუ აღინიშნება გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხი და პრობლემები სწავლაში, ბავშვმა უნდა იაროს სკოლაში და ისწავლოს სპეციალური საგანმანათლებლო გეგმით;
- ბავშვს, გარდა ნევროპათოლოგის ზედამხედველობისა შესაძლოა დასჭირდეს ფსიქოლოგის დახმარება, განსაკუთრებით ემოციური და ქცევითი სირთულეების მოგვარების მიზნით;
- ბავშვს უნდა ჰქონდეს რეჟიმი, რაც უზრუნველყოფს მისი მეცადინეობისა და დასვენების დროის რაციონალურ განაწილებას;

- რეკომენდებული არ არის ტელევიზორის ყურება ძილის წინ, დღის მანძილზე კი შეიძლება უყუროს საშუალოდ 2 მეტრის დაშორებიდან, ნათელ და მოზრდილ ოთახში;
- ეპილექსიის გამო ნუ აუკრძალავთ სხვადასხვა საქმიანობას და ნურც ყველაფრის კეთების უფლებას მისცემთ.

## შესაძლებელია თუ არა ეპილექსიის სრული განკურნება

მშობელი, რაც არ უნდა ზედმინევენით და რაციონალურად იცავდეს ბავშვის მოვლის რეკომენდაციებს ეპილექსიის შემთხვევაში, რატომაუნდა, მაინც ინტერესდება: შესაძლებელია თუ არა ეპილექსიის განკურნება?

ამისათვის, პირველ რიგში, მკურნალობა დავიწყოთ დროულად და უზრუნველყოთ მისი თანმიმდევრულობა. არ შეიძლება მედიკამენტების თვითნებური შეწყვეტა ან გამოცვლა ექიმის დანიშნულების გარეშე. არ უნდა გაგკვიკვირდეს, რომ ექიმმა, შესაძლოა, ხშირად შეცვალოს დანიშნულება, დანიშნოს სხვადასხვა წამლები, გაზარდოს და შეამციროს დოზები, ეს იმიტომ ხდება, რომ ეპილექსიის მკურნალობა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსხავავებულია. ეპილექსიის მკურნალობა არ არის ხანმოკლე პროცესი, მკურნალობის საშუალო ხანგრძლივობად 5-6 წელი ითვლება. გარდა მედიკამენტოზური ჩარევისა, პერიოდულად ხდება ხელახალი დიაგნოსტიკა, ცვლილებების დაფიქსირების მიზნით.

თანამედროვე მედიკამენტები უზრუნველყოფს ეპილექსიის განკურნების სრულ შესაძლებლობას, ეპილექსია განკურნებულად ითვლება, თუ მკურნალობის შეწყვეტიდან 4 წლის მანძილზე გულყრა არ განმეორდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პაციენტების 70% აღწევს სრულ განკურნებას.

# ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD)

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი ბავშვებში გავრცელებულ ნეირობიოლოგიური და ქცევითი დარღვევაა, რომელიც მოზარდობასა და ზრდასრულ ასაკშიც გრძელდება. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის შემთხვევაში, თავის ტვინის პრეფრონტალურ არეებში ხდება ნერვული იმპულსის გადაცემის დარღვევა.

ამ სინდრომის შემთხვევაში ბავშვებისთვის დამახასიათებელია:

- ◆ უყურადღებობა – ბავშვი თითქოს გაფანტულია, არ უსმენს როდესაც ელაპარაკებიან;
- ◆ იმპულსურობა — ბავშვს არ შეუძლია შეიკავოს იმპულსური ქცევები;
- ◆ ჰიპერაქტიურობა — ბავშვი ზედმეტად მოუსვენარია, ფიზიკურად ძალიან აქტიურია.

მსგავსი ქცევები, შესაძლოა, ახასიათებდეს ბავშვთა უმრავლესობას გარკვეულ ფარგლებში, მაგრამ, ამ სინდრომზე ლაპარაკია, როდესაც შეფასებას ჩაატარებს სპეციალისტი და აღმოჩნდება, რომ ბავშვის ქცევა აკმაყოფილებს ამ დარღვევის ყველა დიაგნოსტიკურ კრიტერიუმს. ასევე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დამახასიათებელი ნიშნები უნდა ვლინდებოდეს ასაკთან შეუსაბამოდ, ბავშვი უნდა ავლენდეს თავისზე უფრო პატარებისათვის დამახასიათებელ ქცევებს.

# როგორ ამოვიცნოთ პრობლემა

თუ ბავშვს ახასიათებს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, იგი თავს იჩენს სკოლაში შესვლის პირველივე დღეებიდან.

ქვემოთ მოყვანილია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის შეფასების კრიტერიუმები.

## უყურადღებობა:

1. უჭირს ერთ საკითხზე ყურადღების კონცენტრირება, „ხტება“ ერთი საქმიანობიდან მეორეზე;
2. მისთვის რთულია რუტინული დავალებების შესრულება;
3. რჩება შთაბეჭდილება, რომ არ გისმენს მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ მას მიმართავთ;
4. ხშირად კარგავს ნივთებს;
5. ერთდროულად იწყებს რამდენიმე აქტივობას და ვერ მიყავს ბოლომდე;
6. არ ამთავრებს დავალებას ბოლომდე;
7. თავს არიდებს და არ მოსწონს დავალებები, რომელთა შესასრულებლად ძალისხმევაა საჭირო;
8. ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქოს გულმავიწყია;
9. მის ყურადღებას ადვილად იპყრობს გარემოში არსებული სხვა სტიმულები.

## ჰიპერაქტიურობა:

1. ხშირად ცქმუტავს;
2. მუდმივად წრიალებს;
3. არ შეუძლია წყნარად ჯდომა, მასწავლებლები ჩივიან რომ დადის საკლასო ოთხში;
4. სისტემატურად ესაუბრება გარშემომყოფთ;
5. ამოძრავებს ფეხებს ან/და ხელებს
6. აწვალებს ნივთებს;

## იმპულსურობა

1. არ ფიქრობს, სანამ რამეს ჩაიდენს;
2. ხშირად ყვირის უადგილოდ და იძლევა არაადეკვატურ პასუხებს;
3. უცებ წამოხტება და გარეთ გარბის;
4. ვერ იცავს რიგითობას, უჭირს წესების დაცვა;

*ექვსი თვის განმავლობაში ექვსი უყურადღებობის და ჰიპერაქტიურობა-იმპულსურობის ასევე ექვსი ან მეტი სიმპტომი უნდა ვლინდებოდეს იმ ხარისხით, რომ ეს მოცემული ასაკის ბავშვს ხელს უშლიდეს გარემოსთან შეგუებაში.*

თუ მასწავლებლები თქვენს შვილზე საუბრისას ხშირად აღნიშნავენ, რომ ბავშვს აქვს მსგავსი სირთულეები, ასევე თქვენც ამჩნევთ იგივეს სახლში თუ ეზოში, ნულარ გადადებთ იმ სპეციალისტებთან ვიზიტს, რომლებიც გარკვეულ რეკომენდაციებს მოგცემენ ბავშვის ქცევის მართვისთვის.

სპეციალისტების რჩევები აუცილებელია, რადგან პრობლემა თავისით არ მოგვარდება და ბავშვს შესაძლოა შეექმნას დამატებითი პრობლემები სწავლაში, საკლასო აქტივობებში და თანატოლებთან ურთიერთობაში.

სპეციალისტები გამოყოფენ იმ თვისებებს, რომლებიც ახასიათებთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებს. თუ ბავშვთან წამყვანი უყურადღებობის სინდრომი აქვს თვისებები შემდეგნაირად ვლინდება:

- ◆ გაუჭირდება ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმიანობა. ამიტომ მისთვის საშინაო დავალების შესრულება შესაძლოა მთელი დღე გაგრძელდეს და მაინც დაუსრულებელი დარჩეს, რადგან ვერ ისვენებს, ხშირად წამოდგება, ვერ ახრეხებს კონცენტრირებას დავალებაზე და მის ყურადღებას იპყრობს სხვა მოვლენები, იყურება ფანჯრიდან, ერთი საქმიანობიდან ხტება მეორეზე.
- ◆ უჭირს დეტალებისათვის ყურადღების მიქცევა, ინსტრუქციის გაგება, „გიყურებს, მაგრამ არ გისმენს“, - აღნიშნავენ მასწავლებლები. საუბრის წარმართვა მასთან ასევე სირთულეებთან

შეიძლება იყოს დაკვირვებული რადგან არ მიყვება საუბრის თემას, „ხტის“ ერთი თემიდან მეორეზე.

თუ ბავშვს უმეტესად გამოსატული აქვს ჰიპერაქტიური-იმპულსური ქცევა, მაშინ იგი:

- ◆ მოუსვენარია და ბევრს ლაპარაკობს, ხშირად აწყვეტინებს საუბარს სხვას ან იწყებს საუბარს შეუფერებელ დროს.
- ◆ არ შეუძლია დაელოდოს თავის ჯერს და მოისმინოს ინსტრუქციები ბოლომდე. უჭირს გარკვეული დროით (მაგ. გაკვეთილზე, ტრანსპორტში) წყნარად ჯდომა, წრიალებს, ხშირად წამოდგება და დადის.

თუ ბავშვს გამოსატული აქვს, როგორც ჰიპერაქტიურობის, ისე ყურადღების დეფიციტისა და იმპულსურობის მახასიათებლები, მაშინ მისთვის დამახასიათებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებს, აღნიშნული ქცევითი მახასიათებლების გამო, ასევე, შესაძლოა გაუჩნდეთ პრობლემა სწავლაში და სოციალიზაციაში. ხშირად ვლინდება აგრესიული და უკვე მოზარდობისას, ასოციალური ქცევები. სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში დამახასიათებელია გამუდმებული სირბილი, ხტუნვა, ძრომიალი. ამდენად, ხშირია სხვადასხვა ტიპის ტრავმები და სახიფათო სიტუაციებში აღმოჩენა.

## სად ვლინდება პრობლემა

უმეტეს წილად სინდრომის დამახასიათებელი ნიშნების აღმოჩენა, როგორც ვთქვით, სკოლაში შესვლასთან ერთად ხდება. მასწავლებლები და სხვა მშობლები ჩივიან, რომ თქვენი ბავშვი მოუსვენარია და ამით არეულობა შემოაქვს კლასში. შესაძლოა ბავშვი ხევდეს სხვის რვეულებს, აფუჭებდეს ნივთებს, ხტოდეს, ხოლო დავალების შესრულებისას ძალიან უყურადღებო იყოს.

ზემოთ ჩამოთვლილი ქცევების მთელი სპექტრი თუ უკვე დაგისახელეს პედაგოგებმა და სხვა პირებმა, ალბათ პირველი, რაც იგ-



რძენით ის არის, რომ ძალიან გაბრაზდით თქვენს შვილზე, გადან-  
ყვიტეთ, რომ ცელქია, უზრდელი, რადგან მისი საქციელის გამო თქვენ  
გინევთ შენიშვნების მოსმენა.

თუმცა, არსებობს მშობელთა მეორე კატეგორიაც, რომელიც  
ბავშვის ასეთ დახასიათებას არავითარ შემთხვევაში „არ დაიჯერებს“,  
რადგან „მისი შვილი ასე არ მოიქცეოდა“ და შესაძლოა, აქ უკვე დაიძ-  
აბოს სიტუაცია მშობლებსა და ბავშვთან ურთიერთობაში მყოფ სხვა  
პირებს შორის.

დამეთანხმებით, რომ ზემოთ დასახელებული არც ერთი პოზიცია  
არ დაეხმარება თავად ბავშვს, რადგან მას ამ შემთხვევაში სრულიად  
სპეციფიკური და რაციონალური მიდგომა სჭირდება.

პირველ რიგში, თუ ბავშვს ამჩნევთ მსგავს სიმპტომებს,  
აუცილებლად ჩაენერეთ ვიზიტზე პედიატრთან, ნევროლოგთან, ან  
ფსიქიატრთან და ბავშვთა ფსიქოლოგთან, რამეთუ თქვენ შესაძლოა  
დაგჭირდეთ ორი სახის დახმარება: მედიკამენტოზური ჩარევა ან/და  
ქცევის მართვა.

- ასევე, მშობელმა და მასწავლებელმა უნდა გააცნობიერონ, რომ
- ◆ ბავშვი ასე არ იქცევა განგებ, თქვენს ჯინაზე, არც სპეციალუ-  
რად გიშლით ნერვებს. ამიტომ, ნუ გაბრაზდებით მასზე, შეი-  
ნარჩუნეთ სიმშვიდე და შეეცადეთ აკონტროლოთ როგორც  
თქვენი, ისე მისი ქცევა.

## ჯონარბული რჩევები ყურადღების დაფიციბისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის მშობლებს

- ◆ **ისაუბრეთ მოკლედ და კონკრეტულად.** ნუ მისცემთ ბავშვს გრ-  
ძელ ინსტრუქციებს. არ წაუკითხოთ ლექციის მაგვარი რჩევა-  
დარიგება. ასეთი ბავშვისთვის დამახასიათებელია ხანმოკლე  
მეხსიერება, მას არ შეუძლია მიღებული გრძელი ინსტრუქციე-  
ბის დამახსოვრება. შესაბამისად, მიეცით ძალიან მოკლე მი-  
თითები და დაელოდეთ. თუ არ გემორჩილებათ, გაუმეორეთ

რამდენჯერმე, მცირე პაუზებით, ამ დროს ეცადეთ თქვენი ხმის ტემბრი იყოს მშვიდი, არ შეინიშნებოდეს ნერვიულობა ან გაღი-აზიანება.

- ◆ **მიეცით მის მოძრაობებს შინაარსობრივი დატვირთვა.** ნუ შეეცდებით ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვი აიძულოთ დიდხანს გაჩერდეს ერთსა და იმავე ადგილას. ამის მაგივრად ეცადეთ, ხშირად მისცეთ მოძრაობის საშუალება. რამდენადაც, როგორც წესი, მისი მოძრაობები ხიფათიანი და არეულობის შემომტანია, საუკეთესო გზა პრობლემების მოგვარებისთვის არის მის ქაოტურ მოძრაობებს მისცეთ შინაარსი. ანუ, მიეცით კონკრეტული დავალებები, რომელთა განხორციელებასაც ფიზიკური აქტივობა ჭირდება. მაგ. დაავალეთ გადაყაროს ნაგავი, ამოიტანოს მაღაზიიდან პროდუქტი. აუცილებლად შეაქეთ დადებითად შესრულებული აქტივობისთვის.
- ◆ **გააკეთეთ ჩანაწერები და ბავშვსაც ასწავლეთ ჩაიწეროს.** ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვს უჭირს მისთვის მიცემული ზეპირი ინსტრუქციებისა და დავალების დამახსოვრება. მაგალითად, თქვენ თუ სახლიდან გადისხართ და შიშობთ, რომ უთქვენოდ შეიძლება სადილობა გადაავიწყდეს და მშვიერი დარჩეს, დაწერეთ ეს და მიაწებეთ ფერადი სტიკერით თვალსაჩინო ადგილას.
- ◆ **მოარიდეთ გარე გამღიზიანებლებს.** ბავშვის სამეცადინო კუთხე მოაწყვეთ ფანჯრისგან მოშორებით, სადაც ყრუ კედლებია, რათა საშინაო დავალების შესრულებისას არ გაეფანტოს ყურადღება.
- ◆ **დაყავით დავალება მცირე ნაწილებად.** შეგიძლიათ გააკეთოთ პატარა ცხრილი, სადაც აღნიშნული იქნება ბავშვის მიერ შესასრულებელი საქმიანობების ნუსხა. აუხსენით, რომ შემდეგ საქმიანობაზე უნდა გადავიდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც წინას დაასრულებს. თითოეული აქტივობის დასრულებისას დასვას შესაბამისი ნიშანი. დავალებებს შორის დაასვენეთ, მიეცით უფლება ადგეს და გაიაროს.

მათემატიკის დავალება	+
ქართული	
ინგლისური	

- ◆ **ამუშავეთ უფრო ზეპირად, ვიდრე წერით.** ამ სინდრომის მქონე ბავშვებს უძნელდებათ წერითი დავალებების შესრულება, რადგან ის ყურადღების კონცენტრაციას და ფსიქიკურ დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ ასეთი ბავშვი ზეპირ დავალებებს მეტი წარმატებით აითვისებს.
- ◆ **დაიხმარეთ კომპიუტერი.** კომპიუტერის დახმარებით მათ უფრო უადვილდებათ დავალებების შესრულება, შეძლებისდაგვარად ხშირად გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა.
- ◆ **ითანამშრომლეთ მასწავლებლებთან.** შეეცადეთ, პოზიტიური და თანამშრომლობითი ურთიერთობა ააწყოთ პედაგოგთან, ხშირად მოაწყვეთ შეხვედრები მასთან, ჰკითხეთ რჩევა და თქვენც გაუზიარეთ გამოცდილება. მასწავლებელსა და მშობელს შორის თანამშრომლობა ბავშვის კეთილდღეობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.



# შენი განვითარების დარღვევები

სმენის განვითარების დარღვევა შესაძლოა იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი, ზოგ შემთხვევაში ის არის გამონვეული გენეტიკური ფაქტორით და გადაეცემა თაობიდან თაობას. საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ბევრი ოჯახია, სადაც ცოლიც და ქმარიც სმენის დაქვეითებით ან სიყრუით ხასიათდება, უმრავლეს შემთხვევაში მათი შვილებიც სმენის დაქვეითებით იბადებიან.

ასევე, ხშირია შემთხვევები, როცა აბსოლუტური სმენის მქონე მშობლებს სმენადაქვეითებული ან ყრუ ბავშვი ჰყავთ. ამ შემთხვევაში მდგომარეობა უფრო რთულდება, რადგან გაძნელებულია კომუნიკაცია ბავშვსა და მშობლებს შორის.

სწორად ორგანიზებულ სასწავლო გარემოში სმენადაქვეითებული ან ყრუ ბავშვები ისეთივე წარმატებით სწავლობენ, როგორც მათი სხვა თანატოლები, მაგრამ პარალელურად ოჯახში დამატებითი მეცადინეობა და სწორი მიდგომა ძალიან სასარგებლოა.

სმენის განვითარების სირთულეები და სიყრუე თავის მხრივ იწვევს მეტყველების პრობლემებს, რამდენადაც მეტყველების განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას და როგორ ვისმენთ.

თუ არ ვლინდება აბსოლუტური სიყრუე, სმენის რეაბილიტაცია შესაძლებელია სმენის აპარატის გამოყენებით, ასევე, მნიშვნელოვანია შესტური ენის სწავლება ადრეული ასაკიდანვე.

თანამედროვე კვლევებმა გააქარწყლა მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს შესტური ენა აფერხებს მეტყველების განვითარებას. აღმოჩნდა, რომ ის პირიქით, ეხმარება სმენის არმქონე ბავშვებს, აი-

თვისონ სასწავლო მასალა, დაამყარონ სოციალური ურთიერთობები. სამწუხაროდ, საქართველოში ზოგიერთი მშობელი წინააღმდეგია, რომ მისმა შვილმა შესტების გამოყენებით ისწავლოს საუბარი, რაც მოვლენის არასწორი ხედვაა. ამით, პირიქით, ხელი ეშლება ბავშვის ზოგად გონებრივ და სოციალურ განვითარებას. ამის საპირისპიროდ, უფრო პროგრესული მშობლები, შვილების სწავლების პარალელურად, ეუფლებიან შესტურ ენას. საქართველოშიც არის მშობელთა წრეები, სადაც შესაძლებელია შესტური ენის შესწავლა. შესტური ენის აკრძალვას თავისი სახელიც აქვს. ევროპაში მას „ლინგვისტურ ძალადობას“ უწოდებენ.

## რა სირთულეები შეიძლება ჰქონდეს სმენადაქვეითებულ ბავშვს

სმენის დაქვეითება, ისევე როგორც სხვა რომელიმე დარღვევა, შესაძლოა ვლინდებოდეს ცალკე ან კომბინირებული იყოს სხვა დარღვევასთან (მაგ. გონებრივ ჩამორჩენილობასთან). ბავშვებს, რომლებსაც სმენა აქვთ დაქვეითებული, ექმნებათ სირთულეები სწავლაში და ურთიერთობებში. ასევე, შესაძლოა გაუჩნდეთ ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები: დაბალი თვითშეფასება, დეპრესია ან პირიქით - აგრესია.

სმენადაქვეითებულ ბავშვებს:

- ◆ სხვა ადამიანების მეტყველება ან სხვადასხვა ხმები არ ესმით ან გაუკვევლად ეჩვენებათ;
- ◆ დაძაბულები არიან, როდესაც ვინმე საუბრობს, რადგან არ ესმით, თუ რა უნდათ და რას მოითხოვენ მისგან;
- ◆ ესაჭიროებათ ტუჩების ახლოს დანახვა საუბრის გასაგებად, რათა ამოიკითხონ სიტყვები ბაგეებიდან (ტუჩებიდან);
- ◆ შესაძლოა ჰქონდეთ პრობლემები ადამიანებთან კომუნიკაციაში სმენისა და მეტყველების პრობლემების გამო, რაც მათ საზოგადოებსგან იზოლაციას გამოიწვევს.

## როგორ დავეხმაროთ სენადლაქვიითაულ და ყრუ ბავშვს

- ◆ გახსოვდეთ, რომ სმენის დაქვეითების შემთხვევაში მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც თქვენს შვილს აქვს, არის მხედველობა. ამიტომ, კომუნიკაციის დროს იყავით მის მხედველობის ველში;
- ◆ ადრეული ასაკიდანვე ასწავლეთ შესტური ენა. ასევე, შესტების გამოყენებით საუბარი ისწავლეთ თქვენც და ოჯახის დანარჩენმა წევრებმაც;
- ◆ ბავშვთან საუბრისას უნდა ყოველთვის მიიპყროთ ბავშვის ყურადღება და მას პირისპირ უყუროთ;
- ◆ თუ ბავშვი არ გიყურებთ, ხოლო თქვენ მასთან კომუნიკაციის დამყარება გსურთ, მხარზე ან ხელზე მსუბუქი შეხებით მიანიშნეთ, რომ მასთან ურთიერთობის სურვილი გაქვთ;
- ◆ ურთიერთობისას ყოველთვის ბავშვის პირისპირ უნდა იყოთ; ის უნდა ხედავდეს თქვენს გამომეტყველებას და ტუჩებს, რათა ბავშვიდან ამოკითხვა ისწავლოს;
- ◆ სახის გამომეტყველება, შესტიკულაცია და სხეულის მოძრაობები უნდა შეესაბამებოდეს თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მაგ. შენიშვნის მიცემის დროს არ გაიღიმოთ;
- ◆ უხვად გამოიყენეთ თვალსაჩინო მასალები (საგნების სურათები, ნახატები, პლაკატები, ვიდეორგოლები, ფილმები), თქვენ, ასევე ბავშვს შეგიძლიათ ასწავლოთ სურათებით კომუნიკაცია, მაგალითად, სურათის მიხედვით მიგანიშნოთ, თუ რა სურს, სანამ წერა-კითხვას და შესტურ ენას სრულყოფილად აითვისებს;
- ◆ დაამყარეთ ურთიერთობა ბავშვთან წერილობითი საშუალებით;
- ◆ რამდენადაც ბავშვს არ ესმის ხმა, აუცილებელია, სმენითი სტიმულები ჩანაცვლებული იყოს ვიზუალური სტიმულებით, მაგ, თამაშის ამონურვის დრო აღინიშნებოდეს შუქის ანთებით;
- ◆ თუ თქვენი შვილი ფლობს შესტური ენას და კომუნიკაციას ამყარებს მისი საშუალებით, სკოლაში მას შესაძლოა დაჭირდეს თარჯიმანი, რათა სკოლის პედაგოგებთან ურთიერთობისა და გაკვეთილის მოყოლის საშუალება ჰქონდეს.

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების სწრაფი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. რა გავაკეთოთ მაშინ, როდესაც ბავშვი უკვე 6 წლის არის და მისი თანატოლები სკოლაში მიდიან?

- ◆ სად უნდა მიიღოს განათლება?
- ◆ როგორ უნდა ისწავლოს?
- ◆ რა უნდა ისწავლოს?
- ◆ ვინ უნდა ასწავლოს?

ეს ძირითადი შეკითხვები ყველა მშობელს უჩნდება. თუმცა, სამწუხაროდ, არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც საერთოდ არ ფიქრობენ ბავშვის განათლებაზე, რადგან მიაჩნიათ, რომ მისი შესაძლებლობები ზღვრულია. თუ თქვენ ხართ მშობელი, რომელიც პესიმისტურად უყურებს შვილის განათლებას და ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ მისი სწავლების საკითხებზე, გახსოვდეთ, რომ ყველას აქვს თანდაყოლილი პოტენციალი და სწავლის მიზანი ის კი არ არის, რომ იცოდეთ, რაც ყველამ იცის, არამედ -



ისწავლო ის, რაც არ იცოდი გუშინ. თუ საკითხს ამ კუთხით შეხედავთ, მაშინ თქვენი წარმოდგენებიც ბავშვის განათლების მიღების სასარგებლოდ შეიცვლება.

## რეკომენდაციები ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით:

გახსოვდეთ, რომ:



- ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა;
- ყველა ბავშვი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უნდა სწავლობდეს ასაკობრივად შესაფერის კლასში – ინდივიდუალური სასწავლო გეგმით;
- ყველა ბავშვი განსხვავებული და უნიკალურია, არ არსებობენ ერთნაირი ბავშვები;
- იმისათვის, რომ თქვენ, როგორც მშობელმა, ხელი შეუწყოთ ბავშვის სასკოლო ჩართულობას, გაეცანით ინკლუზიური განათლების პრინციპებს;
- მასწავლებლებთან ერთად დასახეთ სხვადასხვა პრობლემების მოგვარების სტრატეგიები.

## ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება აღიარებს მიდგომას, რომ საზოგადოების ყველა წევრი განსხვავებულია, მაგრამ მათ შეუძლიათ ერთად ცხოვრება, მიუხედავად განსხვავებულობისა.

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხე-



დავად მისი შესაძლებლობისა და/ან სირთულეებისა სწავლის პროცესში. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ინკლუზიურ განათლებას, როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები ჰყავს. მათ შეხვედებით თავად პედაგოგებში და მშობლებშიც კი. მიუხედავად წინააღმდეგობებისა ინკლუზიური განათლება საქართველოს სკოლებში ინერგება და ბევრი წარმატებული მაგალითიც არსებობს. უმთავრესი პირობა, რაც ინკლუზიურ განათლებას უდევს საფუძვლად, არის ის, რომ არცერთ სკოლას არ აქვს უფლება უთხრას უარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს სკოლაში მიღებისას.

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე.

სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ენობრივი თუ სხვა მდგომარეობით.

სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება ექმნებოდეთ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს.

თუ ბავშვს პრობლემა ექმნება სწავლაში, გამოსავალი არის არა სასკოლო ცხოვრებისგან მოწყვეტა, არამედ პირიქით, სკოლაში ჩართვის ხელშეწყობა – სწორედ ესაა ინკლუზიური განათლება.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მოსწავლე ყველა საკლასო და კლასგარეშე აქტივობის მონაწილე უნდა იყოს.

ქვემოთ მოყვანილია ის, ძირითადი შეკითხვები, რომლებსაც სვამენ სკოლის პედაგოგები ინკლუზიური განათლების წინააღმდეგ და შესაძლოა თქვენ, როგორც მშობელი, უკვე შეხვდით წარსულში მსგავს პრობლემას, ან შესაძლოა შემდგომში წააყდეთ:

- თუ კლასში მყავს ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ბავშვი, ხომ არ დასჭირდება მას მეტი ყურადღება, მეტი დრო, და დანარჩენი მოსწავლეები ამის გამო ხომ არ დამრჩებიან ყურადღების გარეშე?

- თუ მე ყველას ერთ პროგრამას ვასწავლი, რა ვასწავლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს, რომელიც ამ მასალას ვერ ითვისებს?
- თუ ის ვერ ეწევა სწავლაში თანატოლებს და შესაფერისად ვერ გადის საკლასო პროგრამას, რა აზრი აქვს მის კლასში ყოფნას?
- თუ ის განსხვავებულია და არ გავს სხვებს, ხომ არ გამიჭირდება მასთან ურთერთობა?
- ხომ არ გაუჩნდება მას ურთიერთობის პრობლემა?
- სხვა მშობლები როგორ შეხვდებიან მის კლასში ყოფნას?
- ხომ არ აქვს ბავშვს აგრესიული ქცევები?

ზოგიერთი მშობელი ასევე უნდობლობით უყურებს ინკლუზიური განათლების საკითხს. აი, ის შეკითხვები, რომლებსაც ისინი ხშირად სვამენ სპეციალისტებთან საუბრისას:

- ხომ არ გახდება ჩემი შვილი დაცინვის ობიექტი თანაკლასელების მხრიდან?
- თუკი ჩემი შვილი ჩამორჩება განვითარებაში მის თანაკლასელებს, როგორ უნდა აითვისოს ის პროგრამა, რასაც ყველა სწავლობს ამ კლასში?
- თუ ჩემ შვილს აქვს განსაკუთრებული პრობლემა, არის კი მასწავლებელი კვალიფიციური მისი მართვისთვის?
- აქვს მასწავლებელს მოტივაცია, რომ ისევე მიუდგეს ჩემ შვილს, როგორც სხვა მოსწავლეებს, თუ ეს რთულია მისთვის?
- ადვილად შეეგუება ჩემი შვილი სასკოლო გარემოს და დისციპლინას, თუ გაუჭირდება?
- იქნება კი ის წარმატებული მოსწავლე, თუ სწავლაში ჩამორჩენილის სახელი ექნება?

იმისათვის, რომ მასწავლებელმა კლასში ყველა ბავშვს დაუთმოს თანაბარი დრო, საჭიროა გამოიყენოს ინდივიდუალური

მიდგომა, რომელიც სულაც არ გულისხმობს იმას, რომ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს, ყველაზე მეტი დრო უნდა დაეთმოს. ინდივიდუალური მიდგომა გულისხმობს თითოეული ბავშვის შინაგანი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობას.



იმისთვის, რომ ინკლუზიური განათლება იყოს წარმატებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლება უნდა წარმართებოდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

თუ თქვენი ბავშვი დადის ინკლუზიურ სკოლაში, აუცილებლად აკონტროლეთ მისი სწავლების პროცესი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სწავლება საზღვარგარეთის ქვეყნებში და უკვე საქართველოშიც, განათლების კანონის თანახმად რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. ამიტომ თქვენ, როგორც მშობელი, აუცილებლად უნდა იყოთ ინფორმირებული:

- ◆ თუ რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ◆ მისი შექმნისა და განხორციელების რომელ ეტაპებზეა აუცილებელი თქვენი ჩართულობა.

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, თუკი მოსწავლე:

- ◆ შეზღუდული შესაძლებლობების გამო საჭიროებს განსხვავებულ ისეთ სწავლებას, რომელიც განსხვავებულია ზოგადი სასწავლო პროგრამიდან, მოიცავს სპეციფიურ შინარსს და მეთოდებს.
- ◆ გარკვეული მიზეზების გამო (ხანგრძლივი ავადმყოფობა, ენო-


ბრივი ბარიერი), დროებით საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას წარმატებით იყოს ჩართული საკლასო აქტივობებში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლეზე ორიენტირებული და ამ კონკრეტული მოსწავლის განვითარების ხელშემწყობი.

ზოგჯერ ჩნდება საშიშროება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე სკოლაში დადის „ტყუილად“, მშობლები ჩივიან, რომ არ ვითარდება მათი შვილის აკადემიური უნარები. ამ შემთხვევაში დამნაშავის ძებნას ნუ დავიწყებთ, რადგან პრობლემას თავად საგანმანათლებლო სისტემა აგვარებს, სწორედ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია საკლასო აქტივობები. მოსწავლეს აქვს ვალდებულება და უფლება, მასწავლებლის დახმარებით დაკავებული იყოს დოკუმენტში განერილი აქტივობებით. ამგვარად, ერთის მხრივ ხელი ეწყობა მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარებას და მეორეს მხრივ, ბავშვს არ რჩება დრო გამოავლინოს პრობლემური, სკოლისთვის მიუღებელი ქცევები.

„აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას არა მხოლოდ საკლასო და აკადემიურ საქმიანობებში, არამედ, აქ მოიაზრება ყველა ის არააკადემიური საქმიანობაც, რომლის განხორციელებაც მოსწავლეს უნევს სკოლაში. სწავლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ასეთი აქტივობებია ტუალეტის მოხმარება, ბუფეტში სადილობა, დასვენებებზე გართობის შესაძლებლობა და სხვა“.



“ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. დოკუმენტში ასახულია სწავ-

*გზამკვლევი მშობლებისათვის*

ლების სტრატეგიები და ყველა ის რესურსები, რომლებიც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად”.

## გლობალური როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას

თუ თქვენი შვილი, რომელიც განსაკუთრებული საჭიროებებით გამოირჩევა, უკვე 2 კვირაზე მეტია დადის სკოლაში, უკვე დროა **სკოლის გუნდმა** იზრუნოს მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაზე.

სკოლის გუნდის შემადგენლობა:

- ◆ **საგნის მასწავლებლები;**
- ◆ **სკოლის ფსიქოლოგი;**
- ◆ **სხვა სპეციალისტი** (ლოგოპედი, სოც. მუშაკი – საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა იყოს გუნდის წევრი);
- ◆ **სკოლის ინკლუზიის კოორდინატორი** (სკოლებში, სადაც დაინერგა ინკლუზიური განათლება არსებობს პირი, ვინც კოორდინირებას უწევს აღნიშნულ საკითხს);
- ◆ ასევე, დღეისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით, ბევრ სკოლაში მოღვაწეობენ **მულტიდისციპლინური გუნდის წევრები** (ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების მიმდინარეობას ზოგადად სკოლაში და კონკრეტულად თითოეული ბავშვისათვის).
- ◆ **მშობელი.** თქვენ, როგორც მშობელი, აქტიურად უნდა იყოთ ჩართული სკოლის გუნდის მუშაობაში, რომელიც თქვენი შვილის განათლების საკითხებს წყვეტს. მშობელი ბავშვის ინტერესების საუკეთესო დამცველია. იცის საკუთარი შვილის პრობლემები. იგი საუკეთესო მოკავშირეა ბავშვის სწავლების საქმეში. იგი აქტიურად არის ჩართული მიზნების შერჩევისა და დასახული მიზნების განხორციელების პროცესში, სკოლის გუნდის წევრებთან ერთად. ფლობს ინფორმაციას ბავშვის წარმატებებისა და არსებული სირთულეების შესახებ. ჩართუ-



ლია ყველა მიმდინარე აქტივობაში, რომელიც უკავშირდება განათლებას, განვითარებას, სოციალურ ინტეგრაციას და სხვა მნიშვნელოვან პროცესებს ბავშვის ცხოვრებაში.

◆ **ბავშვი** შეიძლება მინანილებოდეს გუნდის შეხვედრაში. ეს ზრდის მის მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. თუ ბავშვის/მოსწავლის გუნდში მონაწილეობა გარკვეული მიზეზების გამო არ არის შესაძლებელი, მაშინ

შეხვედრამდე აუცილებელია მასთან გასაუბრება მისი ინტერესების გარკვევის მიზნით.

## შეხვედრები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისათვის

**შეხვედრა I.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისათვის სკოლის გუნდმა უნდა მოაწყოს რამდენიმე შეხვედრა. ამ შეხვედრებზე თქვენ აუცილებლად მიგიწვევენ, რათა ერთად დაისახოთ თქვენი შვილის სასწავლო მიზნები, რომლებიც წლის ბოლომდე უნდა იყოს შესრულებული.

შეხვედრას ზემოთ ჩამოთვლილი სკოლის გუნდის ყველა წევრი დაესწრება. რამდენადაც ბავშვი უკვე დადის სკოლაში შეხვედრამდე 2 კვირის მანძილზე, თითოეულ სპეციალისტს მოტანილი ექნება გარკვეული ჩანაწერები მისი აკადემიური უნარების, შემეცნებითი სფეროსა და ქცევის შესახებ.

შეხვედრა გასტანს საშუალოდ 1 საათი. თითოეული სპეციალისტი ზეპირად წარმოადგენს საკუთარ შთაბეჭდილებებს და გაგესაუბრებათ თქვენ ბავშვის უკეთ შეცნობის მიზნით. ფსიქოლოგი წარმოადგენს შედეგებს, რომელიც ბავშვზე დაკვირვებისა და ჩატარებული ტესტირების საფუძველზე მიიღო (სკოლაში ფსიქოლოგის არარსებობის შემ-

თხვევაში ამ სამუშაოს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები ასრულებენ ხოლმე), ასევე, საგნის მასწავლებლები აღნიშნავენ მოსწავლის ძლიერ მხარეებს და საჭიროებებს კონკრეტულ სფეროებში (წერა, კითხვა, ანგარიში, თხრობა).

სკოლის გუნდის წევრებს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე აქვთ გარკვეული შთაბეჭდილება შექმნილი თქვენ შვილზე, მაინც ბევრი შეკითხვა ექნებათ როგორც ბავშვის უნარებისა და ქცევების, ასევე თქვენი სურვილების შესახებ.

როგორც ვთქვით, პირველი შეხვედრა ემსახურება იმას, რომ შეირჩეს ბავშვის სასწავლო მიზნები, რამდენადაც, მან ინდივიდუალური პროგრამით უნდა ისწავლოს, მნიშვნელოვანია სკოლის გუნდის თითოეული წევრი კარგად იცნობდეს ბავშვს, რათა არ მოხდეს შეუსაბამო, ბავშვისთვის ძალიან რთული, ან პირიქით მარტივი მიზნების შერჩევა.

#### **თქვენთვის, როგორც მშობლისთვის რეკომენდებულია:**

- ◆ სკოლის გუნდს მიაწოდოთ ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია ბავშვის განვითარების შესახებ;
- ◆ იმისთვის, რომ ნათლად გამოხატოთ მოსაზრებები თქვენი შვილის უნარების შესახებ, შეეცადეთ მოიყვანოთ მაგალითები მისი ყოველდღიურობიდან;
- ◆ შეეცადეთ ისაუბროთ კონკრეტულად, საუბრისას ნუ აცდებით შეხვედრის მთავარ საკითხს, რადგან დრო მალე გარბის და შესაძლოა მნიშვნელოვანი გამოგრჩეთ;
- ◆ შეხვედრაზე, სასურველია, გააკეთოთ ჩანაწერები, ჩაინიშნოთ კომენტარები ან რეკომენდაციები, ასევე ის შეკითხვები, რომლებზეც თქვენ იმ დროს პასუხი არ გქონდათ, მაგრამ უნდა მოიძიოთ უახლოეს დღეებში;
- ◆ რაც მთავარია, გახსოვდეთ, რომ გუნდის აუცილებლად გაითვალისწინებს თქვენ სურვილებს ბავშვის სასწავლო მიზნების არჩევისას, ამიტომ, გაუზიარეთ თქვენი სურვილები გუნდს — რა გსურთ, რომ ისწავლოს თქვენმა შვილმა სკოლაში სიარულისას უახლოესი ერთი წლის მანძილზე;
- ◆ სასწავლო მიზნების შერჩევისას, აუცილებლად გაითვალისწინეთ ბავშვის ინტერესებიც. როგორ ფიქრობთ, რისი სწავლა უნდა მას, რისკენ აქვს მიდრეკილება და რისი კეთების სურ-

- ◆ ვილით გამოირჩევა;
- ◆ გახსოვდეთ, რომ პირველი შეხვედრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისათვის, მხოლოდ ინფორმაციის გაცვლას და აზრთა გაზიარებას ემსახურება, ამიტომ თქვენ კიდევ გაქვთ დრო, რომ იფიქროთ ბავშვის უნარებისა და ინტერესების შესახებ. სახლში დაბრუნებისას, შეგიძლიათ დაეკითხოთ ოჯახის წევრებსაც, თქვენ შვილს კი კიდევ ერთხელ დააკვირდეთ და გაესაუბროთ, იქნებ კიდევ აღმოაჩინოთ რაიმე ახალი.

### შეხვედრა II.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისათვის, ასევე ტარდება მეორე შეხვედრა, რომელზეც უკვე ხდება წინა შეხვედრაზე შეგროვებული ინფორმაციის შეჯამება და ღია დარჩენილი საკითხების განხილვა.

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ლაბხიჯება

მას შემდეგ, რაც თქვენი, როგორც მშობლის სურვილები სასწავლო მიზნების შერჩევასთან დაკავშირებით იქნება დაფიქსირებული და მასწავლებლებიც, სკოლის გუნდთან ერთად, მოიფიქრებენ, თუ როგორ უნდა შეასრულონ დასახული მიზნები, მიზანი იქნება დამტკიცებული. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თითოეული ქსეროასლი გადაეცემა ყოველ მონაწილე მხარეს. ასევე, დოკუმენტში განერილი იქნება ყოველი მონაწილე მხარის პასუხისმგებლობა თითოეული აქტივობის წარმართვასთან დაკავშირებით.

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლება ხდება რეგულარულად, წინასწარ დათქმულ ვადებში და მასში აღინერება ის ცვლი-

გზამკვლევი მშობლებისათვის



ლებები, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ეფექტური განათლების უზრუნველყოფისთვის.

მაშასადამე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არის სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული და დასაბუთებულია კონკრეტული მოსწავლისთვის საჭირო მხარდაჭერა, რომელსაც მასთან მომუშავე ყველა მასწავლებელი თუ პროფესიონალი უნდა იზიარებდეს და მისდევდეს. ეს სამუშაო დოკუმენტი, რომელიც პერიოდულ ცვლილებებს მოითხოვს. აუცილებლად უნდა ხდებოდეს მისი დროის გარკვეულ მონაკვეთში გადახედვა/გადაფასება, მოსწავლის შესაძლებლობებთან და მიღწევებთან მიმართებაში მოყვანა და საჭირო ცვლილებების განსაზღვრა.

მაგალითად თუ მოსწავლე უკვე დაუფლა აქტივობებს და ერთერთი სასწავლო მიზანი შერჩეულია, სკოლის გუნდი ისევ იკრიბება და ბავშვის შესაძლებლობების მიხედვით ახალ მიზანს ისახავს.

## გზობის როლი ინალუზიურ განათლებაში

ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის მშობლის ჩართულობა ყველაზე მნიშვნელოვანია.

ბავშვთა განათლება არის მშობლებისა და პროფესიონალების საერთო ამოცანა. სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ მშობელსა და პედაგოგს შორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დასამყარებლად. რეალურად, ეს ნიშნავს მშობლებთან პარტნიორობას და მათ მნიშვნელოვან თანამონაწილეებად აღიარებას ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სკოლა ვალდებულია, განსაზღვროს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და საგანმანათლებლო პრიორიტეტები. მიუღებელია ამ პროცესის მშობლის თანხმობის, ჩართულობისა და თანამონაწილეობის გარეშე განხორციელება. ექსპერტებისგან და პროფესიონალებისგან საჭირო ინფორმაციის და

რეკომენდაციის მიღების შემდეგ, მშობელს ენიჭება გადაწყვეტილების მიღების უფლება შვილისთვის განათლების ფორმის ასარჩევად.

როდესაც თქვენი შვილი იღებს განათლებას ინკლუზიურ სკოლაში და სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, თქვენ გენიჭებათ შემდეგი უფლებები:

- გათვალისწინებული იყოს თქვენი პრიორიტეტები;
- იყოს ინფორმირებული ბავშვის განათლების ფორმების შესახებ;
- იყოს ჩართული ბავშვის მიერ აქტივობების შესრულების პროცესში;

ამავდროულად, თქვენ გენიჭებათ შემდეგი ვალდებულებები:

- დაესწროთ და მონაწილეობა მიიღოთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის დათქმულ შეხვედრებში;
- სასკოლო აქტივობების პარალელურად იმუშაოთ სახლში ბავშვთან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განერილ აქტივობებზე, რათა არ დაეცეს სწავლების ხარისხი;
- გაითვალისწინოთ ბავშვის ინტერესები სწავლებისას, გახსოვდეთ სწავლება არ უნდა იქცეს ძალადობის ფორმად!



# ოჯახის ჰიგიენური სამედიცინო საჭიროებები

ირმა გოცირიძე

## ჰიგიენა

ბავშვები, ზოგჯერ, ძნელად გვემორჩილებიან ჰიგიენურ ნორმების დაცვისას. ჰიგიენური ნორმების დაცვა არის უპირველესი მნიშვნელობის საკითხი, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი გართულებები.

მშობელს ჰიგიენური ნორმების დაცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთან ხანდახან საკმაოდ უჭირს. ისინი ხშირად ისვრიან ტანსაცმელს, ხელს კიდებენ მათთვის საინტერესო, მაგრამ ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთებს.

### პირის ღრუს მოვლა

ჰიგიენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა პირის ღრუს მოვლა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს საჭმლის დაქუცმაცება უჭირთ, ხშირად ლუკმას დაუღეჭავად ყლაპავენ, რაც იწვევს არა მარტო პაროდონტოზებსა და კარიესს, არამედ კუჭ-ნაწლავის პათოლოგიებსაც.

პირის ღრუს სწორი მოვლა ხელს უშლის ბაქტერიების წარმოქმნას. ბაქტერიული ნადები არის კარიესული ღრუების წარმოქმნის და ღრძილების ანთების ძირითადი მიზეზი. კბილის ნადების განვითარებისათვის ხელსაყრელი მიდამო არის კბილთაშუა ნაპრალები, კბილის ყელის მიდამო და საღეჭი ზედაპირები. სწორედ ამ ადგილებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

სასურველია, თუ თამაშითა და სხვისი მიზანძვით, კბილების განმენდას მივაჩვენოთ ორჯერ: დილას და საღამოს. ღრძილების დაავადებების შემთხვევაში კი საჭიროა კბილების განმენდა 3-5-ჯერ დღეში.

### **ხელების ჰიგიენა**

ხელების დაბანისას ყურადღება მივაქციოთ შემდეგ უბნებს:

- თითების დაბოლოებები;
- თითებსშუა მიდამო;
- ხელისგულები;
- ცერა თითების მიდამო.

რეკომენდებულია გამოვიყენოთ:

- თხევადი საპონი;
- ერთჯერადი დოზატორები;
- ქალაღდის ერთჯერადი ხელსახოცები;
- თბილი წყალი;
- სპირტის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებები.

### **თვალეების ჰიგიენა**

თვალეების განმენდა ხდება გადადუღებულ წყალში დასველებული ბამბის ფთილით (ტამპონით), თვალის გარეთა კუთხიდან შიგნითა კუთხისკენ. თითოეული თვალისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტამპონი, რათა არ მოხდეს ინფექციის გადატანა ერთი თვალისგან მეორეზე.

### **ყურების ჰიგიენა**

ყურების განმენდა ხდება ყოველდღე, ბამბის ფთილით. დაუშვებელია ჩხირზე დახვეული ბამბის გამოყენება.

### **ცხვირის ჰიგიენა**

ცხვირის თითოეული ნესტო სუფთავდება ბამბის სხვადასხვა ტამპონით, ქერქების მოსაცილებლად შეიძლება ვაზელინის ბამბის გამოყენება.

## ბანაობა

ბანაობა რეკომენდებულია ყოველდღიურად (კანი გამოყოფს განსაკუთრებულ, მძაფრსუნიან ნივთიერებებს), თმის დაბანა კი, საჭიროების შემთხვევაში, კვირაში ორ-სამჯერ.

## ინფექციისაგან დაცვა

საბავშვო ოთახი სასურველია იყოს ფანჯრიანი და ნიავებოდეს, როგორც ზაფხულში, ასევე ზამთარში. მწერებისაგან თავის დასაცავად სასურველია ფანჯარაში ლითონის ბადე ჩაიდგას, დოლბანდი არ არის რეკომენდებული, ის ჰაერს ცუდად ატარებს. თუ ბავშვი ალერგიულია, ოთახიდან გაიტანეთ ყველაფერი, რაც დალაგებას ხელს უშლის და მტვრის დაგროვებას ხელს უწყობს (ხალიჩები, მძიმე ფარდები), უნდა მოვიცილოთ ოთახის მცენარეები და აკვარიუმიც.

საბავშვო ოთახი ბინაში საუკეთესო უნდა იყოს - თბილი, ნათელი, ფართო და მზიანი. თუ ბინა ერთოთახიანია, ბავშვს ყველაზე ნათელი კუთხე უნდა მივუჩინოთ.

საბავშვო ტანსაცმლის ძირითადი დანიშნულებაა სხეულის ტემპერატურის შენახვა.

### ტანსაცმელი უნდა იყოს:

- ჰაერის კარგი გამტარი;
- მოსახერხებელი;
- შესაკრავებით;
- ზედმეტი სამკაულის გარეშე;
- შესაბამისი ზომის, არ ზღუდავდეს ბავშვის მოძრაობას;
- ადვილად უნდა ირეცხებოდეს და შრებოდეს.

### სათამაშოები

სათამაშოები გარკვეულ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს: ადვილად ირეცხებოდეს, იყოს სხვადასხვა ფერისა და ფორმის. ყოველი ახალი

სათამაშო, რომელსაც ბავშვს მიუტანთ წინასწარ ცხელი წყლითა და საპნით უნდა გაირეცხოს, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, საღებავი არ უნდა სცილდებოდეს პირში ჩადებისას და ლეჭვისას, არ უნდა ტყდებოდეს, პირში მთლიანად არ უნდა ეტეოდეს. ბავშვის სათამაშოს, მის გარდა, არავინ უნდა ხმარობდეს. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველანაირი სათამაშო, რომელსაც ბავშვისთვის შეარჩევთ, არის უსაფრთხო.

## ნახუნი

სამწუხაროდ ზოგჯერ ბავშვს კბენენ მწერები ან ცხოველები, როგორ მოვუაროთ ნაკბენს?

**ცხოველის ნაკბენის** დროს, გარდა ჭრილობის ინფიცირებისა, ყოველთვის საშიშია ცოფის ვირუსი. ცოფის ძირითად გადამტანს წარმოადგენს, როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველები: ძაღლები, კატები, მღრნელები, ზღვის გოჭები, მელიები, მგლები, ტურები და სხვა.

როგორც წესი, დაავადებულ ცხოველებში 3-7 დღის მანძილზე გამოვლინდება ცოფის კლინიკური ნიშნები. ნუ დაველოდებით ამას. დაუყოვნებლივ ვინყებთ:

- ნაკბენი და ნაკანრი ჭრილობის ჩამობანას სარეცხი საპნით და წყლის ჭავლით;
- შემდეგ—ჭრილობის საფუძვლიანი დამუშავებას წყალბადის ზეჟანგით;
- ჭრილობის შეხვევა არ არის რეკომენდებული, ნახვევი უნდა იყოს თავისუფალი, რათა არ შეაფერხოს სისხლის დინება;
- ჭრილობა არ უნდა გაიკეროს, თუ არ არის სასიცოცხლო ჩვენება;
- უკვე კლინიკაში, ნაკერის დადებამდე, უნდა მოხდეს ლოკალურად, შრატის ინფილტრაციული შეყვანა, ხოლო შემდგომი ვაქცინაციით მოხდება აქტიური იმუნიტეტის ჩამოყალიბება.

მწერის ნაკბენი ზოგიერთი მწერის ნაკბენმა (მაგ. კოლო) შეიძლება გამოიწვიოს ისეთი საშიში დაავადება როგორცაა მალარია, ლეიშმანიოზი და ა. შ. ამიტომ საჭიროა უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

1. მწერის ნაკბენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოაცილეთ ნესტარი;
2. ნაკბენი გაასუფთავეთ საპნითა და წყლით;
3. დაადეთ ცივი კომპრესი;
4. ექიმის მითითების მიხედვით მიაღებინეთ ანტიჰისტამინური (ანტიალერგიული) საშუალებები.

**გველის, მორიელის ნაკბენის** შემთხვევაშიც ჭრილობა უნდა ჩამოიბანოს სარეცხი საპნით და წყლის ჭავლით. ჭრილობიდან 2 სმ-ით ზემოთსასურველია დაიდოს მომჭერილახტი, დაუყოვნებლივ გაკეთდეს ანტიჰისტამინის და ჰორმონის (დექსამეტაზონი, პრედნიზოლონი) ინექცია და ჰოსპიტალიზებული იქნას უახლოეს კლინიკაში.

**ტკიპის ნაკბენიც** იწვევს ალერგიულ რეაქციას, ამიტომ, დაუყოვნებლივ მოვაცილოთ ნესტარი (ტკიპა კანს ეკვრის, მის მოსაცილებლად 2 წუთის განმავლობაში ნაკბენზე უნდა დაენვეთოს ნებისმიერი სახის ზეთი, რის შემდეგაც ტკიპა კვდება და პინცეტით ვიღებთ).  
ბავშვს ვასმევთ ანტიჰისტამინურ პრეპარატს და ვამუშავებთ ნაკბენს ანტისეპტიური ხსანარით.

## ჭრილობა

ჭრილობა საშიშია, იმდენად, რამდენადაც შესაძლოა განვითარდეს სისხლდენა ან შეიჭრას ინფექცია.

ტრავმა ბავშვთა ასაკში გარდაუვალია. მსუბუქ ტრავმას და ჭრილობას ვერცერთი ბავშვი ვერ აცდება, მაგრამ ყურადღების მიქცევა მაინც აუცილებელია, განსაკუთრებით თუ ჭრილობა ღრმა და სისხლმდენია.

სხვადასხვა სახის ქრილობის არსებობისას სხვადასხვა რაოდენობის სისხლი იკარგება. მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში 5 ლიტრი სისხლი მოძრაობს. მისი ნახევრის დაკარგვა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. საშიშია არტერიის მთლიანობის დარღვევა. ორგანიზმს არტერიული სისხლდენისთვის დაუხმარებლად თავის გართმევა არ შეუძლია.

ექიმის დახმარება აუცილებელია, მაგრამ, მანამდე, საჭიროა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

მოაცილეთ ქრილობიდან ნებისმიერი ხილული ქუჩყი და სხვა ნაწილაკები, ნუ შეეხებით დიდ ან ღრმად შერჭობილ საგანს. ნუ შეეცდებით მოსინჯოთ ქრილობის სიღრმე და ნურც მის გასუფთავებას დაიწყებთ. თქვენი მთავარი საზრუნავი სისხლდენის შეჩერებაა.

ძლიერად დაანექით სისხლმდინარ ადგილს სტერილური დოლბანდით, სუფთა ნაჭერით და შეეცადეთ, ასე დარჩეთ, სანამ სისხლდენა არ შეწყდება ან დაჭრილს პროფესიულ სამედიცინო დახმარებას არ აღმოუჩინენ.

დაჭრილი ისე დაანვინეთ, რომ თავი სხეულზე დაბლა მოექცეს, ან ფეხები აუწიეთ. ასეთ პოზაში ტვინს სისხლი უკეთ მიეწოდება და გონების დაკარგვის საშიშროებაც იკლებს.

დაშავებული სასწრაფოდ წაიყვანეთ საავადმყოფოში.

## პირველი დახმარება დახურული და ღია მოტეხილობის დროს

**მოტეხილობა შეიძლება იყოს ღია, ანუ გართულებული და დახურული.**

მოტეხილობის ადგილობრივი ნიშნებია: ძლიერი ტკივილი, დეფორმაცია, კიდურის ფუნქციის მოშლა, კიდურის დამოკლება.

სწორად და დროულად ჩატარებული პირველი დახმარება მოტეხილობის მკურნალობისას მეტად მნიშვნელოვანია.

**ღია მოტეხილობის** დროს კანისა მთლიანობა დარღვეულია და ამით იქმნება მოტეხილობის არეში მიკრობების შეჭრის ყოველგვარი



პირობა, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ისე ზოგადი გართულების თვალსაზრისით.

ღია მოტეხილობის დროს, როგორც წესი, რბილი ქსოვილები ძლიერ დაზიანებულია,

**დახურული მოტეხილობისას** ინფექციის ბარიერი – კანი და ლორწოვანი დაზიანებული არ არის, ამიტომ ინფექციის შეჭრის საშიშროება გამორიცხებულია.

რბილი ქსოვილები ზოგჯერ ამ დროსაც დაზიანებულია, რაც ინვევს გატეხილი ძვლის მიერ ადგილობრივად ქსოვილის გაჭრას და ფარულ სისხლდენას, რომელიც შემდგომ ჰემატომას აყალიბებს.

**პირველი დახმარება.** დაუყოვნებლივ აკეთებენ კიდურის რაიმე სახის არტაშნით იმობილიზაციას. აღნიშნულ ღონისძიებათა გარეშე ავადმყოფის გაუფრთხილებელი გადაყვანა ინვევს მკვეთრ ტკივილს და ხელს უწყობს ნატეხების შეცილებას, რბილი ქსოვილების დაზიანებას, შოკის განვითარებას (ან გაძლიერებას). თუ საშუალება გვაქვს, კარგია გაკეთდეს ქრილობის მიდამოში ნოვოკაინი, ან ძლიერი ტკოვილგამაყუჩებელი კუნთში, საჭიროა ქრილობის გადახვევა, ავადმყოფს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა გახადონ ან, უმჯობესია, გაჭრან დიდი სიფრთხილით. არტაშნები უნდა იყოს საკმაოდ მაგარი, რათა მაქსიმალურად შეზღუდოს ფრაგმენტების მოძრაობა და შექმნას სახსრების უძრავი მდგომარეობა.

კიდურის იმობილიზაციისათვის შეიძლება აგრეთვე მუყაოს, ფანერის, თაბაშირის არტაშნის და სხვათა გამოყენება.

გამოუვალი მდგომარეობის შემთხვევაში, როდესაც იმობილიზაციისათვის არავითარი საგანი ხელთ არა აქვთ, შეიძლება დაზიანებულ ქვედა კიდურს ტანსაცმლის ნაწილებით ფიქსაცია გაუკეთდეს საღ კიდურზე, ზედა კიდურს- გულმკერდზე.

## ჯანის მოვლა

ბავშვთა ასაკში ხშირად გვხვდება კანის სხვადასხვა პათოლოგია, რომელიც ზოგჯერ განპირობებულია პირველადი ინფექციური დაავადებით, ზოგჯერ კი მეორადად, კანის მთლიანობის დარღვევის შედეგ-

გად შეჭრილი ინფექციის გამო. (ფხანა, ხელოვნური გალიზიანება, რაც ბავშვებისთვის დამახასიათებელია).

ყველა შემთხვევაში, მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ექიმმა, რადგან დათვალეირებისა და შეფასების შედეგების შესაბამისად, მკურნალობის ტაქტიკა სხვადასხვაგვარი იქნება.

რა უნდა იცოდეს მანამდე მშობელმა? გალიზიანებული კანი ექიმის მოსვლამდე არ დავამუშავოთ ბრილიანტის მწვანეთი, რომელიც ნაშლის დაავადების რეალურ სურათს. კანი უნდა დამუშავდეს წყალბადის 3% ზეჟანგით ან ანტისეპტიკური მალამოთი.

ზოგჯერ სოკოვანი ინფექციით ზიანდება ფრჩხილი, ანუ ვითარდება **ონიქომიკოზი**, რასაც სპეციფიური მკურნალობა სჭირდება.

## ალერგია

ბავშვთა ასაკში ხშირად ვლინდება **ალერგია** – კანის ფორმის ნუ ატოპიური დერმატიტის სახით. მისი პრევენცია ითვალისწინებს საექვო პროდუქტების და ალერგიის გამომწვევი კვებითი ალერგენების, საყოფაცხოვრებო ალერგენების, მცენარეული, მედიკამენტური, ქიმიური ალერგენებისგან თავის შეკავებას. ალერგიის სიმპტომების გამოვლენის დროს ცხვირი, თვალები და ყელი გამოვირეცხოთ სუფრის მარილის 0.6% წყალხსნარით. მკურნალობას ნიშნავს პედიატრი.

## ღამწრობა

ბავშვებში უფრო ხშირია დამდულვრა, გამონწვეული ცხელი წყლით და ცეცხლთან თამაშით.

**პირველადი სამედიცინო დახმარების დროს საჭიროა** რაც შეიძლება სწრაფად მოვაცილოთ სხეულს ტანსაცმელი, დაზიანებული უბნები ცივი წყლით ჩამოვბანოთ. გამოვიყენოთ რაიმე ანტიბაქტერიული კრემი, გადავახვიოთ სტერილური მარლით. შემდეგ, აუცილებლად, მივმართოთ ექიმს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგოშიძე, თ. ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თბილისი: ნეკერი, 2007.
2. გაგოშიძე, თ., ჭინჭარაული, თ., ფილაური, ქ., ბაგრატიონი მ. ინკლუზიური განათლების პრინციპები. თბილისი: ნეკერი 2008
3. მირიანაშვილი მ, ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარება, „საქართველოს ბავშვები“ 2007
4. პაჭკორია თ, ვისწავლოთ ერთად, 2008
5. სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მასალები
6. Истратова О.Н., Широкова Г.А., Эксакусто, Большая книга детского психолога от 3 до 10 лет., Психологический практикум, “Феникс”, 2008 г.
7. Ковалев В. В, Психиатрия детского возраста. Издательство: Медицина Год: 1979
8. Крайг, Г. (2000). Психология развития. Питер
9. Ньюкомб Нора, Развитие личности ребенка, Питер, 2003
10. Раттер М, Помощь трудным детям. Издательство: Прогресс Год: 1987
11. Hetherington E. M, Child Psychology, McGraw-Hill Book Company, 1986
12. Holland Sally, Child And Family, Sage Publications, London, 2004
13. Robinson Carol, Growing Up With Disability
14. SIGN, Autizm Spectrum Dizorders (Booklet for Parents and Cere), 2008
15. Sifers Sarah, Abnormal Psychology, Minnesota State University Monkato, 2000

